# საქართველოს ქალი

ციფრული ბიბლიოთეკა

645/2
2001



## „თბილისის გარდა ვერსად ვიცხოვრებდი, პარიზშიც კი"

ალექსანდრე ხააკოვი და მისი ნამუშევრები

2001
1-2



# ნომერშია:



2 დავუმალოთ თუ სიმართლე ვუთხრათ?

6 ქართველი ქალი - არსენი ტარკოვსკის პოეტური მუზა



14 გაბრიელ გარსია მარკესი — სენიორა ფორბესის ბედნიერი ზაფხული

თეა გვასალიას თარგმანი 15



მქონდეს ბუხარი და როიალი — ნატო გელაშვილი 12



საქართველოში ახსოვთ შმერლინგები 17


ჟურნალი ქალებისა და ოჯახისათვის

მთავარი რედაქტორი
ნარგიზა მგელაძე

სარედაქციო კოლეგია:
- ნანული შევარდნაძე
- მარიკა ბარათაშვილი
- ნაზი თარგამაძე
- ლია კაკაბაძე
- ნანა ობოლაძე
- ცინარა ტერელაძე (მხატვრული რედაქტორი)
- ნინო ჯავახიშვილი

ნანული ბუკია
ტექნიკური რედაქტორი

გარეკანის პირველ გვერდზე - ალექსანდრე სააკოვი და მისი ფოტოები

დამფუძნებელი - ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქცია და ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“

ჟურნალი გამოდის 1923 წლიდან

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლო“.
მ. კოსტავას ქ. №14.

რედაქციისაგან შეუკვეთავ მასალებზე ჰონორარი არ გაიცემა

“Sakartvelos Kali”
Georgian Woman
a Magazine for Woman


რედაქცია ბოდიშს უხდის მკითხველს, რომ უსახსრობის გამო ვერ დაიბეჭდა 2000 წლის მე-11-12 ნომერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა



# სიყვარულის მოციქული

იოანე ღვთისმეტყველს სიყვარულის მოციქულს ეძახიან, რადგან ღრმად მოხუცებული მახარებელი სიცოცხლის ბოლო პერიოდში ამ ერთადერთი სიტყვითლა მოძღვრავდა ხალხს: „გიყვარდეთ, გიყვარდეთ!“

იოანეს მშობლები იყვნენ ზებედე და სალომე. სახარებიდან ვიცით, რომ პეტრეს და ანდრიას შემდეგ იესომ დაიმოწაფა ზებედეს შვილები – იოანე და იაკობი, რომლებმაც დატოვეს მამა და გაჰყვნენ მაცხოვარს. იმ დღის შემდეგ იოანე ფეხდაფეხ დასდევდა ზეციურ მოძღვარს, – მაცხოვრის ამაღლების შემდეგ კი, სულიწმინდით აღვსილმა, თვითონ დაიწყო ხალხში ქადაგება და უამრავი სასწაული ქმნა. მას იესომ დაარქვა „ძე ქუხილისა“, რადგან იცოდა, რომ, წმ. მოციქული ჭეშმარიტი სარწმუნოების შესახებ ყველგან იქადაგებდა.

იოანე ღვთისმეტყველი სიმშვიდისა და უბიწოების მაგალითი იყო. მოწაფეთა შორის ყველაზე მეტად იგი უყვარდა იესოს, რადგან იოანესაც გამორჩევით უყვარდა უფალი. იოანე ძალიან ახალგაზრდა იყო, მან თავგანწირული ერთგულება გამოამჟღავნა გოლგოთის გზაზე, – როდესაც პეტრემ სამგზის უარყო უფალი, იოანე წუთითაც არ მოშორებია საყვარელ მოძღვარს... იგი იყო თვითმხილველი იმ დიდი სასწაულებისა, რომლებიც მაცხოვარმა მოიმოქმედა, – იოანემ ორ სხვა მოციქულთან ერთად გაიგონა მამა-ღმერთის ხმა თაბორის მთაზე და იხილა მაცხოვრის ფერისცვალების ღვთაებრივი დიდება, – იმავე მოციქულებთან ერთად დაესწრო იაიროსის ქალიშვილის გაცოცხლებასაც...

ზოგი წმინდა მამა იოანე მახარობელს „მკერდს მიყრდნობილად“ მოიხსენიებს, რადგან საიდუმლო სერობაზე იოანე ყველაზე ახლოს იჯდა მაცხოვართან და, როდესაც იესომ თქვა: ერთ-ერთი თქვენთაგანი გამცემს მეო, შეძრწუნებული იოანე მკერდზე მიეყრდნო და ჩუმად ჰკითხა: „უფალო, შენ ვინ გაგცემს?!“ წმ. იოანემ ჯვარცმის დროსაც არ მიატოვა ქრისტე, – ღვთისმშობელთან ერთად იდგა ჯვარცმის წინ და დიდად მწუხარებდა. იესომ ჯვრიდან გადმოხედა მოწაფეს და თავის ყოვლადწმინდა დედას მასზე მიუთითა: „აი, ძე შენი!“ შემდგომ მიუბრუნდა იოანეს და უთხრა: „აი, დედა შენი!“ (წმინდა მამათა გადმოცემით, იოანეს სახით ღვთისმშობელს მთელი კაცობრიობა აშვილა მაცხოვარმა, ამიტომაც ყოველი დაბადებული თავის დედად სახავს დედაღვთისას). იმ დღიდან წამოიყვანა წმინდა მარიამი იოანემ და ისე ეპყრობოდა, როგორც საკუთარ დედას...

ღვთისმშობლის დაკრძალვის ცერემონიაზე, იოანე წინ მიუძღოდა პროცესიას და მიჰქონდა სამოთხის შტო, რომელიც მთავარანგელოზმა გაბრიელმა მიართვა ყოვლადწმინდა ქალწულს და ახარა მალე გადასვლა ცათა სასუფეველში. წმინდა მარიამის მიძინების შემდეგ მოციქული მოწაფესთან – პროხორესთან ერთად წავიდა თავის წილხვდომილ მიწა-წყალზე, აზიაში, ღვთის სიტყვის საქადაგებლად. გზად მოწაფეს უთხრა, ზღვაში დიდი უბედურება შეგვემთხვევაო. მისი წინასწარმეტყველება იაპონიაში ახდა – ხომალდი საშინელმა ქარიშხალმა დაამსხვრია, წყალმა ყველა მგზავრი ცოცხლად გარიყა სანაპიროზე, იოანე კი არსად ჩანდა. ატირებული პროხორე ორმოცი დღის შემდეგ ისევ მივიდა სანაპიროზე და მოთქვამდა. უცებ აქაფებულმა ტალღამ ნაპირზე გამოიყვანა წმ. იოანე, რომელიც 40 დღე და ღამე ებრძოდა სტიქიას... მას შემდეგ ცხოვრებისეული ოკეანე აბობოქრდა მოციქულის წინაშე, რომელიც ღვთის მადლით დიდი გამარჯვებებით გადალახა წმინდანმა.

იოანე მახარებელმა სადაც კი ფეხი დადგა, ყველგან ქრისტიანობა გაავრცელა და ბომონები შემუსრა.

იმ პერიოდში რომის იმპერატორი დომიციანე სასტიკად სდევნიდა ქრისტიანებს. იოანეც შეიპყრეს და გაგზავნეს რომში. მოციქული წუთითაც არ შემდრკალა მრისხანე იმპერატორის წინაშე და ხმამაღლა აღიარა ჭეშმარიტი სარწმუნოება. სასტიკი წამებით რომ ვერაფერი დააკლეს, ბოლოს აიძულეს, საწამლავი დაელია. მან ჯვარი გადასახა მომაკვდინებელ შხამს და ისე მიიღო, როგორც წყალი. ამანაც რომ ვერ გაჭრა, ადუღებულ ზეთში ჩააგდეს, მაგრამ მაინც ვერაფერიავნეს. გაოცებულმა ხალხმა იყვირა: „დიდ არს ქრისტიანების ღმერთი!“ ამ სასწაულის შემდეგ ბევრი მოინათლა. განრისხებულმა დომიციანემ მოციქული უკვდავად ჩათვალა და შეაწყვეტინა მისი წამება. შემდეგ კი ბორკილდადებული კუნძულ პატმოსზე გაგზავნა.



იესო ქრისტე და იოანე მოციქული. დეტალი (უბისის ფრესკა)

პროხორეც იოანეს გაჰყვა პატმოსზე. ახდა იოანეს სიზმარი, როდესაც უფალი გამოეცხადა და უთხრა: შენ ბევრ ტანჯვას გამოივლი, გაგაძევებენ კუნძულზე, სადაც შენი ყოფნა ძლიერ საჭირო იქნებაო.

ზღვაზე მგზავრობის დროს მოციქულმა ბევრი კეთილი სასწაული მოახდინა და მრავალი მოაქცია ღვთისკენ. მცველებს ისე შეუყვარდათ იოანე, რომ განთავისუფლება შესთავაზეს, მაგრამ წმინდანმა არ მიიღო მათი წინადადება, – წამიყვანეთ იქ, სადაც ნაბრძანები გაქვთო!

კუნძულზე ღვთის კაცმა უდიდესი სასწაულები მოიმოქმედა. სულ პირველად გაქრისტიანდა ქალაქის მმართველი მთელი ოჯახით, შემდეგ კი – ყველა პატმოსელი.

რაკი მისია შეასრულა, იოანემ გადაწყვიტა ეფესოში დაბრუნებულიყო. თუ წასვლა აუცილებელია, სახარება მაინც დაგვიწერეო, – ევედრებოდნენ პატმოსელები.

... ერთხელ მოციქულმა ამარხულა კუნძულის მცხოვრებნი, თვითონ წაიყვანა პროხორე და ავიდა მაღალ მთაზე, სადაც ლოცულობდა სამ დღეს. ამის შემდეგ უცებ დაიქუხა, გაიელვა და მთა შეიძრა. პროხორე შიშისგან მიწაზე დავარდა. იოანემ წამოაყენა, მარჯვნივ მოისვა და უბრძანა დაეწერა ყოველივე, რასაც მისგან გაიგონებდა. იოანემ ზეცას ახედა, ილოცა და დაიწყო: „პირველთაგან იყო სიტყვა და სიტყვა იგი იყო ღმერთთან და ღმერთი იყო სიტყვა იგი“... ასე დაიწერა იოანეს სახარება, რომელიც მოციქულმა პროხორეს გადააწერინა, დედანი თვითონ დაიტოვა, გადაწერილი კი პატმოსელებს აჩუქა. იმავე კუნძულზე იოანემ თავისი ხელით დაწერა გამოცხადება – აპოკალიფსისი.

როცა ღვთისმეტყველმა ას წელს გადააბიჯა, თავის შვიდ მოწაფესთან ერთად გავიდა ქალაქიდან, კლდიან ადგილზე განმარტოვდა და ილოცა. შემდეგ მოწაფეებს უბრძანა ჯვრის მსგავსად მოეთხარათ მისი სიმაღლის საფლავი. პროხორეს დაუბარა, სიკვდილამდე იერუსალიმში დარჩიო, შემდეგ დაარიგა მოწაფეები, დაკოცნა და ბოლოს ცოცხლად დამარხვა ითხოვა. შეწუხდნენ მოწაფეები, მაგრამ წინ ვერ აღუდგნენ მის ნებას... ეს რომ ეფესოელებმა შეიტყვეს, დიდი მოწიწებით მივიდნენ საფლავზე და მიწა ამოთხარეს, – მათდა გასაოცრად მოციქულის წმინდა სხეული იქ აღარ იყო.

**ნანა ბაგრატიონ-დავითაშვილი**

სახარ[illegible]

საქართველო ოდითგანვე ცნობილია გაძიძვებისა და ძუძუმტეობის სანიმუშო მაგალითებით. სამწუხაროდ, დღეს შვილად აყვანა მრავალი მითქმა-მოთქმის მიზეზი ხდება. ხომ არ დადგა დრო ამ პროცესის ღიად, გამჭვირვალედ წარმართვისა? ამის თაობაზე გავესაუბრეთ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს დედათა და ბავშვთა საკითხების დეპარტამენტის უფროსს, ქალბატონ ნატა ყაზახიშვილს.

# დავუმალოთ თუ სიმართლე ვუთხრათ?

***— ქ-ნო ნატა, გაშვილების და შვილად აყვანის ფაქტის გასაიდუმლოება, ვფიქრობ, მიზეზია იმისა, რომ ხშირად მის გარშემო ბევრი უხერხულობა იქმნება. ხომ არ დადგა დრო, რომ ეს მადლიანი საქმე ღია და გამჭვირვალე გახდეს?***

— გაშვილების თემა უაღრესად რთული და დელიკატურია. თავად გაშვილების პროცესი განათლების სამინისტროს კომპეტენციაა, მაგრამ საკითხი იმდენად აქტუალურია, რომ საზოგადოების ყველა ფენას ეხება. მით უფრო ჯანდაცვის მუშაკებს, რომელთაც გარკვეული შეხება აქვთ ბავშვის შვილად აყვანის პროცესთან.

ქვეყანაში შექმნილი რთული პოლიტიკური თუ სოციალური ვითარება გარდამავალი პერიოდისათვის დამახასიათებელი მრავალი ნეგატიური მოვლენით ხასიათდება. მატულობს მარტოხელა დედათა რიცხვი, კონფლიქტური, არასასურველი და ბავშვის აღზრდის თვალსაზრისით არაკეთილსაიმედო ოჯახების რაოდენობა. ამდენად ბავშვის გაშვილების საკითხი უფრო მეტად აქტუალური ხდება.

ჯერ კიდევ 1994 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო დადგენილება ბავშვთა უფლებების საერთაშორისო კონვენციასთან საქართველოს მიერთების შესახებ. კონვენციის რატიფიცირება გულისხმობს ბავშვთა უფლებების დაცვის მიზნით ქვეყანაში ღონისძიებების გააქტიურებას.ბავშვთა უფლებების კონვენციის ერთ-ერთი უმთავრესი საკითხია ბავშვის ინტერესების დაცვა, მის ოჯახურ გარემოში აღზრდა და ჰარმონიული განვითარებისთვის პირობების შექმნა, რაც მოითხოვს შესაბამის სამართლებრივი ბაზის შექმნას. თუმცა 1997 წელს მომზადდა საქართველოს კანონი შვილად აყვანის შესახებ, მაგრამ საზოგადოების დამოკიდებულება შვილად აყვანის პროცესისადმი კარდინალურად არ შეცვლილა. თემა მაინც ითვლება ტაბუდადებულად, რაც ხშირად სხვადასხვა მითქმა-მოთქმისა და ეჭვის საფუძველს ქმნის.

განა რა უნდა იყოს იმაზე კეთილშობილური, მიუსაფარი, მშობლების მზრუნველობას მოკლებული ბავშვი აიყვანო, დედობრივი სიყვარულით აღზარდო და ოჯახის სითბოს აზიარო?



***— მერედა, რატომ უნდა იყოს ეს კეთილშობილური საქმე გასაიდუმლოებული. ვფიქრობ, დროა საზოგადოება იმ დასკვნამდე მივიდეს, რომ ამის გასაიდუმლოება სწორი არ არის.***

— გეთანხმებით, დროა დავიწყოთ საუბარი გაშვილების პროცესის ღიად და გამჭვირვალედ წარმართვის შესახებ. თუკი ბავშვი მცირე ასაკიდანვე შეეჩვევა აზრს, რომ მას კეთილი ადამიანები ზრდიან, არა მგონია მოზრდილ ასაკში რაიმე შინაგანი პროტესტი გაუჩნდეს აღმზრდელი მშობლების მიმართ. ამასთან ერთად ბავშვის, როგორც პიროვნების უფლებაც დაცული იქნება, ანუ მას საშუალება ექნება თავად გადაწყვიტოს ატაროს აღმზრდელის თუ თავისი ბიოლოგიური მამის გვარი.

ამასთან ერთად მისი სიყვარული და დამოკიდებულება იმ ადამიანთა მიმართ, რომელთაც ოჯახურ სითბოს აზიარეს, არამც და არამც არ შეიცვლება. მე ვიცი ერთი მართლაც სამაგალითო შემთხვევა, როცა მცხეთაში ერთმა ბრწყინვალე ადამიანმა იშვილა კატასტროფაში მშობლებდაღუპული პატარა გოგონა. მას უთხრა: მე შენი დედა არა ვარ, შენი მშობლები კატასტროფაში დაიღუპნენ და მე გიშვილე, და, რაც მთავარია, ბავშვს შეუნარჩუნა თავისი პირვანდელი გვარი და სახელი. ბავშვი იმდენად მადლიერია, რომ აღმზრდელს ორჯერ დედა ხარო, ეუბნება.

ისე, რომ დღეისთვის მოქმედი შვილად აყვანის კანონი საჭიროებს დახვეწას, რათა გაშვილების პროცესი უფრო გამარტივდეს და მაქსიმალურად იქნას დაცული პირველ რიგში ბავშვისა და მშობლის უფლებები.

***— რას გულისხმობთ?***

— მოვიყვან ერთ მაგალითს. დავუშვათ ახალშობილი, რომელიც დაიბადა სამშობიარო სახლში, ბიოლოგიურმა დედამ მიატოვა, გაიპარა. ასეთ შემთხვევაში, როგორც წესი, ბავშვს ათავსებენ ჩვილ ბავშვთა სახლში. მოგეხსენებათ, შვილად აყვანის მსურველი მრავლადაა, მაგრამ ბავშვი ჩვილობის ასაკში ვერ გაშვილდება, იმიტომ რომ მისი ბიოლოგიური დედა უგზო-უკვლოდ დაკარგულად არ იქნება ოფიციალურად აღიარებული. პიროვნების უგზო-უკვლოდ დაკარგვის აღიარება ხდება იმ შემთხვევაში, თუ ის თავის საცხოვრებელ მისამართზე არ გამოცხადდება ორი წლის განმავლობაში. აქედან შედეგი ასეთია:ჩვილი ბავშვი ჩვილ ბავშვთა სახლში უნდა დარჩეს ორი წლის ასაკამდე. პრაქტიკულად ბავშვის ფორმირების უმნიშვნელოვანესი წლები უნდა გატარდეს ბავშვთა სახლში ანუ არაოჯახურ გარემოში.

თუნდაც იმ შეზღუდული კანონმდებლობის პირობებში შესაძლებელია, რომ გაშვილების პროცესი კეთილსინდისიერად წარიმართოს — ლაპარაკია იმაზე, თუ არ იქნება გასაიდუმლოებული.

***—გასაიდუმლოება ალბათ იმიტომ ხდება, რომ არ მიაკითხოს ბიოლოგიურმა მშობელმა შვილად ამყვან ოჯახს, არ მოუწყოს შანტაჟი. თუ დედა გაიპარა სამშობიაროდან, კანონით ექვსი თვის შემდეგ უნდა შეიძლებოდეს ბავშვის გაშვილება. ამით შენარჩუნებული იქნება ბავშვის უფლებები, არადა მშვილებელი ოჯახი პრესტიჟის გამო და უფრო ბავშვის ფსიქიკის მოფრთხილების გამო არჩევენ გასაიდუმლოების გზას.***

— ცხადია, უმჯობესია ბავშვმა თავიდანვე იცოდეს სიმართლე. როგორც ბიბლიაშია — „არ არის საიდუმლო, რომელიც არ გაცხადდების". იმ უდიდეს სტრესს, რაც საიდუმლოს დაგვიანებულ გამოცხადებას მოჰყვება ხოლმე, ბავშვს თავიდან ავაცილებთ. ეს გარანტია იქნება იმისა, რომ მშვილებელ ოჯახსა და აღზრდილ ბავშვს შორის არ გაჩნდეს კონფლიქტური სიტუაცია. საჭიროა თავიდანვე დავიცვათ ბავშვის უფლებები და საზოგადოებაში დავნერგოთ აზრი, რომ შვილად აყვანაში ტრაგიკული არაფერია — ეს ღვთიური მადლია. ვფიქრობ, ეს ერთი პატარა დეტალია სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობის დიდ გზაზე.

დოდო იორდანიშვილი

რედაქციისაგან: თემა მეტად დელიკატურია და ერთმნიშვნელოვნად გადაჭრით თქმა, როგორ სჯობს შვილად აყვანის პრობლემის გადაჭრა, ძნელია.
სიამოვნებით დავბეჭდავთ განსხვავებულ მოსაზრებებს. ველით თქვენს გამოხმაურებას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შავ-თეთრი მოზაიკა



ზამთარია. სახლებში უფრო ცივა და ქუჩაში გამოფენილან თბილისელები.

ცხოვრება შავ-თეთრ კინოს დაემსგავსა, სადაც ზოგი მეფის როლს ასრულებს, ზოგიც — მათხოვრის. სცენარის ავტორიც ჰყავს ამ კინოს და რეჟისორიც, თუმცა მუსიკა ფილმისთვის ჯერ არავის დაუწერია. კადრს მიღმა მხოლოდ წყევლა, გმინვა და ოხვრა ისმის! კადრი კადრს მისდევს, დღე — დღეს. ხალხიც, რომელსაც საარსებო კი არა, დასამარხი ფულიც კი წაართვეს, ინერციით მიჰყვება ცხოვრების დინებას.

ანომალურმა ფაქტებმა კატასტროფულად იმატა. შვილი დედას კლავს, მამა — შვილს, დედა შვილს ჰყიდის, ქმარი ცოლს ფულის საშოვნელად ქუჩაში უშვებს, იზრდება თვითმკვლელობების რიცხვი, ადამიანები სადღაც იკარგებიან...

ერთ-ერთი საქველმოქმედო ორგანიზაციის ხელმძღვანელის გულისტკივილით ნათქვამი მახსენდება:

— დღეს ინტელიგენციის დიდი ნაწილი შიმშილობს. ისეთ ხალხს ვეხმარებით, რომლებსაც ცოტა ხნის წინათ ვეთაყვანებოდით. დღეს კი ყველამ დაივიწყა, ისიც კი არ იციან, ცოცხლები თუ არიან. მრცხვენია მათთან მისვლა და მათხოვრული დახმარების მიტანა. მაგრამ ტრაგედია ის არის, რომ ამ დახმარების გარდა ბევრს თითქმის არაფერი გააჩნია საარსებოდ.

უჭირს ხალხს, ერთეულების გარდა. უკვე ოფიციალურად აღიარებული მილიონერები აღარ მალავენ აურაცხელ სიმდიდრეს, პირიქით, ამაყობენ „პატიოსანი გზით“ ნაშოვნით. ქართველი კაპიტალისტები მხოლოდ ფულის ტომრებით კი არა, გარეგნობითაც ემსგავსებიან ერთ დროს ჩვენში სასაცილოდ და სამარცხვინოდ მიჩნეულ ოკეანისგაღმელ გაბერილ ძია სემს.

ტირის ბავშვი, რომელსაც შია. ტირის დედა, რომელსაც შვილი ვერ გამოუკვებავს, ტირის ხელგაწვდილი მათხოვარი, რომელიც ისევ და ისევ მშიერი ხალხის იმედზეა, ტირის კაცი, რომელსაც პატიოსანი შრომით ორიოდე გროში ვერ შეაქვს ოჯახში.

სიბნელე ჩვენს ფანჯრებში და სრული უკუნი მავანთა სულებში!

უშუქობით შეწუხებული თბილისელები ქუჩაში გამოსულან.

ქუჩაში კი რას არ გაიგონებ, რას არ ნახავ...

* * *

ორი ახალგაზრდა რაღაცაზე მშვიდად საუბრობს. უცებ ერთმა წამოიძახა:

— აუ, ბიჭო, გავგიჟდები...

— რა დაგემართა? — გაოცებული ეკითხება მეგობარი.

— ის კაცი, რომ მათხოვრობს, ჩემი ლექტორი იყო, — ძლივს ამბობს სათქმელს.

* * *

აირია ქვეყანა: საზღვრები დაუცველია, ქვეყნის ტერიტორიები დაკარგული, ჯარი კი, სანამ ზემოთ არკვევენ — ვინ, რატომ და როგორ გაძარცვა ჯარი, შაგრენის ტყავივით მცირდება.

ჯარზე გამახსენდა...

* * *

ახალგაზრდა ქალს პატარა ბიჭუნა ხელში ატატებული მიჰყავს, ორი კაბაზე ჩამოკონწიალებული მიჰყვება. მაღაზიაში პური იყიდეს. ბავშვებმა ფუნთუშები სთხოვეს დედას. იცის დარჩენილი ფული არ ეყოფა, მაგრამ ალბათ რაღაც სასწაულის მოლოდინში ითვლის ხურდას. სასწაული კი მართლაც მოხდა. იქვე მდგომმა სიცივისაგან მობუზულმა ორმა ჯარისკაცმა ჯიბეები ამოიქექეს და ბავშვებს ფუნთუშები უყიდეს. ბავშვებს გაფიცებთ, გამოგვართვითო, — სთხოვეს სახეშეფაკლულ დედას.

* * *

და ისევ ქუჩის დიალოგი:

— „თელასში“ ეტყობა მართლა იეღოველები მუშაობენ. მაგათთვის გიორგობა არ არსებობს და შობა...

— თორემ მთავრობაში რომ ქრისტიანები არიან, იმიტომ არის კარგად ჩვენი საქმე.

ცნობისათვის: ფსიქოლოგების აზრით, უმჯობესია საერთოდ არ იყოს შუქი, რადგან ნევროზულ დაძაბულობას შუქის გამუდმებული მოლოდინი იწვევს თურმე.

იქნებ გაითვალისწინონ ჩვენმა ენერგეტიკოსებმა!

* * *

მეტროს ვაგონი გადაჭედილია. ყველა თავისი წილი დარდით დამძიმებულა. სიჩუმეს ბავშვების ხმამაღალი სიცილი არღვევს. ჩუმად, სირცხვილიაო, — გააჩუმა ონავრები დედამ.

— იცინონ, შვილო, კიდევ კარგი ბავშვებს მაინც შემორჩათ სიცილის ხალისი, — უთხრა ხანდაზმულმა ქალმა და მანაც სცადა გაღიმება.

ვინ იცის, რამდენ ხანს გაჰყვებათ სიცილის ხალისი ჩვენს შვილებს, რომლებიც ბედნიერებას სინათლის მოსვლაში ხედავენ და ვისი გადასახდელიცაა უზარმაზარი ვალები, დასაბრუნებელია დაკარგული ტერიტორიები, ასაშენებელია გაპარტახებული ქვეყანა...

გაყინულ სახლებში შესვლა არ უნდათ თბილისელებს, მაგრამ შეღამდება და ბინებში შეიყუჟებიან, რადგან ჩაბნელებულ ქუჩებში სიარული არც მთლად უხიფათოა.

ესეც თბილისური შავ-თეთრი მოზაიკის კიდევ ერთი შავი ფილა, რომელსაც იმედია, თეთრი შეენაცვლება. იმედს წყალწაღებულებივით ვეჭიდებით, რადგან იმედს ჯერ კაცი არ მოუკლავს, შიმშილს, სიცივეს, უშუქობას, უფულობას კი მრავალი უმსხვერპლია.

ზამთარი კი ჯერ წინ არის, ვინ იცის, რამდენჯერ მოიქნევს კუდს და ქვეშ ვის მოიყოლებს...

მარინე ნაკაიძე









# საზოგადოების გულგრილობამ

ეს წერილი დიდმა გულისტკივილმა დაგვაწერინა, დიდმა გაჭირვებამ და უფრო კი იმედის გაცრუებამ. არადა, რა იმედით მოვდიოდით ჩვენს საყვარელ დედაქალაქში, ჩვენ საფიცარ ხალხთან. გვეგონა გაგვიგებდნენ, გაგვამხნევებდნენ, გვერდში დაგვიდგებოდნენ, ასე შთააგონებდით შვილებს. მტკივნეულია ჩვენთვის ამაზე ლაპარაკი, მაგრამ გაჩუმებაც აღარ ძალგვიძს. მოგვისმინეთ და განსაჯეთ, იქნებ ვცდებით, იქნებ მეტს ვითხოვთ.

ამ წერილს რვა შვილის მშობლები გწერთ, ძვირფასო რედაქციავ და საზოგადოებავ. მთელი ოჯახი დიდიან-პატარიანად ვემსახურებით ხელოვნებას. ეს არის: ხეზე კვეთილობა, სვანური ყოფითი ნიმუშების, ნახატების, ნაქარგების, ნაქსოვების შექმნა, პოეზია, ფოლკლორი და სხვა. ოთხი წლის წინ ჩამოვაყალიბეთ ოჯახური თვითმოქმედი ფოლკლორული ანსამბლი „ბეთქილი".

დღეს, როცა მწვავედ დადგა საკითხი ჩვენი გაერთიანებისა და გამთლიანებისა, ვფიქრობთ, ჩვენი ოჯახური მრავალნაირი შემოქმედება საერთო გამთლიანება-გაერთიანების ფერხულში ჩადგომაა. საკუთარი ხარჯით დიდი წვალებით ჩამოვიტანეთ სვანეთიდან თბილისში ექსპონატები. თან ბავშვებიც ჩამოვიყვანეთ, რათა თბილისში მოგვეწყო შემოქმედებითი შეხვედრა საზოგადოებასთან. გვსურდა, ჩვენი შემოქმედებით, პოეზიით და ფოლკლორით, ცოტა ხნით მაინც, დაგვევიწყებინა თავიანთი სატკივარი დევნილებისათვის, მოგვესმინა, რას გვეტყოდნენ ხელოვნებათმცოდნენი. უმწეო მდგომარეობაში მყოფი ინტელიგენცია ოპტიმისტურად განგვეწყო, თბილისელ მრავალშვილიანებს შევეხმიანებოდით, ბიზნესმენებისთვის დახმარება გვეთხოვა, მაგრამ ამას ყველაფერს მაინც ხარჯები და თანადგომა უნდოდა. ვისთანაც კი მივედით, პარლამენტარებმა, მთავრობის წარმომადგენლებმა, თუ შეძლებულმა კერძო პირებმა, ყველამ, თითქოს დაზეპირებული „დამაიმედებელი" პასუხი შეგვაგება:

— თქვენ არ იცით, როგორ უჭირს დღეს ქვეყანას. ხელფასებიც ვერ გაგვიცია თავის დროზე, ისეთი დროა. ასე რომ, ნუ გეწყინებათ, ვერაფრით დაგეხმარებით.

ასეთი ტონით ყველაფერზე უარის თქმა ჩვენთვის პანღურის ამორტყმას ნიშნავდა, მაშინ, როდესაც თანადგომის მრავალნაირი საშუალებაა, თუნდაც მორალური და სულიერიც. მათ გასაგონად გვინდა ვთქვათ:





ბატონებო და ქალბატონებო! ჩვენ თუ არა, ვინ იცის, როგორ უჭირს ჩვენს ქვეყანას, რომელსაც ამ დუხჭირ დროში, სხვა რომ არაფერი, რვა შვილს ვუზრდით. ტიტანური შრომის და თმენის ხარჯზე ბევრჯერ მშიერ-მწყურვალები სიმღერით და ლექსით ვნაყრდებით. ვცდილობთ, გადავარჩინოთ ჩვენი ფოლკლორი, დავიწყების მტვერი არ მივაკაროთ ჩვენს ეროვნულ სიმდიდრეს – სვანურ საგალობლებს, ბალადებს, ფერხულებს, შაირებს, ორნამენტებს, ფრესკებს, რელიგიურ რიტუალებს და ქართულ ადათ-წესებს. ჩვენ გვსურდა, ჩვენი ოჯახური ხელოვნება სითბოდ და სიცოცხლედ გადმოღვრილიყო დედაქალაქში, მაგრამ ვაი, რომ გულგრილობის ყინული დაგვახვედრეთ. დე ყველამ

# სათავესთან

ტელეფონით დავურეკე და შეხვედრა ვთხოვე. თავიდან იუარა, ცუდად გამოვიყურებიო, მაგრამ მალევე დამთანხმდა.

ნაცრისფერი დღე იდგა. ნაცრისფერი სახლებით შემოჯარულ ნაცრისფერ ქუჩას გავუყევი, იქვე სახლთან ნაადრევი და ნაგვიანევი ათრთოლებული იების პაწია თაიგული შევაკონინე და ჩაბნელებული საფეხურების ათვლა ვიწყე. ხელის ფათურით მივიწევდი წინ, აქა-იქ გენერატორების ზუზუნი უსიამოდ ხვდებოდა ყურს, ნანატრი შუქი კვლავ არსად ჩანდა. კიდევ ერთი გაუსაძლისი ზამთარი იწყებოდა, დაპირებებსავით უსასრულო და უიმედო.

ვარაუდით მივადექი კარებს და ხელის ხეირიანად შემართვაც ვერ მოვასწარი, ისე უცებ გაიღო. გული ჩამწყდა. მივხვდი, მოუთმენლად მელოდა, სტუმარს დანატრებულს არც უკითხავს ვინაობა.

პატარა მოკრიალებულ ოთახში



შემიძლვა სანდომიანი ღიმილით. ისე ბზინავდა იქაურობა, გაოცება ვერ დავმალე. ჩემი ხანდაზმული მასპინძლისაგან ასეთ კოპწიაობას არ მოველოდი, ვიცოდი, მარტო ცხოვრობდა.

— არა, მარტო არა ვარ, შვილო, — იუარა ქალბატონმა ელენემ, — რძალი და შვილიშვილი აქვე ცხოვრობენ, ისინი მპატრონობენ, შვილი კი, საუბედუროდ, სულ ახლახან გამომეცალა, — ოხვრით წარმოთქვა და თვალებში ცრემლი ჩაუდგა.

ჩემი სევდიანი მასპინძელი ქალბატონი ელენე აგლაძე გახლავთ, ჩვენი უფროსი კოლეგებისთვის კარგად ნაცნობი ჟურნალისტი, ყველა ქართული საბავშვო ჟურნალისა და გაზეთის ყოფილი რედაქტორი, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორი. ის ერთ-ერთი იყო, ვინც საყმაწვილო ჟურნალისტიკის სათავესთან იდგა.

ხანგრძლივი შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე ქალბატონ ელენეს უამრავ ცნობილ პიროვნებასთან ჰქონია ურთიერთობა, ჟურნალ „ოქტომბრელის"

# შიგ გულში დაგვჭრა

იცოდეს, რომ ამგვარ საქმეში უნდა ჩადებულიყო არცთუ დიდი ხნის წინ იუნესკოს მიერ გამოგზავნილი მილიონები. მერე ვინ ნახა თუნდაც ერთი ლარი?. ჩვენ და ჩვენნაირებს არაფერი შეხვედრიათ. სვანეთიდან დედაქალაქში ჩამოტანილი მრავალმხრივი შემოქმედება არ წყვეტს არსებობას. ჩვენ მივუძღვნით ხსოვნის საღამოებს უკვდავებაში გადასულ საამაყო მამულიშვილებს —



ბესარიონ ნიჟარაძეს, იაროსლავ იოსელიანს, მიხეილ ხერგიანს, ბორის კახიანს, ირაკლი ფარჯიანს, მაჰარბი გურგულიანს და სხვებს. ჩვენ ვიცით, რომ ეს შეიძლება პატარა, მაგრამ ეროვნული საქმეა და რაგინდ წინააღმდეგობებიც შეგვხვდეს, ღირს ტანჯვად და გარჯად, მაგრამ თქვენ? თქვენ წარმოდგენა მაინც თუ შეგიძლიათ, რა ძნელია რაიმე მნიშვნელოვანი ღირებულების შექმნა, როცა მრავალშვილიან ოჯახს თანადგომისა და ქველმოქმედების ნაცვლად მთავრობა კაპიკ-კაპიკ შეგროვილ საკუთარი 80000 აღრინდელ რუსულ რუბლს დაგაკარგვინებს, დახმარების ხელს არ გამოგიწვდის, შეგავიწროვებს.

ჩემო საყვარელო ქვეყანავ! ვიცით რა დღეშიცა ხარ, მაგრამ ვინც ამ დღეში ჩაგაგდო, ისინი ფუფუნებით ცხოვრობენ, ჩვენ კი შიმშილით სული გვძვრება. რვა მეომარი ერთი ოჯახიდან ცოტა საქმე ხომ არ არის? მაგრამ სიმრავლეს რა აზრი აქვს, როცა ფიზიკურად, მატერიალური სიდუხჭირის გამო, დამშეული და დაუძლურებული იქნებიან? არის თუ არა ასე, თქვენ გეკითხებით, ბატონო ხელისუფლების წარმომადგენლებო.

უწმინდესო და უნეტარესო, ბატონო ილია!- თქვენამდე მოსვლა ისევე გვიძნელდება, როგორც ბატონ პრეზიდენტამდე. ნახეთ ჩვენი ოჯახის შემოქმედება — ხეზე კვეთილობის შედევრები. არც ერთი ექსპონანტი არა გვაქვს ისეთი, რომელზეც ხატი და ჯვარი არ გვქონდეს ამოკვეთილი, არ გვქონდეს ლიბოურლევევი მურყვამი, მზე და ჯის-



ვი. ჩვენ ტაძართან მისასვლელ ერთადერთ ჭეშმარიტ გზად შემოქმედება და ხელოვნება მიგვაჩნია, მაგრამ ყველგან ყრუ კედელია, ყველგან უფინანსობა და უყურადღებობაა.

ბატონო პარლამენტარებო, თანამდებობის პირებო! პატრიოტობა მაღალი ტრიბუნიდან, ლამაზი სიტყვების თქმა და საკუთარ კეთილდღეობაზე ზრუნვა როდია, არამედ გაჭირვებული მოყვასისთვის საკუთარი წვლილის გაღება და ეროვნული საქმის უანგაროდ კეთება. მადლიერი ვართ ღმრთისა, რომელმაც ყველაზე დიდი სიმდიდრე გვაჩუქა და კიდევ ჩვენი საქმის და ქვეყნის სიყვარული შთაგვაგონა. დიახ, სიყვარული, რომლის გარეშე ბედნიერება არ არსებობს.

ბოლოს კი მოგმართავთ მათ, ვისაც ჩვენს კუთხეზე გული შესტკივა. ჩვენი შემოქმედება მხოლოდ ჩვენ არ გვეკუთვნის, იგი ერის კუთვნილებაა, გადაგვარჩინეთ იგი!

**დარიკო წიქიანი და რომეო ფირცხელანი**

*მესტია. სოფელი ლატალი*

---

იუბილარი

რედაქციაში მოღვაწეობა ნინო ნაკაშიძის ხელმძღვანელობით დაიწყო. — სათნო და ძალიან საყვარელი ღრმად მოხუცებული ქალბატონი იყო ნინო, ტანმორჩილი, სუფთა, თეთრი თმითა და ცოცხალი შავი თვალებით. სარედაქციო მუშაობა მისგან ვისწავლე. უამრავი ცნობილი პიროვნება გვსტუმრობდა რედაქციაში: შალვა დადიანი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ქუჩიშვილი, ალიო მირცხულავა, გრიგოლ აბაშიძე, მაყვალა მრევლიშვილი, მარიკა მიქელაძე, გიორგი ნატროშვილი, ილია სიხარულიძე, იოსებ გრიშაშვილი. მისი „ბაბაჯანას ქოშები" პირველად ჩვენთან დაიბეჭდა, — მოგონებებში იძირება.

ქ-ნ ელენე აგლაძეზე, როგორც უფროს კოლეგასა და მეგობარზე, სიამოვნებით საუბრობს ბ-ნი ვანო ცერცვაძე, რომელიც მაშინ „ნორჩი ლენინელის" განყოფილების გამგე გახლდათ, შემდგომში — რედაქტორი.

— ელიკო 1940-41 წლებში რედაქტორობდა გაზეთს. ძალიან კეთილი და თან გულუბრყვილოც იყო. თავად პატიოსანს, სხვისი ყველაფერი სჯეროდა.

რედაქციაში სულ ახალგაზრდები ვმუშაობდით: რეზო მარგიანი, ვახტანგ ჭელიძე, ნიკოლოზ აბზიანიძე, კარლო თენეიშვილი. ომი რომ დაიწყო, პატარა რედაქცია დაცარიელდა, მამაკაცები ფრონტზე წავედით. ჩვენი ერთადერთი მეკავშირე ელიკო იყო. ყველანი მას ვწერდით წერილებს და ერთმანეთის მისამართს და ამბებს მისგან ვიგებდით.

1941 წელს საბავშო გაზეთი დროებით დაიხურა და ელენე აგლაძე „კომუნისტში" განყოფილების გამგედ გადაიყვანეს, იქიდან — პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის დირექტორად.

მთელი ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სასახლეს და სწორედ მის ხელში მიიღო ის ფუნქცია და დატვირთვა, რითაც აგერ, აჰა, დღემდეა განთქმული.

იმ პერიოდში სასახლეს მრავალი განყოფილება და კაბინეტი ჰქონდა, სადაც დუღდა და გადმოდუღდა ცხოვრება. განსაკუთრებით პოპულარული იყო ლიტერატურის, ისტორიისა და ტურიზმის განყოფილებები, რომლებსაც ქეთევან ანანიაშვილი, ირინე სხირტლაძე და მზია ერისთავი ხელმძღვანელობდნენ.

პიონერთა სასახლის შემდეგ განათლების სამინისტროში გადაიყვანეს სამუშაოდ და თავისი მხქეფარე მოღვაწეობის ბოლო ოცი წელი იქ გაატარა.

მუდამ მოუღლელი და მოფუსფუსე ქალბატონი შესანიშნავი დედა და მეუღლე იყო. სამწუხაროდ, ცოლ-ქმრული ჭაპანის გაწევა დიდხანს არ დასცალდა — მეუღლე იმ ავადსახსენებელი რეპრესიების დროს დააპატიმრეს და გადაასახლეს, აღარც დაბრუნებულა. — კრიტიკოსი იყო და მწარე ენით ალბათ ვინმე გაანაწყენაო, — ამბობს ქალბატონი ელენე. ერთადერთი ვაჟის სიკვდილმა კი სიბერე გაუმწარა.

ახლა მისი ნუგეში შვილიშვილებია, განსაკუთრებით მისი გაზრდილი გიორგი, ყოველ წუთს რომ ეხმიანება საყვარელ ბებოს, — ხომ არაფერი გიჭირსო.

კიდევ... ბატონი ვანო ცერცვაძე, დღესაც რომ არ ივიწყებს უფროსი მეგობრის ამაგს, ყურადღებას და სითბოს არ აკლებს საყვარელ კოლეგას.

ჩვენ ალბათ ასეთი ადამიანებისაგან უნდა ვისწავლოთ უანგარობა და მადლიერების სათნოება.

**მანანა იმესაშვილი**

# დაუვიწყარი შეხვედრები არსენი ტარკოვსკისთან

როგორ მალულად შემომეპარა ასაკი... ყველაზე უკეთ ასაკი თავს იჩენს მოგონებათა სიმრავლეში. ჩვენ სამგანზომილებიან სივრცეში მხოლოდ სხეულით ვართ შემოფარგლული, თორემ თითოეული ადამიანი ღმერთს თავის ხატად და მსგავსად შეუქმნია და ის გრანდიოზული სამყაროს ნაწილია. ამდენად, მას შეუძლია თავისუფლად მოძრაობა სამყაროს ყველა განზომილებაში, სხვა ქვესამყაროებში. ყოველ შემთხვევაში, დროში მოგზაურობის გაცნობიერების უნარი ნამდვილად შეგვწევს. ჭეშმარიტად, ყოველი ჩვენგანი (თუმცა, შესაძლოა ვერ ვგრძნობდეთ ამას), „დასეირნობს" არა მარტო წარსულში, არამედ მომავალშიც. აბა, სხვანაირად როგორ აიხსნება მომავლიდან ინფორმაციის მიღება? აი, რაც შეეხება წარსულში გადანაცვლებას, ჩაძირვას, მას უფრო ჩვეულებრივად აღვიქვამთ დროის ღერძზე დალაგებული განვლილი ეპიზოდების მწკრივის სახით.

მაინც რა დიდი მანძილი გამომივლია. რამხელა მწკრივს გავცქერი დღევანდელი გადასახედიდან.

ჩვეულებრივად, ზოგი ეპიზოდი კანონზომიერად მიგვაჩნია, ზოგიც გვინდა სხვანაირი ყოფილიყო. ნათქვამია, წარსულის შეცვლა შეუძლებელიაო. მე კი მგონია, თუ წარსულს ოცნებით შევცვლით, ის მომავალზე მაინც ჰპოვებს ასახვას. იქნებ მართლაც ასეა, ვინ იცის...

არის ყველა ადამიანის ცხოვრებაში ისეთი ეპიზოდები, რისთვისაც ის განგებას მადლობას სწირავს. მეც არა ვარ გამონაკლისი. მადლობა უფალს ამისათვის!

ჩემი პიროვნული სამყაროს ყველაზე დიდი სიმდიდრე, ყველაზე დიდი ბედნიერება და ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავი ჩემი მეუღლე, ცნობილი მხატვარი რენო თურქიაა. ჩემთვის ყველაფერი შესანიშნავი, ღირებული და ძვირფასი მას უკავშირდება.

წარსულში ვხედავ არა მარტო საინტერესო, დიდებულ პიროვნებებს, არამედ უნიკალურ სამყაროთა მთელ გალერეას. (მადლობა ღმერთს, აწმყოშიც ვხედავ ბევრ ძვირფასს და სამომავლოდ ღირსსახსოვარს). მკითხველს ვთხოვ ნებართვას მის თვალწინ რიგრიგობით გავხსნა ზოგიერთი მათგანის კარი და ისიც შევიპატიჟო. ვფიქრობ, ინტერესმოკლებული მისთვისაც არ უნდა იყოს იმ დროჟამისა და იმ შინაარსის გაცნობა.

აკი მოგახსენეთ, ყველაზე ნათელი და ფერადოვანი, რაც ჩემს მეხსიერებაში აისახა, რენოს უკავშირდება. ეს შთაბეჭდილებები კი, უსათუოდ, ყოველთვის გასხივოსნებულია, მართლაც-და, გამორჩეული პიროვნების (რენოს, და არა მარტო მისი), სულიერი მეცენატის, (როგორც ამას თვითონ რენო ამბობდა), ქალბატონ ქეთევან ანანიაშვილის სახელით. მისი ჩემეული პორტრეტის წარმოდგენისათვის ძალიან დიდი „ტილო" დამჭირდება და დიდი „ვარჯაც". ასევე მომიწევს ყველა იმ ძირითადი ფერის გამოყენება, რომელიც ახლავს ყოველ მოგონებას, რაც რენოს ცხოვრებას უკავშირდება სიცოცხლეშიც და მისი გარდაცვალების შემდეგაც.

ქალბატონი ქეთევანის მხატვრული სახე არაერთი მისი აღზრდილის — სასიქადულო ხელოვანთა, მეცნიერთა, საზოგადო მოღვაწეთა მიერ დიდი სიყვარულით არის მრავალჯერ გაცხადებული საზოგადოებისათვის. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მათ შორის რენო თურქიას მიერ შესრულებული საყოველთაოდ აღიარებული ფერწერული ტილოა, რომელიც ქალბატონ ქეთევანს გამორჩეულად უყვარს. ჩემში ღვივდება შეგრძნება იმისა, რომ ეს სურათი აფრქვევს რაღაც სასწაულებრივ იდუმალ ძალას, სიხარულს...

რენოს გარდაცვალების შემდეგ მე მის მაგივრად, უფრო სწორად, მისი სულის თანხლებით, მივუყვები კოტე მესხის ქუჩას; ძველებურ ქვაფენილზე ვეძებ რენოს ნაფეხურებს. ქვები სხვადასხვა ფერისაა: მოთეთრო, მონაცრისფრო, ჭრელი, მუქი ლურჯი, მოწითალო, თქვენ წარმოიდგინეთ, ზოგი — მოცისფრო, მოვარდისფრო და მოიისფროც კი. ასეთნაირად. ისინი მეხმარებიან გამოვიცნო, რომელს აირჩევდა რენო, რომელ მათგანს დააბიჯებდა ფეხს, რომ სწორედ იმ ნაკვალევით მივიდე კოტე მესხის ქ. № 5-ში, მისთვის ძვირფას დიდ მეგობართან, ქალბატონ ქეთევანთან, სადაც გულუხვად მივიღებ სულიერ საზრდოს... თუ ძალიან მოვინდომებთ, ამ გზაზე მრავალი დიდი პიროვნების ნაკვალევის გამონათებასაც შევიგრძნობთ...

შევდივარ ქალბატონ ქეთევანთან და კედლებიდან მეგებებიან და მიღიმიან რენოს ფუნჯით სულჩაბერილი ქალბატონი ქეთევანის პორტრეტები, მისი ოჯახის წევრთა პორტრეტები... ჩემს წარმოსახვაში ცოცხლდება წარსულის დიდებულ დღეთა ფერადოვანი მირაჟები...

ქალბატონმა ქეთევანმა დამაკავშირა ბევრ პიროვნებას, ვისთანაც რენოს სიახლოვე ჰქონია, ან მისი ყურადღება დაუმსახურებია. რენოს შესახებ თავის მხატვრულ ნარკვევში — „დაბრუნებული ბავშობა" — აკი ბრძანებს ქალბატონი ქეთევანი, როგორ აღაფრთოვანა ბორის პასტერნაკი რენოს ბავშვობისდროინდელმა ნახატმა — „ბარათაშვილი მთაწმინდაზე", როგორ დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ მას გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, ლადო გუდიაშვილი, დიდი რუსი პოეტი არსენი ტარკოვსკი და სხვა.



ქეთევან ანანიაშვილი

ახლა კი მსურს სწორედ ერთ ეპიზოდზე მოგითხროთ. ეს იყო რენოს გარდაცვალების შემდეგ, 80-იან წლებში. მაშინ მოსკოვში ვმუშაობდი (ფიზიკოსი გახლავართ) და მივლინებით უნდა გამგზავრებულიყავი. ქალბატონ ქეთევანს ვუთხარი — ძალიან დიდი სურვილი მაქვს ვეწვიო არსენი ტარკოვსკის, გავახსენო თბილისი და რენოს შესახებაც გავესაუბრო-მეთქი... მაშინ პოეტი პერედელკინოში ცხოვრობდა თავის მეორე მეუღლესთან ერთად კინემატოგრაფისტთა სახლში... თვითონვე შეკვრთი ჩემი უცაბედი გადაწყვეტილებით. ნუთუ მომეცემოდა ასეთი საოცნებო შესაძლებლობა — პირადად შეხვედროდი თანამედროვეობის ერთ-ერთ უბრწყინვალეს პოეტს, ფენომენალური ანდრეი ტარკოვსკის მამას — არსენი ტარკოვსკის...

როცა არსენი ტარკოვსკი სტუმრობდა საქართველოში, ახლო ურთიერთობა ჰქონდა ქალბატონ ქეთევან ანანიაშვილის ოჯახთან, რომელთანაც ცნობილმა მწერალმა და მთარგმნელმა, ელიზბარ ანანიაშვილმა დააკავშირა. ქალბატონი ქეთევანის ძმა — ლევან ანანიაშვილი შესანიშნავი პოეტი გახლდათ, ხოლო მისი და — ქალბატონი ნუცა ანანიაშვილი — ფრანგული ენის ბრწყინვალე მცოდნე და მთარგმნელი. მათთან მეგობრობდნენ და ხშირად დადიოდნენ გალაკტიონ ტაბიძე, ტერენტი გრანელი, გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, ლადო გუდიაშვილი, ბესო ჟღენტი, ლიტერატურისა და ხელოვნების დარგის ქართველი თუ უცხოელი სხვა თვალსაჩინო წარმომადგენლები.

ერთხელ გიორგი ლეონიძეს არსენი ტარკოვსკი ბეთანიაში წაუყვანია. გვიან ღამით დაბრუნებულან თბილისში. შთაბეჭდილებებით მოხიბლული და აღფრთოვანებული ტარკოვსკი შესანიშნავ განწყობილებაზე ყოფილა. გოგლასთვის უთხოვია ანანიაშვილებთან ავიდეთო. გიორგი ლეონიძეს განუმარტავს — ასე გვიან მისვლა უხერხულია, ჩვენში არ არის მიღებული, ქუჩაში ვისეირნოთო... და გვიან ღამით ორი ბუმბერაზი პოეტი მიუყვებოდა კოტე მესხის ქუჩას და ლაღად საუბრობდა... და ამ განწყობამ, ღამის ამ იდილიურმა სიმყუდროვემ, სეირნობისას ტარკოვსკის ასეთი სტრიქონები შეაქმნევინა:

"Мне твои город нерусский  
Все еще незнаком  
Клен под мелким дождем,  
Переулок твой узкий...  
Бесприютные пари  
Под осенным дождем...  
В переулке твоем  
Я случайный прохожий,  
В этот час непогожий,  
В час, покорный судьбе,  
На тоску по тебе  
Чем то странно похожий"...

ეს ნაწყვეტი ქალბატონმა ქეთევანმა ზეპირად გაიხსენა და მითხრა, რომ შესანიშნავ პოეტს, ნუნუ კერესელიძეს ტარკოვსკის სხვა ლექსებთან ერთად ეს ლექსიც უთარგმნია. აი, ისიც: „წვიმა თბილისში":

„შენი ქალაქი არარუსული
ჩემთვის ჯერ კიდევ უცხო და შორი,
ეს ნეკერჩხალი და ჩუმი თქორი,
ეს ქუჩა — ვიწრო და მონუსხული.
სიჩუმე ცერად დაკიდულ შუკის,
რაღაც ძალიან მკვეთრი ფარები
წყვილები ასე შეუფარები,
წვრილი წვიმიდან სიჩუმე უქმი.
ქუჩაბანდები და შენი უბნის
გზა ზევით, ზევით დაუდევარად,
ძველ ქალაქს თითქოს გადაემალა
პატარა სახლი, ლამპარი ღრუბლის.
ხვეული გზები, ასე უსრული,
შტო ძველ ქალაქის თუ თმენის ფესვი,
აქ შენს ენაზე სიტყვები მესმის,
მახლობელი და არარუსული.
წყდება სახურავს და მეწვეთება
სქელ ბურუსებში გაცრილი წვიმა
და თითქოს ვხედავ: თეთრებში გძინავს,
მართლა თეთრებში გძინავს, ქეთევან?
ამ წვიმიან და უამურ საათს,
ამ წვიმიან და უამურ ღამით,
მე შემთხვევითი გვიანი მგზავრი
შენს აღმართებზე მავალი ცალად.
ამ წვიმიან და ულამურ საათს,
როცა ცივია წვიმა ამრიგად,
ვნებდები ჩემი ბედის გამრიგეს
და შენზე სევდას უზომოდ ვგავარ.

არსენი ტარკოვსკიც, ისევე, როგორც გერონტი ქიქოძე, გიორგი ლეონიძე, ბორის პასტერნაკი და სხვა ლეგენდარული პიროვნებები, დიდი ინტერესით და ხალისით სტუმრობდნენ მაშინდელ პიონერთა სასახლეში ქალბატონ ქეთევან ანანიაშვილის მიერ დაარსებულ ლიტერატურის კაბინეტს. კაბინეტში იმართებოდა ლიტერატურული საღამოები, კონფერენციები, დისპუტები.

ქალბატონმა ქეთევანმა გაიხსენა, რომ ბავშვებმა თურმე შესანიშნავად იცოდნენ და უყვარდათ არსენი ტარკოვსკის პოეზია. ერთხელ მოსკოვის ტელევიზიისათვის მიუმართავთ: ჩვენ გატაცებული ვართ არსენი ტარკოვსკის შემოქმედებით. გვიყვარს და გვაკლია მისი კრებულები. გთხოვთ, ჩვენი საოცნებო სურვილი გაგვიცოცხლოთ და ტელევიზიით მოგვასმენინოთ ავტორის მიერ წაკითხული მისი ლექსები...

ამ წერილს ხელს აწერდნენ ლიტერატურის წრის მაშინდელი წევრები: ელზა დოკვაძე, თამარ ჯავახიშვილი, რეზო თაბუკაშვილი, რენო თურქია, ნელი გაბრიჩიძე, დენიზა სუმბაძე, ნელი მახარაძე, მელორ და დევი სტურუები, მაყვალა ჯმუხაძე, გურამ ასათიანი, არჩილ ბეგიაშვილი და სხვები. წერილზე მოსკოვის ტელევიზიიდან უპასუხნიათ: მოხარულები ვართ, რომ დიდი რუსი პოეტის მიმართ ასე დიდ პატივისცემას და სიყვარულს იჩენთ, მაგრამ მისი შემოქმედება ძალიან ლირიულია და, ნუ გვიწყენთ, საამისოდ არ გამოდგება. თუ მასზე სხვა რამ გაინტერესებთ, შემოგთავაზებთ.

ბავშვების სურვილს, რომ იტყვიან, „ცივი წყალი გადაასხეს“. ისინი ძალზე განაცვიფრა ასეთმა პასუხმა. ხომ არ იყო ამაში დამნაშავე ვინმე კონკრეტული პოეტი ან ლიტერატორი, რომელიც შესაბამის განყოფილებას ხელმძღვანელობდა იმ დროს?..

ქალბატონმა ქეთევანმა გაიხსენა კიდევ ასეთი ეპიზოდი: რუსთაველზე შეხვდა გოგლა ლეონიძე. ქეთო, მოდი სასტუმროში ავიდეთ ტარკოვსკისთანო, — უთქვამს. ქალბატონმა ქეთევანმა იუარა, მაგრამ გოგლას მაინც დაუყოლებია და სწვევიან ტარკოვსკის. პოეტს ძალიან გახარებია, რადგანაც დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ყოფნა და ბაასი თავის ქართველ მეგობრებთან პოეზიაზე, მხატვრობაზე, თეატრზე, ქართულ და რუსულ თარგმანებზე. ამ მხრივ მას შემოქმედებითი მეგობრობა აკავშირებდა ქალბატონი ქეთევანის დასთან, ქალბატონ ნუცა ანანიაშვილთან, რომელიც ტარკოვსკის ქართველ პოეტთა ბწკარედებს აწვდიდა ხოლმე. იმ დღეებში ქალბატონ ნუცას რეზო თაბუკაშვილისა და მელორ სტურუასათვის გაუტანებია მასთან ახალი ბწკარედები. ბავშვები განცვიფრებულები გამობრუნებულან. არსენი ტარკოვსკის უთქვამს მათთვის: “Я очень сильно люблю Грузию, но Грузия не так любит меня”...

ნეტავ რამ ათქმევინა პოეტს ეს სიტყვები, ხომ არ ჰქონდა მას ამისთვის რაიმე საბაბი? საქართველო მას ნამდვილად ძალიან უყვარდა.

აქ კიდევ შევთავაზებ მკითხველს ქალბატონ ნუნუ კერესელიძის მიერ თარგმნილ ტარკოვსკის ერთ ლექსს: „მე შორეული შენი ხმა მესმის“:

„წვიმის წვეთები ღამეს ჰკვეთავდნენ,
ჩამოდიოდა სინათლე ფრთებით,
ავდრიან ღამით შევხვდით შენ და მე
პირველად, ისიც შემთხვევის ნებით.
ცისარტყელებით შემოჯარული
სველ ლამპიონებს ნისლში გაჰქონდა
და მათ წინასწარ გამცნეს ფარულად,
რომ სიყვარული მოგიახლოვდა.
რომ ჩავლილია ზაფხულის ზეცა,
რომ ცხოვრებაა მწარეც და წმინდაც,
რომ რაც წაიღო, წაიღო — შერჩა,
მაგრამ ამ ქვეყნად სიცოცხლე გინდა.
არ ილეოდნენ წვეთები წვიმის
და შენს ლოყებზე თითქოს ტიროდნენ,
წინ უგონობა გველდო და მძიმე
ჩვენ თურმე ბევრი რამ მოვინდომეთ.
მე შორეული შენი ხმა მესმის
და არ იქნება მხარი მხარს მივცეთ,
მთელი ღამეა ხმაურობს თქეში
და იმღამინდელ შეხვედრას იწვევს...“

ქალბატონმა ქეთევანმა მითხრა, რომ არსენი ტარკოვსკისათვის რომელიღაც ხანდაზმული ასაკის, მგონი 70 წლის იუბილე მიულოცავს თბილისიდან ასეთი შინაარსის ადრესით: “Неужели все 70 лет? И все-таки жизнь чудо из чудес, если есть Вы и Ваши гордые, непреклонные стихи”.

მილოცვაზე ტარკოვსკის ქალბატონი ქეთევანისათვის პასუხი არ გამოუგზავნია, მაგრამ სულ მალე ლიტერატურულ გაზეთში, თითქოს სანაცვლოდ, გამოუქვეყნებია ლექსი.

ქალბატონმა ქეთევანმა ზეპირად გაიხსენა სტრიქონები ამ ლექსიდან:

“Все стало так
Как мост разносят.
Двинулось вкривь и вкось,
Ты пришла, но так не приходят.
Слишком долго ждать пришлось.
И стало ясно, пара весел
Липкую глубь земли сведет с ума
Я бы тебя с лодки сбросил,
Еслиб ты не пришла сама...”

ეს მძაფრი მიმართვა პოეტის ძლიერი შინაგანი პროტესტის გამოხატულებაა, ალბათ, რეალობის შეცვლის უძლურებით გამოწვეული.

ელიზბარ ანანიაშვილის მეუღლემ, რომელიც მეგობრობდა არსენი ტარკოვსკისთან, მითხრა: ქეთოს წარმოდგენაც არა აქვს, რომ მას შემდეგ, რაც ის არსენი ტარკოვსკიმ გაიცნო, მთელი თავისი სატრფიალო ლირიკა მას უძღვნაო.

... და სამუდამოდ დარჩა ქალბატონი ქეთევანი არსენი ტარკოვსკის პოეზიის შორეულ, მიუწვდომელ ფერიად, მარადიულ მშვენიერ მუზად...

... მადლობელი ვარ ქალბატონი ქეთევანის, რომ დიდ პოეტთან შეხვედრის მონაწილე მოსკოვში წასვლამდეც გავხდი...

მკაცრი რუსული ზამთარი იდგა. საქმით დატვირთული ვიყავი და მხოლოდ საღამოთი შევძელი „ელექტრიჩკით“ პერედელკინოში გამგზავრება. მივედი კინემატოგრაფისტთა სახლში. არსენი ტარკოვსკი მეუღლესთან, ქალბატონ ტატიანასთან ერთად კინოს დარბაზში ბრძანდებოდა. მეც შევედი. დიდი მოწიწებით მივუახლოვდი და მოვახსენე — მე თბილისიდან გახლავართ და ქალბატონ ქეთევან ანანიაშვილისაგან გადმოგცემთ მოკითხვას-მეთქი. მას სახე გაუბრწყინდა, გულში ჩამიკრა. თავიანთ ბინაში შემიპატიჟეს.

ძნელია გადმოგცეთ ის განცდები, რაც მე მაშინ დამეუფლა. ერთის მხრივ, სიხარულის და სიამაყის გრძნობა, რომ მე წილად მხვდა ბედნიერება, ასეთ პიროვნებას შევხვედროდი, მეორეს მხრივ კი, დიდი სევდა, ტკივილი და სინანული — კედლებიდან ხომ ანდრეი ტარკოვსკის მეტყველი სურათები შემომცქეროდნენ... და იმიტომაც, რომ არსენი ტარკოვსკის მომხიბლავი, ვაჟკაცური იერისათვის, მისი უაღრესად მგრძნობიარე და სათუთი ბუნებისათვის, წლებთან ერთად იმ სულიერ ტრავმას ძვირფასი პირმშოს დაკარგვისა, ძალიან მძიმე დაღი დაესვა. მისი ჯანმრთელობა სერიოზულად იყო შერყეული... თუმცა ამაზე სიტყვაც არ უთქვამს, შეუძლებელი იყო ეს ყველაფერი მის გამომეტყველებაზე არ ამოგეკითხათ.

როცა ვუთხარი, მხატვარ რენო თურქიას მეუღლე ვარ-მეთქი, სახეზე თბილი ღიმილი მოეფინა. გაიხსენა რენოს ბავშვობისდროინდელი ნახატები, ლიტერატურის კაბინეტს რომ ამშვენებდნენ. როცა გაიგო რენოს გარდაცვალების შესახებ, დიდი გულისტკივილი გამოთქვა...

მერე არსენი ტარკოვსკიმ თავისი ლექსების კრებულიც მაჩუქა. ვთხოვე, რომ წარწერა მარტო ჩემ სახელზე კი არ გაეკეთებინა, არამედ რენოსთვის და ჩემთვის ერთად ეჩუქებინა... და ასეთი წარწერით ახლა ეს წიგნი ჩვენთვის ძალიან ძვირფასი და ფასდაუდებელია.

ამ დროს მათ ეწვია ახლობელი ახალგაზრდა კაცი, რომელმაც ამცნო, რომ ამ დღეებში უკვე მზად იქნებოდა და მოიტანდა გრამფირფიტებს არსენი ტარკოვსკის ლექსების ზეპირი კითხვის ჩანაწერებით. შემთავაზეს, რამდენიმე დღეში კვლავ ვწვეოდი მას, რომ ეჩუქებინათ ეს გრამფირფიტები. აქამდე სინანულს განვიცდი, ეს რომ ვერ შევძელი, ჩემი მივლინების დღეები ამოწურული იყო.

ვიჯექი დიდი პოეტის გვერდით დივანზე და მინდოდა, ეს წუთები დიდხანს გაგრძელებულიყო. თან გუნებაში თავს ვიწონებდი, რომ ასეთ თოვლიან ამინდში, ყინვაში, ასე გვიან ღამით პერედელკინოდან მოსკოვში მარტოდმარტო უნდა დავბრუნებულიყავი. ამიტომ ყოველი წუთით ჩემი დაყოვნება გმირობის ტოლფასად მეჩვენებოდა. ისე გავიანგარიშე, რომ „ელექტრიჩკის“ შემდეგ მოსკოვში მეტროს ბოლო მატარებლისათვის მაინც მიმესწრო.

... ძალა დავატანე ჩემს თავს და გამოსამშვიდობებლად წამოვდექი. არსენი ტარკოვსკი გადამეხვია და გულზე მიმიხუტა... და მე ვგრძნობდი, რომ ის ეამბორებოდა თავის ქართველ მეგობრებს, საქართველოს, რომელიც ასე სათუთად უყვარდა...

რამეს ხომ არ დამაბარებთ ქალბატონ ქეთევანთან-მეთქი. მან მეუღლეს სთხოვა ფურცელი და კალამი მიეწოდებინა და ქალბატონ ქეთევანს ასეთი ბარათი გამოუგზავნა:

„მადლობას ვწირავ განგებას ყოველი წუთისათვის და ყოველი სიტყვისათვის, რომელიც შენ ჩემთვის გიჩუქებია“...

**ესმა გომელაური-თურქია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ...და რატომღაც დაგვავიწყდებოდა



ჩვენი ულამაზესი, უმშვენიერესი და უნიჭიერესი მსახიობი დოდო ჭიჭინაძე ამჟამად, წუთშესვენებას რომ ეძახიან, იმ ასაკშია. მთლად ნორჩებს ველარ ვათამაშებთ და ბებრების სათამაშოდ ჯერ არ გვემეტება.

არ დამიწყო ახლა, ჩემო დოდო, იტალიური და უკმარისობის და უკმაყოფილების ღრუბელი არ ვნახო შენს მშვენიერ და ბრწყინვალე სახეზე.

გენაცვალე, შენ რომ როლები გითამაშია ეკრანსა და თეატრის სცენაზე... შენისთანა ტრიუმფი ბევრს არ ღირსებია საქართველოში – თანაც რა პარტნიორებთან ერთად?! (მარტო დავით გურამიშვილის სატრფო ქეთევანი და ევრიპიდეს „მედეა“ რად ღირს!)ჰოდა, გენაცვალოს ჩემი სიცოცხლე, შენს ფართო, დარბაზისხელა ბინა-ტაძარში გაშალე მოგონებათა უკიდეგანო ზღაპრული ხალიჩა. დღეში რამდენჯერმე აუარე და ჩაუარე და ეგ არის – გაცოცხლდებიან შენი გმირები: („ბაში-აჩუკის“ ნინო, მზია „ცისკარაში“, ქეთევანი, ეთერი, კატიუშა მასლოვა, ანა ბატონიშვილი, ივდითი, მედეა, მარია ხოსეფა, შირინი, მზევინარი, ლედი ანა, ხათუნა, აფხაზი დედა, ლუჩია პეტრელა და სხვა მრავალი. ყველას ვინ ჩამოთვლის!

აუარებელ ეპიზოდს შორის, რაც მე მახსოვს შენზე, ორიოდეს მოვიგონებ მხოლოდ.

60-იანი წლებიდან მოყოლებული თითქმის 20 წლის განმავლობაში მარჯანიშვილის თეატრში დიდი ანშლაგით მიდიოდა არჩილ ჩხარტიშვილის მიერ დადგმული სპექტაკლი „მედეა“.

ბრწყინვალედ ითამაშა სწორუპოვარმა ვერიკომ მედეას როლი. შემდეგ მსოფლიოში განთქმულმა ბერძენმა მსახიობმა ასპაზია პაპატანასიუმ, და მერე შენი ჯერიც დადგა (თანაც ამ ტიტანების მერე თამაში არ გინდა?). ღმერთი სამობით არის, ხომ გაგიგია.

ჰოდა, ღმერთის რჩეულო, სწორედ მესამე მედეა დაიბადა ჩვენს თეატრში – შენი სახით იმ დღეს.

... ხომ გახსოვს ის დღე, შენი გულისათვის ორჯერ ვითამაშეთ სპექტაკლი „მედეა“. განუმეორებელი, ამაღლებული, ულამაზესი და ბრწყინვალე იყავი იმ დღეს „მედეაში“. დგანდგარებდა ტაშისაგან თეატრის კედლები.

შენი მაყურებლები კი ჩვენ ვიყავით – შენი პარტნიორები, თეატრის მსახიობები, რეჟისორები, კომპოზიტორები, მხატვრები და მთელი ტექნიკური პერსონალი. ვტიროდით სიხარულისაგან (შენ კი გახვითქული თრთოდი განცდებისაგან). თვითონ დიდი ვერიკო გიკრავდა ტაშს აღიარების ნიშნად. იმ დღიდან სპექტაკლი „მედეა“ შენი კუთვნილება გახდა. ვახტანგ ნინუამ იმ დღეს გმირი გიწოდა, უმამაცესი გმირი. სწორედ თავისებური გმირობა და გამბედაობა იყო იმ დღეს შენი თამაში.

... რამდენი წლის სიცოცხლის ფასად დაგიჯდა იმ დღის მღელვარება? – ალბათ, ბევრის.

გავიდა დრო... 65-იან წლებში, მე და ტარიელ საყვარელიძე ისევ შევხვდით ერთმანეთს რეზო ჯაფარიძის „ჯარისკაცის ქვრივში“. შენ ჩვენი ერთადერთი ქალიშვილი იყავი – უმშვენიერესი და საყვარელი ხათუნა.

ეს სპექტაკლი ომის თემაზე იყო. ომში დაიღუპა შენი ვაჟკაცი ქმარი და დაგრჩა სამი პატარა ბიჭი გასაზრდელად. არ გაგვიგონე მშობლებს, ერთ დღესაც აიბარგე და სამი პატარა ბიჭით ქმრის ფუძე-კარს მიაშურე. იყო ასეთი სცენა ამ სპექტაკლში, შენი გადაწყვეტილებით გამწარებული მამაშენი – მინაგო ყანჩაველი (იგივე ტარიელი) ავანსცენაზე მეზობელ პაპუნასთან (მსახიობი ალ. სიხარულიძე) ბობოქრობს ორღობეში შენი წასვლის გამო.

მე და შენ სცენის მიღმა უკანა პლანზე ბნელში მიყუჟულები ვისხედით ბუხრის პირას პატარა სამფეხა სკამზე. შენი მშვენიერი თავი ჩემს კალთაში გქონდა ჩარგული და გულამოსკვნილი ჩუმად ქვითინებდი და მემუდარებოდი: – რა ვქნა დედა! უნდა წავიდე, ვერ დავრჩები, ჩემი ბიჭები თავიანთი მამის ფუძეზე უნდა გაიზარდონ. ქვითინებდი და გითრთოდა ცივი ხელები, მე რომ მეფერებოდი – მაგ ლამაზი ბრიალა თვალებიდან ღვარღვარა ცრემლები გცვიოდა და გულს მივსებდა მწარე სევდა.

ეს ჩვენი ღუღუნი არავის არ ესმოდა ჩვენს მეტს, ქ... ყველაფერი შენი განწყობის შესაქმნელად იყო ჩაფიქრებული. სცენის წრე ბრუნავდა და ჩვენს წინა პლანზე ავანსცენაზე გამოვდიოდით ცოცხალი სურათივით და იწყებოდა მშვენიერი დიალოგი – ნაღდი და მღელვარე. ამ სურათის მხილველი გიგა ლორთქიფანიძე პირველი შემოჰკრავდა ხოლმე ტაშს და იქცეოდა მაყურებლის ტაშის გრიალში თეატრის კედლები.

მაგრამ ამავე პიესაში სხვა სცენაც გვქონდა საავადმყოფოში, სადაც მამაშენი ტარიელ საყვარელიძე – მინაგო კვდებოდა.

ფარდა იხსნებოდა. მინაგო-ტარიელი საწოლში იყო გაშოტილი და შენ სასთუმალთან იჯექი დაღონებული. მე შემოვდიოდი კალათით და მომაკვდავ ჩემს ქმარს – მამაშენს მივმართავდი ასე: მინაგო, რავა ხარ შე უბედურო?.. ქათამი მოგიტანე-თქო. ტარიელი ცალ თვალს გაახელდა, შემომხედავდა და ჩაილაპარაკებდა: შენ ხელში რავა ვიქნებიო და კვდებოდა. იმ დღეს კი ამ მომაკვდავმა მინაგომ, იმის მაგივრად რომ მომკვდარიყო, გაიგონა თუ არა, ქათამი მოგიტანეო, უცებ გაცოცხლდა, ლოგინში მარდად წამოსკუპდა, ტუმბოდან თეფში დაითრია, ცხვირთან მომიტანა, თეფშზე თითით დააკაკუნა და მიყვირა: – სად არის ქათამი, ახლავე აქ დადეო.

მე და შენ წუთით გავშეშდით – ამას ხომ ფსიქოლოგიური ფიქსირება უნდა, რით გავამართლო მოქმედება და პასუხი მსახიობის ანცობის გამო (დიდი ვაჟკაცობა იყო ჩვენთვის სიცილისაგან თავის შეკავება). მე გონება მოვიკრიბე, მივედი ავადმყოფთან, მოვეხვიე-მოვეფერე (ერთი მაგრად ვუჩქმიტე, კაი მუჯლუგუნიც არ დავიშურე), დავაწვინე ძალისძალად, საბანი ნიკაპამდე ავუწიე – კინაღამ დავახრჩვე საწყალი ტარიელი და ალერსიანად ვუთხარი – არ შეიძლება შენი ხვანცალი, წყნარად იყავი-თქო. ამასობაში მამაშენმა ტარიელმა-მინაგომ თვალები გადაატრიალა... კარგა დააბრუციანა-დააელმა, გვითხრა მშვიდობითო და სული განუტევა.

შენ რა გიჭირდა რა... ერთი შეყვირე მამიკოოო, ამოიქვითინაამოიხარხარე და მამაშენს ტარიელ-მინაგოს დაემხე, მის საბანში თავი ჩარგე და ისეთი ტირილი მორთე, რომ პარტერში ჩვენი ცოდვით მაყურებელი დაიწვა, გულამოსკვნილი ტიროდნენ და ბრავო... ბრავოოო... გეძახდნენ.

... ჩვენი განუყრელი მეგობრობა დღესაც გრძელდება. ბევრჯერ დამხმარებიხარ შენი გამრჯე მშრომელი ხელებით საქმის საკეთებლად (უშანგის იუბილეებზე). ბევრჯერ კარგი პურმარილიც მოგიტანია ჩემთვის. კაბებიც და ტუფლებიც ჩაგიცმევია, კარგი აბაზიანისხელა ბროლივით დაკაჭლული ერთი ტომარა სიმინდიც მომიგრიალე გუშინ და სულ ვოცნებობ და შემოგწუწუნებ შენ – ე, გოგო, რომელიმე მილიონერთან წავიდეთ, იქნებ ვინმეს ფული დავცინცლოთ-მეთქი. აპა... გაგიგონია? ეს წუწურაქი დღევანდელი მდიდრები არაფერს არ გვაძლევენ (მაგათი დედაც ვატირე, რად უნდათ ამდენი ფული და ამდენი სახლები, ა?).

... არ დამიწყო ახლა ისევ იტალიური – როლებს არ მაძლევენო. ხომ თამაშობ ორ თეატრში – ორ ახალ როლს. დააცადე თეატრების ხელმძღვანელობას, კიდევ მოგცემენ.

და კიდევ არ დამიწყო წრიპინი – მარტო ვარო... აბა ვისია ეს ანგელოზივით ბიჭები – შენი ძმისშვილები, ჭიჭინაძეები.

... ჰეი, ვინ მოდის მანდ მომავლიდან... გახედე რა შოლტოლა ჯიშიანი ბიჭები არიან, მარტო გოგი ჭიჭინაძე რად ღირს – ულამაზესი ვაჟკაცი, აღიარებული მუსიკოსი.

ჰოდა გვაცადე ბატონო, ნუ შეაწუხებ შენს ღმერთივით ძმას – რეზო ჭიჭინაძეს, შენს სათნო რძალს ბაბო მიქელაძეს და ჩვენს ორიოდე ღერ დარჩენილ სამეგობროს.

„ქარი გიმღერის ნანასა,
ზღაპარს გიამბობს ჭადარი“...

...ჰოდა, სხვა საქართველო სად არის, გენაცვალე, რომ შენისთანა მშვენიერი ქალბატონები დადიან დედოფლობა რომ დამშვენდებოდათ და დააბრიალებენ ულამაზეს შავშავ თვალებს.

შენი ნინიკო ჩხეიძე

# დიდოსტატი



მოცეკვავე რუსუდან ბერიანიძე

ჩვენი ჟურნალის გარეკანზე დღეს გთავაზობთ ცნობილი თბილისელი ფოტოხელოვანის, საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მუშაკის, მრავალი საერთაშორისო ფოტოგამოფენისა და ფოტოკონკურსის პრიზიორის ალექსანდრე სააკოვის ფოტოებს.

სულ ახალგაზრდა იყო ჩვენი ალიკა (ასე ეძახიან მას სიყვარულით), როცა „ახალგაზრდა კომუნისტის“ რედაქციაში თავისი პირველი ფოტოები მიიტანა და ყველა სასიამოვნოდ გააოცა. ეს ბიჭი სულ სხვანაირად ხედავდა, აღიქვამდა და აღბეჭდავდა სინამდვილეს. ვთქვათ, ეს იყო თბილისის რომელიმე კუთხე, ასე ნაცნობი და რაღაცით უცნობი. რა იყო ის უცნობი, რასაც ჩვეულებრივი თვალი თითქმის ვერ ან არ ამჩნევდა, ფოტოხელოვანმა კი შენიშნა და ჩვენც დაგვანახა მისი სილამაზე და განუმეორებლობა. ეს იყო, ვთქვათ, პატარა საოცარი ხვეული რკინის ძველი ჭიშკრის ჩუქურთმაში, თბილისური ხვეული კიბის მოაჯირის რიკული, რომლის ჩრდილი აივანზე უცნაურ სურათს ხატავს, დაღლილ-დაქანცული ბალერინა კულისებში მიგდებულა და ოფლით დაცვარულ შუბლს იმშრალებს. მეტაფორა: ის სილამაზე, რასაც ბალერინა სცენაზე გვიჩვენებს, ამ ოფლის ღვრის შედეგია.

თონეში მთელი ტანით ჩაკიდული რაჭველი მეპურე, ზემოთ აშვერილი შიშველი ქუსლები რომ უელავს. თითქმის აკრობატული ილეთი. საოცარი შეგრძნებაა, თითქოს ცხელი შოთის სუნი გცემს.

თანამედროვეობის გამორჩეული ადამიანების სააკოვისეული პორტრეტები რაღა ღირს! არაჩვეულებრივი ხიბლი და ღირსება გამოსჭვივის ელენე ახვლედიანის, ლადო გუდიაშვილის, ნინო რამიშვილის, ნინო ანანიაშვილის, სვიატოსლავ რიხტერის, ვლადიმერ ვისოცკის, ბელა ახმადულინას, ალა პუგაჩოვას და სხვათა პორტრეტებიდან.

თვითონ ალიკაც ხომ ახვლედიანისა და გუდიაშვილის მოწაფედ თვლის თავს. ეს საუკუნის ადამიანებიც რომ დიდად აფასებდნენ სააკოვის ფოტოხელოვნებას, ეს მათ სამახსოვრო წარწერებშიც ჩანს და მათ ურთიერთობაშიც ცხადად იგრძნობოდა.

ალექსანდრე სააკოვი ფოტოხელოვნებაში მუსიკალური სამყაროდან მოვიდა. იგი დასარტყმელ ინსტრუმენტებზე უკრავდა ქართულ საესტრადო ანსამბლ „ორერაში“, მაგრამ ხელი დაიზიანა და ანსამბლს თავი დაანება, რადგან ბუნებით მაქსიმალისტია — თუ რამეს აკეთებს ან ძალიან კარგად უნდა გააკეთოს, ან — სულაც არა. ამ დროს დაემთხვა გურამ თიკანაძის შემოქმედების გაცნობა და ჭაბუკი ფოტოგრაფიით „დაავადდა“.

მოსკოვში სააკოვის გამოფენის ნახვის შემდეგ (ეს იყო ოციოდე წლის წინ) ამერიკელმა ფოტორეპორტაჟის ერთ-ერთმა ფუძემდებელმა შარლოტა ბრუკსმა დაწერა:

„ძალიან იშვიათია, რომ კაცი ასეთი თანაბარი წარმატებით მუშაობდეს სრულიად განსხვავებულ ჟანრებში. მისი ფოტოები ცოცხალი და უშუალო, ბრწყინვალე ფერებისა და კომპოზიციური გადაწყვეტით, გხიბლავენ გულწრფელობით“.

ახლაც თბილისში გამოფენამდე ალექსანდრე სააკოვის გამოფენა მოეწყო მოსკოვში, სადაც ხელოვანმა გამოფინა პორტრეტები, თბილისური ჩანახატები და სიურეალისტური ნამუშევრები — თავისებური ექსპერიმენტის შესანიშნავი შედეგი. მოსკოვში ოსტატის ნამუშევრებმა სპეციალისტთა და დამთვალიერებელთა უდიდესი მოწონება დაიმსახურა. სააკოვის ნამუშევრები არაერთხელ დაბეჭდილა უცხოეთში გამომავალ თითქმის ყველა პრესტიჟულ ჟურნალში, რუსეთისა და მსოფლიოს მრავალზე მრავალ გაზეთში. ასე რომ, მისი დიდოსტატობა ეჭვს არავის იწვევს.

მე სხვა რამეც ვთქვა: ჩვენი ალიკა ნამდვილი თბილისელია. სულით არისტოკრატი, მოკრძალებული, ელეგანტური. ზრდილი და უანგარო.

აგერ თითქმის ორმოცი წელი გაიდება მასთან ვთანამშრომლობ და არ გამიგონია ან ფულზე ელაპარაკოს, ან პონორარი მოეთხოვოს, ან გაჭირვებაზე ეწუწუნოს, ან ვინმეს მისი ნამუშევარი მოეწონებოდეს და საჩუქრად არ მიეღოს. თუმცა ბევრი რამ აკლია, არამც თუ მანქანა (ასე აუცილებელი ფოტორეპორტიორისათვის), ტელეფონიც არა აქვს, მაგრამ ყოველივე ამას არა აქვს კავშირი კაცის სულიერ სიმდიდრესთან.

„თბილისის გარდა ვერსად ვიცხოვრებდი, პარიზშიც კი“, — გულწრფელად თქვა ერთხელ ოსტატმა და ამ სიტყვების გულწრფელობაში წამითაც არ შემპარვია ეჭვი.

რა სასიხარულოა, რომ თბილისიც ასეთივე სიყვარულით პასუხობს მის წიაღში აღზრდილ ხელოვანს. ამის დასტური იყო რამდენიმე ხნის წინ ქარვასლაში მოწყობილი ვერნისაჟი. ეს ფოტოებიც იმ ვერნისაჟიდანაა.

**ნარგიზა მგელაძე**



ნინო რამიშვილი რეპეტიციაზე



ელისო ვირსალაძე

## გაბრიელ გარსია მარკესი

# სენიორა ფორბესის ბედნიერი ზაფხული



მხატვარი ცინარა ტერელაძე

საღამოს შინ დაბრუნებულს კარის ჩარჩოზე ყელით მილურსმნული გველთევზა დაგვხვდა. შავი და ლაპლაპა, ჯერ კიდევ ცოცხალი თვალებითა და ხერხივით კბილებით ბოშათა შესალოცთოჯინას ჰგავდა. იმხანად 9 წლის ვიყავი და ამ კოშმარულმა სანახაობამ ძარღვებში სისხლი გამიყინა და მეტყველების უნარი დამაკარგვინა. ჩემზე ორი წლით უმცროსმა ძმამ კი ჟანგბადის ბალონები და საყვინთავი ნიღბები მიწაზე დაყარა და თავზარდამცემი ყვირილით გაიქცა. სენიორა ფორბესს მისი ხმა სანაპიროდან სახლისკენ ამომავალ ქვის ვიწრო კიბეზე მოესმა და შიშით გაფითრებული და აქოშინებული ამოვარდა, მაგრამ კარზე მიჭედებული თევზის დანახვაზე ყველაფერს მიხვდა. სენიორა ფორბესი ხშირად იმეორებდა ხოლმე, როცა ორი ბავშვი ერთად თამაშობს, თითოეული ცალ-ცალკე აგებს პასუხს მეორის ქმედებაზეო. ამ პრინციპიდან გამომდინარე, ჩემი ძმის ყვირილის გამო ორივე დაგვტუქსა და თავშეუკავებლობა გვისაყვედურა. ეს ყველაფერი გერმანულად მოგვახსენა და არა ინგლისურად, რასაც ჩვენს მშობლებთან გაფორმებული კონტრაქტი ითვალისწინებდა. ალბათ, თვითონაც შეშინებული იყო და ცდილობდა არაფერი შეემჩნია, მაგრამ სული მოითქვა თუ არა, ხორკლიან ინგლისურსა და პედაგოგიური მოვალეობის შესრულებაზე გადავიდა.

— ეს murena helena-ა, — გვითხრა, — ასე იმიტომ ეწოდება, რომ ძველი ბერძნები წმინდა ცხოველად მიიჩნევდნენ.

უცებ კაპარის ბუჩქებიდან იქაური ბიჭი ორესტე გამოძვრა, რომელიც ღრმა წყლებში ცურვას გვასწავლიდა. შუბლზე საყვინთავი ნიღაბი ეკეთა, ვიწრო საბანაო ტრუსზე კი ქამარი შემოერტყა, რომელშიც სიდიდის მიხედვით გაერჭო ექვსი განსხვავებული დანა, რადგან თევზაობის ერთადერთი ხერხი — წყალქვეშ თევზთან ხელჩართული ბრძოლა იცოდა. ის ოციოდე წლის იქნებოდა, დროის უმეტეს ნაწილს წყალქვეშ ატარებდა და მუდამდღე ძრავის ზეთში ამოგანგლული, თვითონაც ზღვის ცხოველს ჰგავდა. ორესტე პირველად რომ იხილა, სენიორა ფორბესმა ჩემს მშობლებს უთხრა, რომ მასზე ლამაზი ადამიანი ძნელი წარმოსადგენი იყო. მაგრამ იმ დღეს ბიჭს სილამაზემაც ვერ უშველა და იძულებული გახდა იტალიურად მოესმინა საყვედური კარზე მილურსმული გველთევზას გამო, რაც უდავოდ ბავშვების შესაშინებლად იყო გაკეთებული. შემდეგ სენიორა ფორბესმა განკარგულება გასცა, ფრთხილად ჩამოეხსნათ მითიური თევზი, ჩვენ კი ვახშმისთვის მოწესრიგება გვიბრძანა.

უსიტყვოდ დავემორჩილეთ და შევეცადეთ სხვა შეცდომა აღარ მოგვსვლოდა, რადგან სენიორა ფორბესის მეთვალყურეობის ქვეშ გატარებული ორი კვირის მანძილზე ვისწავლეთ, რომ ამქვეყნად ცხოვრებაზე რთული არაფერი ყოფილა. სანამ ბნელ სააბაზანო ოთახში შხაპს ვიღებდით, ვიგრძენი, რომ ჩემი ძმა ისევ გველთევზაზე ფიქრობდა: „ადამიანის თვალები ჰქონდაო“, მითხრა. მეც იმავე აზრის ვიყავი, მაგრამ საწინააღმდეგოს მტკიცებას მოვყევი, შემდეგ კი საუბრის თემის შეცვლაც შევძელი, მაგრამ შხაპიდან გამოსვლისას ძმამ მთხოვა თან გავყოლოდი.

— ჯერ არ დაღამებულა, — ვუთხარი და ფარდები გადავწიე.

გაგანია აგვისტო იდგა. ფანჯრიდან კუნძულის ბოლომდე გადაჭიმული ველი და ცაზე გაქვავებული მზე მოჩანდა.

— მაგიტომ არა, — თქვა ჩემმა ძმამ, — მეშინია არ შემეშინდეს.

სასადილოში რომ გამოვცხადდით, დამშვიდებული ჩანდა და ისე სამაგალითოდ იქცეოდა, რომ სენიორა ფორბესის შექება და კვირის ყოფაქცევაში დამატებითი ორი ქულა დაიმსახურა. მე პირიქით, ორი ქულა მომაკლდა დაგროვილი ხუთიდან, რადგან სასადილოსკენ მიმავალმა ფეხს ავუჩქარე და მაგიდასთან სულთქმააჩქარებული მივედი. ყოველი ორმოცდაათი ქულა დესერტის ორმაგ პორციას უდრიდა, მაგრამ ვერცერთი ჩვენგანი თხუთმეტ ქულაზე მეტს ვერ აგროვებდა. ეს კი ნამდვილად სამწუხარო იყო. რადგან სენიორა ფორბესის პუდინგზე გემრიელი ნუგბარი არც მანამდე გამისინჯავს, არც — მერე.

ვახშმის დაწყებამდე ფეხზე მდგომი ვლოცულობდით ცარიელი თეფშების წინ. სენიორა ფორბესი კათოლიკე არ იყო, მაგრამ კონტრაქტი დღეში ექვსჯერ ლოცვას ითვალისწინებდა და მასაც ჩვენი ლოცვების სწავლა მოუხდა. შემდეგ სამივე ვჯდებოდით და ჩვენ სულთქვაშეკრულები ვუსმენდით ქალს, რომელიც დეტალურად ახასიათებდა ჩვენს იმდღევანდელ ყოფაქცევას. ყოველივე წვრილმანის გარჩევის შემდეგ, სენიორა ფორბესი პატარა ზარს აწკარუნებდა და მზარეულ ფულვია ფლამინეას იმ მოსაწყენი ზაფხულის ვერმიშელის წვნიანი შემოჰქონდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავიდან, როცა მარტონი ვიყავით ჩვენს მშობლებთან ერთად, სადილობა ნამდვილი ზეიმი იყო ხოლმე. ფულვია ფლამინეა მაგიდის გარშემო დაქოთქოთებდა და უთავბოლოდ აწყდებოდა აქეთ-იქით, რაც ყველას გვახალისებდა, ბოლოს კი ჩვენთან ერთად ჯდებოდა და ყველას თეფშიდან ჭამდა ცოტ-ცოტას. მაგრამ, მას შემდეგ, რაც ჩვენი აღზრდა სენიორა ფორბესმა ითავა, მზარეული ისე უხმაუროდ გვემსახურებოდა, რომ ქურაზე შემოდგმული წვნიანის ბუყბუყი გვესმოდა. მაგიდასთან გაჭიმულები ვისხედით, თითო ლუკმას ათჯერ ერთი ყბით ვღეჭავდით, ათჯერ — მეორეთი და თვალს არ ვაცილებდით ამ გამხდარ, რკინისებრ ქალს, რომელიც ამასობაში ზრდილობის გაკვეთილებს გვიტარებდა. თავი საკვირაო მესაზე გვეგონა ხოლმე, იმ განსხვავებით, რომ ჩვენთან არავინ მღეროდა.

იმ საღამოს კარზე მილურსმული გველთევზა რომ ვიპოვეთ, სენიორა ფორბესი პატრიოტიზმზე გვესაუბრა. მისი ხმით გაუხშოებულ ჰაერში ფულვია ფლამინეა შემოსრიალდა და წვნიანის შემდეგ მადის აღმძვრელი, ოხშივარადენილი, ნაკვერჩხლებზე შემწვარი, თოვლივით ქათქათა თევზის ფილე შემოგვიტანა.. მე მაშინაც თევზეულს ვამჯობინებდი მიწისა და ცის ბინადართა ხორცს, ამ სურნელმა კი ჩვენი გუაკამაიალის სახლი მომაგონა და გულს მომეფონა, მაგრამ ჩემმა ძმამ თეფში ხელუხლებლად გასწია გვერდზე.

— არ მომწონს, — გამოაცხადა.

სენიორა ფორბესმა გაკვეთილი შეწყვიტა.

— როგორ შეიძლება არ მოგწონდეს, როცა არ გაგისინჯავს, — უთხრა და მეტყველი თვალებით გახედა მზარეულს, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

— გველთევზა მსოფლიოში ყველაზე გემრიელი თევ-
p figlio mio, — თქვა ფულვია ფლამინეამ, — გასინჯე და ნახავ.

სენიორა ფორბესი არ შეშფოთებულა, ჩვეული ტონით მოგვიყვა, რომ გველთევზა ძველად მეფეების საყვარელი კერძი ყოფილა, ხოლო მეომრები ერთმანეთს ეცილებოდნენ მის ნაღველს, რაც არაბუნებრივ სიმამაცეს ანიჭებდა კაცს. შემდეგ უკვე მერამდენედ გაგვიმეორა, რომ კარგი გემოვნება, მართალია, თანდაყოლილი თვისება არ იყო, მაგრამ ბავშვობიდანვე თუ არ შეითვისებდა ადამიანი, მერე აღარაფერი ეშველებოდა. მოკლედ, ჭამის მეტი აღარაფერი დაგვრჩენოდა, მე გველთევზა მანამ გავსინჯე, სანამ გავიგებდი რა იყო და გაოცებული დავრჩი:

მეტად სასიამოვნო, თუმცა ოდნავ მელანქოლიური გემო ჰქონდა, მაგრამ კარზე მილურსმული თევზის ხილვით გამოწვეული შეძრწუნება უფრო ძლიერი გრძნობა აღმოჩნდა. ჩემმა ძმამ დიდი ძალისხმევით ჩაიდო ლუკმა პირში, მაგრამ ვერ გაუძლო და წამოაღებინა.

— სააბაზანოში წახვალ, — მშვიდად დამოძღვრა სენიორა ფორბესმა, — კარგად დაიბან და საჭმელად დაბრუნდები.

ძალიან შემეცოდა ბავშვი, რადგან ვიცოდი, რად დაუჯდებოდა უკვე ჩაბნელებულ სახლში მარტო სიარული და სააბაზანოში დასაბანად დაყოვნება. მაგრამ მალევე დაბრუნდა, სუფთა პერანგი ეცვა და ოდნავ გაფითრებული იყო, თორემ სხვაფრივ არ გამოუმჟღავნებია ფარული შიში. სენიორა ფორბესმა გულდასმით შეამოწმა მისი სისუფთავე, შემდეგ გველთევზას ლუკმა ჩამოაჭრა და ვახშმის გაგრძელება ბრძანა. მე ძლივძლივობით დავღეჭე მეორე ლუკმა, ჩემს ძმას კი დანაჩანგალი არც აუღია.

— მე არ შევჭამ, — გამოაცხადა.

მისი გადაწყვეტილება იმდენად მტკიცე იყო, რომ სენიორა ფორბესმაც კი უკან დაიხია.

— კარგი, — თქვა მან, — სამაგიეროდ, ვერც დესერტს მიიღებ.

ჩემი ძმის სიმამაცემ მეც გამათამამა. დანა-ჩანგალი თეფშზე გადავაჯვარედინე, როგორც სენიორა ფორბესმა გვასწავლა ჭამის დამთავრებისას და გამოვაცხადე:

— არც მე შევჭამ დესერტს.

— არც ტელევიზორს უყურებთ, — დაამატა ქალმა.

— არც ტელევიზორს ვუყურებთ, — გავიმეორე მე.

სენიორა ფორბესმა ხელსახოცი მაგიდაზე დადო და სამივე წამოვდექით ლოცვის სათქმელად. შემდეგ საწოლ ოთახში გაგვგზავნა და გაგვაფრთხილა დაგვეძინა სანამ თვითონ ვახშმობას დაამთავრებდა. ჩვენს მიერ დაგროვილი ყველა ქულა გააუქმა და მხოლოდ 20 რიცხვის შემდეგ დაგვრთო ნება, მისი კრემიანი ნამცხვრები, ვანილის ტორტი და ქლიავის ღვეზელი გვეჭამა, რომელთა მსგავსი მთელი მომდევნო ცხოვრების მანძილზე არაფერი გვიგემია.

ადრე თუ გვიან ეს განხეთქილება უნდა მომხდარიყო. ჩვენ მთელი წელი სულმოუთქმელად ვუცდიდით სიცილიის ბოლოში, პანტელარიას კუნძულზე გატარებულ თავისუფალ ზაფხულს, რომლის პირველი თვე, სანამ ჩვენს მშობლებთან ერთად ვიყავით, მართლაც დაუვიწყარი აღმოჩნდა. დღესაც სიზმარივით მახსოვს ვულკანური ლოდებით მოფენილი მზიური ველი, მარადიული ზღვა და კიბის საფეხურებიანად კირით შეთეთრებული სახლი, რომლის ფანჯრებიდან უქარო ღამეებში აფრიკის შუქურები მოჩანდა. მამაჩვენთან ერთად კუნძულის ახლომახლო მოწყობილ წყალქვეშა ექსპედიციაში ერთხელ ომის შემდეგ დარჩენილი ყვითელი ტორპედოები აღმოვაჩინეთ, მეორედ კი თითქმის ერთი მეტრი სიმაღლის, გაქვავებული სამშვენისებით მორთული ამფორა ვიპოვეთ, რომელშიც უხსოვარ დროს ჩასხმული, ან უკვე საწამლავად ქცეული ღვინო ინახებოდა. ყურეში ბანაობისას გვეჩვენებოდა, რომ მის შესქელებულ წყალზე ფეხით გავლას შევძლებდით, მაგრამ ყველაზე დიდი აღმოჩენა ჩვენთვის ფულვია ფლამინეა იყო, იგი ბედნიერ ეპისკოპოსს ჰგავდა და ძილისგუდა კატებით გარემოცული დადიოდა, რომლებიც მუდამ ფეხებში ებლანდებოდნენ. როგორც თვითონ გვიხსნიდა, მათ სიყვარულის გამო კი არ იტანდა, არამედ ვირთხებისაგან იცავდა თავს. ღამღამობით, სანამ ჩვენი მშობლები ტელევიზორში უფროსებისთვის განკუთვნილ გადაცემებს უყურებდნენ, ფულვია ფლამინეას თავის სახლში მივყავდით, რომელიც ჩვენგან სულ რაღაც ასიოდე მეტრში იდგა და შორეული ხმაურის, სიმღერებისა და ტუნისიდან მომავალი ტირილნარევ ქარის გარჩევას გვასწავლიდა. მასზე ბევრად ახალგაზრდა ქმარი ზაფხულობით კუნძულის მეორე ბოლოში მდებარე სასტუმროში მუშაობდა და შინ მხოლოდ დასაძინებლად მოდიოდა. ორესტე თავის მშობლებთან ერთად მოშორებით ცხოვრობდა, მაგრამ ღამღამობით ისიც ფულვია ფლამინეასთან მოდიოდა და წკნელზე ასხმულ ახალდაჭერილი თევზებითა და კიბორჩხალებით სავსე კალათას სამზარეულოში ტოვებდა, რათა მეორე დღეს ფულვია ფლამინეას ქმარს სასტუმროში გაეყიდა. შემდეგ შუბლზე თავის სანათურს იმაგრებდა და საკუჭნაოს შეჩვენილ, კურდღლისხელა ვირთხებზე სანადიროდ მივყავდით. მშობლები ზოგჯერ ჩვენს დაბრუნებამდე იძინებდნენ, ჩვენც ვწვებოდით და ეზოში მოშლიგინე ვირთხების ხმაური ძილს გვიფრთხობდა, მაგრამ ეს უსიამოვნო დეტალიც კი ჩვენი ბედნიერი ზაფხულის განუყოფელი ნაწილი იყო.

გერმანელი გუვერნანტი ქალის აყვანა მხოლოდ მამაჩემს შეიძლებოდა მოსვლოდა აზრად. ის კარიბელი მწერალი იყო და ნიჭზე მეტად პატივმოყვარეობა აწუხებდა. ევროპის ჩანავლებული დიდებით დაბრმავებული

გაგრძელება იხ. მე-14-15 გვ-ზე

# მელოდიის [illegible] და [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

**კომპოზიტორ ნატო გელაშვილის ყველა სიმღერა საკუთარ ტექსტზეა შექმნილი, უყვარს ქართული ქალაქური ფოლკლორი, დაამთავრა თბილისის კონსერვატორია საგუნდო-სადირიჟორო განხრით. ჰყავს მეუღლე გელა ქოხონელიძე, შვილები — გიორგი და ლუკა.**



*— ნატო, ბავშვობაში როგორ გესახებოდათ მომავალი?*

— სკოლაში სიბეჯითით გამოვირჩეოდი, ვმღეროდი, კონცერტებს ვმართავდი. ფრიადით და ბაბთით დავამთავრე ბორჯომის პირველი საშუალო სკოლა. პროფესია ადრიდანვე ავირჩიე. თექვსმეტი წლიდან თბილისში ვცხოვრობ. მიყვარს პოეზია, განსაკუთრებით მუხრან მაჭავარიანი, ანა კალანდაძე, ჯანსუღ ჩარკვიანი. თუმცა ჩემი ყველა სიმღერა საკუთარ ტექსტზეა შექმნილი, თითქოს სული მეძახის, ჩემი ტექსტი და მუსიკა როგორ უნდა ავსებდნენ ერთმანეთს.

*— თქვენი საყვარელი შემსრულებლები?*

— ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს, პროფესიონალია თუ არა მომღერალი. დავეძებ ქალაქური სიმღერების შემსრულებლებს, მთავარია გემოვნებით მღეროდეს, ჰქონდეს სცენური კულტურა. ასე აღმოვაჩინე ცოლ-ქმარი მაია ჯორჯაძე და გია ხუციშვილი. მე და გიას შეთანხმებული დუეტი გვაქვს. განსაკუთრებით შეიყვარა მაყურებელმა ჩვენი „ჩემო ცისფერთვალება". თბილისში ჩრდილში ბევრი ოჯახია, რომლებიც არ ჩანან, საუკეთესოდ მღერიან, ბევრი რამ შეიძლება მათგან ისწავლო, როგორც კომპოზიტორმა.

*— საესტრადოს გარდა რომელ ჟანრში მუშაობთ?*

— მაქვს სტუდენტობისდროინდელი სავიოლინო და საფორტეპიანო ნაწარმოებები. საკუთარი ჰიმნით დავამთავრე კონსერვატორია. ტექნიკუმში ჩემი უსაყვარლესი პედაგოგი იყო კოტე მშვიდობაძე, კონსერვატორიაში: ბიძინა კვერნაძე, სოსო კეჭაღმაძე, ვაჟა აზარაშვილი. ბიძინა კვერნაძე ჩემი კუმირია.

*— რამდენი წლისამ დაწერე პირველი მუსიკა?*

— რვა წლის ვიყავი. სიმღერას ერქვა „თოვლზე". შემდეგი სერიოზული ნამუშევარი იყო „9 აპრილი", მიჭირს ამომწურავად გავშიფრო, რა იყო ეს — ერთეულები ჰარმონიით, კილოებით, დედის ტირილით, ბავშვის ამოძახილი თუ გოდება. ამ მუსიკით მიმიღო მე-3 მუსიკალურ ტექნიკუმში გურამ ბზვანელმა და ჩემი მომავალიც საბოლოოდ გადაწყდა. რასაც ვაღწევ, მხოლოდ მიზანდასახული დიდი შრომით. მარტივი ხერხებით შემოქმედებაში წარმატებას ვერ მიაღწევ.

*— ვინ გეხმარებოდათ, ვინ აღმოგაჩინათ, ვინ შეგიწყოთ ხელი? მოკლედ რომ ვთქვათ, ვისი ხელდასხმული ხართ?*

— გული მტკივა, სიმართლე რომ უნდა გითხრათ — არავისი! რამდენჯერმე გამაგდეს, საქართველოში ყველა როგორ გაკომპოზიტორდათ. კოტე მშვიდობაძემ შთამაგონა, იბრძოლე, ფარ-ხმალი არ დაყარო, შენ კომპოზიტორი უნდა იყოო. ეს იყო და ეს. მოსწავლეებს ვამეცადინებ ქართულ ქალაქურ ფოლკლორში, ვზრდი მომავალ მუსიკოსებს.

*— თავისუფალ დროს რითი ხართ დაკავებული?*

— ორი შვილის დედას ცოტა დრო მრჩება. კარგი დედამთილი და ძმა მეხმარებიან, მაგრამ ჩემი გასაკეთებელი მაინც მე უნდა გავაკეთო. სტუმრიან ოჯახში გავიზარდე, მყავს ბევრი მეგობარი, მიყვარს კითხვა, ვესწრები თითქმის ყველა კონცერტს.

*— რა გაკარგვინებთ წონასწორობას?*

— ენის ჭარტალი, ტყუილი, საცბიერე, როცა ერთს ფიქრობენ და მეორეს აკეთებენ, უცერემონიოდ ვაცლები ასეთებს, ვეტოვებ საფიქრალს — რატომ?

*— ისეთი მშვენიერი აღნაგობა გაქვთ, სპორტსმენი ხომ არ იყავით?*

— გმადლობთ ქათინაურისთვის. სპორტულ ოჯახში გავიზარდე. ყველანი ვთამაშობდით ჩოგბურთს, დედა კალათბურთელი იყო. ზაფხულობით, როცა ბორჯომში ვიკრიბებით, ნამდვილი შეჯიბრება იმართება.

*— პირველ პაემანს ხომ არ გაიხსენებდით?*

— სიამოვნებით. სკოლის პერიოდის ბავშვური გატაცება, სუფთა, წმინდა, ცარიელი გული იდო შიგ და სხვა არაფერი. მთელი ცხოვრება მიყვარდა, მიმწონდა. ოთხი წელია ოჯახი შევქმენი. გელა კაფე „კაპუჩინოში" (მისი დირექტორი იყო) გავიცანი. ექვს თვეში ყველაფერი მოგვარდა, დავქორწინდით. არ შევმცდარვართ, ზუსტად შევიცანით ერთმანეთი. მგონია, ქმარი ბევრად უფროსი მეგულებოდა, გელა ერთი წლით დიდია ჩემზე. ჰარმონიული ოჯახი გვაქვს, ვიცავთ ოჯახის ერთგულების ტრადიციებს. ახლა დროებით მოსკოვში მუშაობს.

*— რაიმე ახირება თუ გაქვთ?*

— ვიცი ნივთების ამოჩემება — საყურეს, ბეჭედს წლობით ვატარებ. მიყვარს სპორტული, მოსახერხებელი ტანსაცმელი, შარფი, პანჩო, კაშნე. თუმცა ასეთ რამეებზე ნაკლებად ვიხარჯები, პრეტენზიული არ გახლავართ, ჩაცმულობაზე თავად ვზრუნავ.

*— თქვენ ისეთი სცენური ხართ?*

— კულისებში მირჩევნია დგომა, სცენა მაკომპლექსებს, დარბაზში ვერავის ვხედავ, ემოციები მეძალება, კარგ პარტნიორს ამიტომაც ვარჩევ, მათამამებს, ძალას მმატებს. ერთხელ ფეხები ისე მაკანკალებდა, თავი ვერაფრით დავიმორჩილე და გამოსვლა გადამადგილეს.

*— ჯერ იყო ლექსი და შემდეგ მუსიკა თუ პირიქით?*

— მთელი ცხოვრება ვწერდი ლექსებს, დღიურებს, ჩანახატებს. ჩემი სიმღერა და ტექსტი შერწყმულად იქმნება, როცა ტექსტზე ვმუშაობ, ვიცი როგორი მუსიკა უნდა დავწერო.

*— ოჯახში ვის აქვს მუსიკის ნიჭი?*

— ყველანი ვმღერივართ, განსაკუთრებით მამის შტო — მამიდები, ბიძები, ძმა, ჩემი ციცქნა შვილები, გელაც ავამღერეთ.

*— ყველაზე სასიამოვნო ან ცუდი მოგონება?*



ნატო და გელა

— მსუბუქი ხასიათის წყალობით, ცუდს ვერაფერს ვიხსენებ. სრულიად ახალგაზრდამ ბათუმის ფესტივალში მივიღე მონაწილეობა, ბათუმზე შექმნილი სიმღერების კონკურსში. ეკა კვალიაშვილმა იმღერა ჩემი „ბათუმი" და სრულიად მოულოდნელად გრან-პრი დავიმსახურე როგორც კომპოზიტორის. ეს ჩემი პირველი წარმატება იყო.

*— რას ვერ პატიობთ ადამიანებს, მეუღლეს?*

— ფუფუნება არასოდეს მიზიდავდა. მთავარია მქონდეს როიალი და ბუხარი. მეუღლესთან ურთიერთობაში მთავარი ერთგულება, ურთიერთგაგება. მე და გელას ჯერ საპატიებლად არა გვაქვს საქმე. ჩვენ ვავსებთ ერთმანეთს. მოფერებით ჩემს ცისფერთვალებას „ბექუნას" ვეძახი, სიმღერა „ცისფერთვალებაც" მას ვუძღვენი.

*— კიდევ რომელიმე კონკურსში ხომ არ გაუმარჯვია თქვენს სიმღერას?*

— ორიგინალობაში ნუ ჩამომართმევთ, შეგნებულად არ ვეტანები კონკურსებს, იმდენად ენერგიულიც არ მცალია. მირჩევნია შორიდან ვზვერავდე. კონკურსების და ფესტივალების მომხრე არ გახლავართ, ჩემი დამფასებელ-შემფასებელი მსმენელია. მან უნდა მოისწონოს და ენატრებოდეს.

*— რისთვის ან ვისთვის წერთ სიმღერებს?*

ამისთვის განწყობა მჭირდება. შეიძლება თვეები გავიდეს, არაფერი შევქმნა. შეიძლება თვეში 3-4 მუსიკა დავწერო. გელას სიშორემ, მონატრებამ წამოლივით ამოქმედა ორივეზე, როცა მუზა მოდის. ერთოთახიანი ბინა მაქვს ამისათვის და იქ განვმარტოვდები. 125-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლე სიმღერა აკანძა.

— *რომელი კომპოზიტორი გიყვართ გამორჩეულად?*

— ბიძინა კვერნაძე-უცხო, საინტერესო ჰარმონიით რომ არავის ჰგავს. ბატონი ბიძინა ნამდვილი თანამედროვე ქართული კოლორიტული პიროვნებაა, იუმორით, მაღალი პროფესიონალიზმით, ყველა საუკეთესო თვისებით შემკული.

— *მომღერალი?*

— ინოლა გურგულია, საინტერესო მოსული აკორდით, სევდიანი, განუმეორებელი ხმის ტემბრით, მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული უდროოდ წასული ქალბატონი.

— *როგორია თქვენი დღის რეჟიმი?*

— ჩვეულებრივი, თანამედროვე ქართველი ქალისათვის დამახასიათებელი — შვილები, საოჯახო საქმეები, ბევრი მეგობარი. როცა შემოქმედებითი განწყობა მაქვს, ჩემს ბინაში განმარტოვება, ბინას, რომელსაც სხვანაირი აურა აქვს, სხვანაირად თენდება და ღამდება იქ. ვინც ჩემს ბინაში ფეხი შემოდგა ყველა გათხოვდა, ყველას შვილი შეეძინა, ის ჩემი შემოქმედების საუფლოა. ბუნებით ოპტიმისტი ვარ, არასოდეს ვვარდები სასოწარკვეთაში.

— *რაზე მუშაობთ?*

— მალე გამოვა ორსაათიანი ვიდეოკასეტა — კლიპები, შემსრულებლებია: ტრიო „თბილისი", თამუნა ამონაშვილი, გია ხუციშვილი, ლელა წურწუმია და ნიკა ხუბისკვერაძე.

— *მაინც როგორ შეაფასებდით საკუთარ თავს, როგორი ხასიათი გაქვთ?*

— თბილი, კაცთმოყვარე, ავისთვის არავის გაუწყრავ ადვილად, ზოგჯერ რთულიცეს მაშინ, როცა შემოქმედებითი განწყობა მეუფლება. ჩემი ყოველი ახალი ნაწარმოები ტკივილით, შინაგანი წვით და ენერგიის ხარჯვით იბადება, ისე, როგორც ყოველი ახალი სიცოცხლის მოვლენა ამ ქვეყნად. წელსაც ვიცი — ერთ-ერთ ჟურნალში ჩემზე მასალა დაიბეჭდა. ჟურნალისტმა ვითომ სენსაციისათვის ასეთი სათაური მისცა — „ნატო გელაშვილის მანქანები". ამ შეფარდებაში ნამდვილად არ მესიამოვნა, ან რა ქონება უნდა მქონოდა, ან ერთზე მეტი მანქანა საიდან მეყოლებოდა. ასეთი არაგულწრფელობა მაღიზიანებს.

— *რომელ სიმღერებს და შემსრულებლებს გამოარჩევდით იმ 125-დან?*

— შემსრულებლებიდან ყველანი ჩემი საყვარელი ადამიანები არიან. სიმღერებიდან: „ისევ ღამე", „ეშხიანი ქალები", „ჩემო ცისფერთვალება", „დედაშვილობა", „ჭრელაჭრელა კაბა", „წვიმა მოდის შხაპუნა", „შენმა სიყვარულმა", „ჩემი დარდი შენა ხარ"...

ახლახან კლიპი ჩავწერეთ — „ერთი კაცი მიყვარდა" მე ვმღერი, „ლოთიანს" — გია, ქალაქური სიმღერების შესანიშნავი შემსრულებელი გია საბაჯის თანამშრომელია, სუფრაზე აღმოვაჩინე. ხშირად მეუბნებიან, ამ ღიმილს პარტნიორებს სად პოულობ. როცა მუსიკას ვწერ, შემსრულებელსაც ვგულისხმობ. არავითარი მოდერნი, უცხოურის გაყოლება. სცენაზე ზედმეტი გადაპრანჭული მიხრა-მოხრაც კი მაღიზიანებს. წინასწარ არაფერს ვეუბნები არავის ვუმზერ, გარდა კარგი შემსრულებლებისა, ისინი თავადაც მიხვდებიან.

**ნანული ბუკია**

## ქართული სიმღერის მოამაგე

# ასწლეულში გამორჩეული

ქართული ხალხური სიმღერების ცნობილი შემსრულებელი, ღირსების ორდენის კავალერი, საქართველოს დამსახურებული არტისტი მარგო თედიაშვილი წლების მანძილზე მოღვაწეობდა ჩვენი ქვეყნის მრავალ კოლექტივში: მეჩონგურე ქალთა (ხელმძღვანელი ა. მეგრელიძე), საქ. სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო (ხელმძღვანელი გ. კოკელაძე, ლოტბარი კ. პაჭკორია) და ტრამვაი-ტროლეიბუსების ტრესტის ანსამბლებში. მის შემოქმედებას ყოველთვის მაღალ შეფასებას აძლევდნენ იმდროინდელი თუ თანამედროვე ცნობილი მუსიკოსები და ხელოვნების მოღვაწენი.



— აი, როგორ შეაფასა მარგოს მოღვაწეობა ბ-ნმა ანზორ ერქომაიშვილმა:

„მარგო თედიაშვილი ჩვენი ასწლეულის I ნახევრის ერთ-ერთი გამოჩენილი მომღერალი და წამყვანი სოლისტი გახლავთ. იგი სრულიად ახალგაზრდა მიიწვიეს სახელმწიფო ანსამბლში, სადაც თითქმის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება გაატარა.

მას კოლორიტული ხმა, განუმეორებელი საკუთარი ხელწერა აქვს, კარგად ფლობს დასავლურ და და აღმოსავლურ კოლორიტს, ერთადერთი ქალია, რომელმაც სიმღერის ფანატიკური სიყვარული და პროფესიონალიზმი ბოლომდე შეინარჩუნა. ვფიქრობ, მარგო თედიაშვილი ჩვენი საუკუნის არაჩვეულებრივ შემსრულებელ-მომღერლად დარჩება".

ქალბატონი მარგოს გამორჩეული ხმა მშვენივრად შემოინახა ქართულმა ეკრანმა. გახმოვანებული აქვს სიმღერები კინოფილმებში: „დაკარგული სამოთხე", „ნარინჯის ველი", „დარიკო", „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან", „არსენა", „ხევისბერი გოჩა", „მთვარის მოტაცება"...

არაჩვეულებრივი მახსოვრობითა და იუმორის ხალასი ნიჭით დაჯილდოებული ღვაწლმოსილი ქალბატონი საინტერესო მოსაუბრეც გახლავთ, რაშიც თავად დარწმუნდებით, თუ მის მოგონებებს მოუსმენთ: სიმღერა პატარამ, ჯერ კიდევ სკოლის მოსწავლემ დავიწყე. ჩემი პირველი მასწავლებელი, შეიძლება ითქვას, მარო თარხნიშვილი გახლდათ, რადგან რადიოთი მოსმენილ მის სიმღერებზე აღვიზარდე. შემდეგ იყო მეჩონგურეთა ანსამბლი, რომელსაც აქვსენტი მეგრელიძე ხელმძღვანელობდა. ჩონგური პირველად სწორედ მასთან ვნახე. პირველსავე დღეს სმენით ავაწყვე აკორდები და მაშინვე დავამღერე. თავიდან ჩვენი ანსამბლი პატარ-პატარა კონცერტებით გამოდიოდა სხვადასხვა დაწესებულებებში, ხშირად გვიწვევდნენ მწერლებიც. მერე (1936 წ.) იმდროინდელ ვაჟთა ეთნოგრაფიულ გუნდთან (ხელმძღვ. კ. პაჭკორია) გაგვაერთიანეს და ქართული ლიტერატურისა და კულტურის პირველი დეკადისთვის დავიწყეთ მზადება, რომელიც მომავალ წელს მოსკოვში უნდა გამართულიყო. ეს მეტად ღირსშესანიშნავი მოვლენა გახლდათ ჩვენს ცხოვრებაში და ამიტომ ყველანი გულმოდგინედ ვემზადებოდით. საშა „პარტნოიმ" იაპონური კრეპდეშინის ცისფერი კაბები შეგვიკერა, ამას თეთრი ფეხსაცმელებიც მოაყოლეს, თბილი პალტოები დაგვირიგეს. მოსკოვში 7 იანვარს ჩავედით, ახალაშენებულ სასტუმრო „კიევში" დავბინავდით, 9-ში კი დიდ თეატრში კონცერტი გვქონდა. სცენაზე ქალები რბილ, ფოჩებიან ბალიშებზე ვისხედით, მამაკაცები ფეხზე იდგნენ. „საქართველოს" გამოცხადებისთანავე დარბაზის ჭერი ლამის ტაშის გრიალისგან ჩამოიქცა. ამ დეკადას სტალინი ესწრებოდა. სადღაც მარჯვნივ იჯდა. იქვე იყო ბერიაც. მენახევარწრეში ისევიჯექი, სტალინს ვერ ვხედავდი. უცებ ბერია მომვარდა და სხვაგან გადამსვა: აქ რატომ ზიხარ, ჩქარა ადექი. შენ ლამაზი და ახალგაზრდა ხარ, ისე უნდა იჯდე, სტალინმა დაგინახოსო. სიმღერა „ახ, ტრაქტორო" ვიმღერეთ. ელიჩკა ჭუბაბრია იწყებდა, მევაგრძელებდი: „... კოლექტივი გაძლიერდა, ვენაცვალე სტალინსა"-ო. ამ სიტყვებზე დარბაზი ზანზარებდა, ხალხი ხან სტალინს უკრავდა ტაშს, ხან — მე. ვაკვირდებოდი სახეზე და ვატყობდი, როგორ რცხვენოდა.

14 იანვარს კრემლის „გიორგის დარბაზში" ბანკეტი გაიმართა. ყველანი სპეციალური მოსაწვევებით მიგვიწვიეს. დარბაზში ორკესტრი უკრავდა, მუსიკის ჰანგებზე წყვილები ტრიალებდნენ, ყველა კუთხეში სურსათ-სანოვაგით დახუნძლული მაგიდები იდგა. უცებ ვოროშილოვი მომიახლოვდა და საცეკვაოდ გამიწვია. 19 წლის თამამი გოგო ვიყავი და გავყევი. ვალსი ვეცეკვე. ნეტავ გენახათ, მაპროწიალა, მაგრამ რა მაპროწიალა! მერე ბერია მომიახლოვდა და ტუხაჩევსკი გამაცნო.

თავად სტალინს არ უცეკვია, მაგრამ ისე კარგად იმღერა „ხასანბეგურა", ყველანი გაგვაოცა. შემდეგ „გაფრინდი, შავო მერცხალო" წამოიწყო და მეც ავყევი, დაუვიწყარი წუთები იყო.

დამთავრდა დეკადა, მაგრამ თბილისში არ დავბრუნებულვართ, კიევში გავაგრძელეთ გასტროლები. სტალინმა ორი თვის ხელფასით — 120 მანეთით დაგვაჯილდოვა (მაშინ ყველაზე მაღალი ანაზღაურება 60 მანეთი იყო). უკანა მხრიდან გაგვიხსნეს უნივერმაღის კარები და, რაგინდა სულო და გულო! იმდენი საჩუქრები ჩამოვიტანეთ, სულ გავალაღეთ ახლობელ-ნათესავები.

... მეორე დეკადა მოსკოვში 1958 წელს ჩატარდა, მაგრამ მაშინ ხელფასები მოგვიმატეს კი არა, პირიქით — 25% აქეთ დაგვიქვითეს. უკვე ყველაფერს ეტყობოდა სტალინის არყოფნა. სოჭი და ხარკოვი ხომ პირდაპირ გალატაკებული იყო.

... მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა, რა არ გადავიტანე, სად არ ვიყავი, ვის არ შევხვდი, მაგრამ ის პირველი დეკადა მაინც დაუვიწყარია. რაც მთავარია, მაშინ ძალიან ახალგაზრდა ვიყავი, ახალგაზრდობაში კი ყველაფერი ლამაზად ეჩვენება ადამიანს..."

**თამთა ყიფიანი**

საკუთარ ნაწარმოებებშიც და რეალურ ცხოვრებაშიც თითქოს ბოდიშობდა თავისი წარმომავლობის გამო. ამიტომ, მიზნად დაესახა, შვილებში მაინც ამოეშანთა საკუთარი წარსული. დედაჩემს ზემო გუახირას მოხეტიალე მასწავლებლის მოკრძალება ბოლომდე შერჩა და ქმრის ყველა ახალი იდეა წინასწარმეტყველება ეგონა. ამიტომ არც ერთი არ დაინტერესებულა, როგორ ვიცხოვრებდით დორტმუნდელ სერჟანტთან, რომელსაც მიზნად დაესახა ძალით ჩაენერგა ჩვენში ევროპული საზოგადოების მოძველებული მანერები, სანამ ჩვენი მშობლები, ორმოც მოდურ მწერალთან ერთად, ხუთკვირიან შეკრებას ესწრებოდნენ ეგეოსის კუნძულებზე.

სენიორა ფორბესი ივლისის ბოლო შაბათს ჩამოვიდა პალერმოს სარეისო კატერით და მისი დანახვისთანავე მივხვდით, რომ დღესასწაული დასრულდა. მილიციელის ფეხსაცმელი და პაპანაქებაში ბოლომდე შეკრული პიჯაკი ეცვა, კაცურად შეკრეჭილი თმა კი ფეტრის ქუდში დაემალა, თან მაიმუნის შარდის სუნი უდიოდა. „ასეთი სუნი აქვთ ევროპელებს, განსაკუთრებით ზაფხულში“, გვითხრა მამამ, „ეს ცივილიზაციის სუნია“. ჯარისკაცული შესახედაობის მიუხედავად, სენიორა ფორბესი ერთი გაძვალტყავებული ქალი იყო და იქნებ თანაგრძნობაც გამოეწვია ჩვენში, ოდნავ უფროსები რომ ვყოფილიყავით, ან მას ჰქონოდა სინაზის ნამცეცი მაინც. სამყარომ ნირი იცვალა. ზღვაზე ექვსსაათიანი ნებივრობა, რაც ჩვენთვის ფანტაზიის გასავარჯიშებელი მეცადინეობა იყო, ერთსაათიან და ერთფეროვან პროცედურად იქცა. სანამ მშობლები გვპატრონობდნენ, ზღვაზე ორესტესთან ერთად ვცურავდით და გაოცებულები ვუთვალთვალებდით, რა ვაჟკაცურად და მოხერხებულად ებრძოდა სისხლითა და მელნისფერი მასით გარშემორტყმულ რვაფეხას. ორესტე მერეც მოდიოდა ხოლმე თერთმეტ საათზე ძრავიანი ნავით, მაგრამ სენიორა ფორბესი წყალქვეშა ცურვისათვის განკუთვნილი ერთი საათის შემდეგ ზედმეტ წუთსაც არ ტოვებდა ხოლმე ჩვენთან. მანვე აგვიკრძალა ღამღამობით ფულვია ფლამინეას სახლში სიარული, რადგან არ მოსწონდა მოსამსახურეებთან ასეთი ფამილარული დამოკიდებულება, ხოლო ის დრო, ადრე ვირთხებზე ნადირობას რომ ვანდომებდით, ახლა შექსპირის ანალიტიკურ კითხვას დაეთმო. ჩვენ გუაკამაიალში მეზობლებს მანგოს ვპარავდით, ძაღლებს ქვებს ვუშენდით და ამიტომ პრინცებივით ცხოვრებაზე უარესი სასჯელის წარმოდგენაც კი ჭირდა.

მაგრამ სულ მალე აღმოვაჩინეთ, რომ სენიორა ფორბესი საკუთარ თავთან მიმართებაში არც ისე მკაცრი იყო, როგორც ჩვენთან და მის ავტორიტეტს პირველად მაშინ გაუჩნდა ბზარი. თავიდან, სანამ ჩვენ ორესტესთან ერთად ვყვინთავდით, ჯარისკაცურად გამოწყობილი სენიორა ფორბესი ქოლგის ქვეშ იჯდა და შილერის ბალადებს კითხულობდა. შემდეგ კი, სანამ სადილობის დრო არ მოაწევდა, საათობით გვასწავლიდა ხოლმე საზოგადოებაში მოქცევის წესებს.

ერთ დღეს ორესტეს სთხოვა ნავით წაეყვანა სასტუმროს მაღაზიებში და შავი, ჭრელზოლებიანი, მთლიანი საბანაო კოსტიუმით დაბრუნდა, მაგრამ წყალში არც ამის შემდეგ ჩამოსულა. სანამ ჩვენ ვცურავდით, ის პირსახოცით იწმენდდა მომსკდარ ოფლს და რადგანაც არ სველდებოდა, სამ დღეში მოხარშული კიბორჩხალას ფერი დაედო და ცივილიზაციის აუტანელი სუნი აუვიდა. სამაგიეროდ, ღამღამობით პოულობდა შვებას. ჩვენ თავიდანვე ვგრძნობდით, რომ სიბნელეში ვიღაც დააბიჯებდა სახლში. ჩემს ძმას შიშიც კი შეეპარა, დამხრჩვალთა მოხეტიალე აჩრდილები ხომ არ არიანო, რითაც ფულვია ფლამენეა გვაშინებდა ხოლმე. მაგრამ მალე აღმოვაჩინეთ, რომ ეს სენიორა ფორბესი იყო, რომელიც ღამღამობით მარტოხელა ქალის რეალური ცხოვრებით ცხოვრობდა. ერთ დილით სამზარეულოში წავაწყდით, კოლეჯის მოსწავლის ღამის პერანგი ეცვა, თავიდან ფეხებამდე ფქვილში ამოგანგლული თავის უგემრიელეს ნამცხვრებს ამზადებდა და ნაბახუსევზე აპერატივს მიირთმევდა. იმხანად უკვე ვიცოდით, რომ დავწვებოდით თუ არა, ჩუმად ჩადიოდა ხოლმე საცურაოდ ან გვიანობამდე რჩებოდა მისაღებ ოთახში და უხმოდ უყურებდა პატარებისთვის აკრძალულ გადაცემებს, ამასთან ტორტის მოზრდილ ნაჭრებს მიირთმევდა და თითო ბოთლ ძვირფას ღვინოს აყოლებდა, რასაც მამაჩემი რუდუნებით ინახავდა განსაკუთრებული შემთხვევისათვის. სენიორა ფორბესი თავშეკავებისა და ქცევის საკუთარ ნორმებს ივიწყებდა და ვნებამორეული, ლორივით თქლეფდა ტკბილეულს.. საწოლ ოთახში დაბრუნებული, მელოდიური გერმანულით კითხულობდა ნაწყვეტებს „ორლეანელი ქალწულიდან“, მღეროდა ან გათენებამდე კვნესოდა საწოლში. საუზმეზე კი ტირილისგან დასიებული თვალებით ცხადდებოდა, დღითიდღე მეტად მოღუშული და გამკაცრებული. იმხანად ჩვენზე უბედური არავინ მეგულებოდა, რადგან ორივემ ვიცოდით, რომ სენიორა ფორბესს ვერაფრით ვაჯობებდით, მაგრამ ჩემი ძმა მაინც ვაჟკაცურად ჩაუდგა ჯიბრში და ბედნიერი ზაფხული ჯოჯოხეთად გვექცა. გველთევზას ამბავმა მოთმინების ფიალა აგვივსო. იმ ღამეს, სანამ სენიორა ფორბესი მოუსვენრად წრიალებდა საკუთარ საწოლში, ჩემმა ძმამ ერთბაშად ამოანთხია დაგროვილი ბოღმა, რაც კარგა ხანი იყო, სულს უწამლავდა.

— მოვკლავ, — თქვა.

მე მის გადაწყვეტილებაზე მეტად იმ ფაქტმა გამაოცა, რომ ვახშმიდან მოყოლებული, მეც იმავეს ვფიქრობდი, ამის მიუხედავად, მაინც ვცადე ჩემი ძმის დაწყნარება.

— თავს მოგვჭრიან, — ვუთხარი.

— სიცილიაში გილიოტინა არ არის, — მიპასუხა მან. — თანაც ვერავინ შეიტყობს როგორ მოხდა.

თურმე ზღვის ფსკერიდან ამოღებულ ამფორაზე ფიქრობდა, რომელშიც მომაკვდინებელი ღვინო იყო ჩარჩენილი. მამაჩემი საგულდაგულოდ ინახავდა ჭურჭელს, რადგან სურდა საფუძვლიანად გამოეკვლია ღვინო, რომელიც მხოლოდ ჟამთასვლის გამო არ უნდა ქცეულიყო საწამლავად. ამ სითხის სენიორა ფორბესის წინააღმდეგ გამოყენება იმდენად მარტივი სვლა იყო, რომ ყველას უბედური შემთხვევა ან თვითმკვლელობა ეგონებოდა. ამიტომ, გამთენიისას, როცა სენიორა ფორბესს როგორც იყო ძილმა წაართვა თავი, ღვინო ამფორიდან მამაჩემის ბოთლში გადმოვასხით. უფროსებისგან გაგონილი გვქონდა, რომ ეს დოზა ცხენის მოსაკლავად იკმარებდა.

საუზმე ზუსტად ცხრა საათზე მივირთვით სამზარეულოში. სუფრა თვით სენიორა ფორბესმა გააწყო და ტკბილი ფუნთუშებით გაგვიმასპინძლდა, რომელსაც ფულვია ფლამინეა აცხობდა ხოლმე დილაუთენია. ღვინის შეცვლიდან ორი დღის შემდეგ, საუზმობისას, ჩემმა ძმამ სასოწარკვეთილი მზერით მანიშნა საწამლავიან ბოთლზე, რომელიც ხელუხლებლად იდო ბუფეტში. ეს პარასკევს იყო და კვირის ბოლომდე არაფერი შეცვლილა. სამშაბათ ღამეს კი სენიორა ფორბესმა ნახევარი ბოთლი დაცალა ტელევიზორში მსუბუქი ფილმების ყურებისას.

მაგრამ ოთხშაბათს, ჩვეულებისამებრ, პუნქტუალურად გამოცხადდა საუზმეზე. უძილობისგან ჩათეთქვილი სახე ჰქონდა, თვალებს კი მოუთმენლად აცეცებდა სათვალის მასიური მინებს მიღმა. მისი მოუთმენლობა კიდევ უფრო გაიზარდა, როცა ფუნთუშების კალათში გერმანულმარკიანი წერილი იპოვა. იმ დღეს ზღვის ფსკერის გამოსაკვლევად გაგვყვა და სანამ ჟანგბადის ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლონებში ჰაერი არ გაგვითავდა, წყალში ვნებივრობდით. სახლში ზრდილობის გაკვეთილის მიუღებლად დავბრუნდით. სენიორა ფორბესი მთელი დღე მშვენიერ ხასიათზე იყო, ვახშმობისას კი ისეთი გამოცოცხლებული ჩანდა, როგორც არასდროს. სამაგიეროდ ჩემი ძმა ვერ ფარავდა იმედგაცრუებას. როგორც კი ჭამის დაწყების ბრძანება მივიღეთ, მან გამომწვევად გასწია გვერდზე ვერმიშელის წვნიანი.

— ნუ გამიტრაკეთ საქმე ამ ჭიაყელებიანი მდუღარით, — თქვა.

ეს სუფრაზე ხელყუმბარის აფეთქებას უდრიდა. სენიორა ფორბესს ტუჩები გაუქვავდა და როცა სუფრაზე აფეთქების კვამლი გაიფანტა, სათვალის მინებს მიღმა აცრემლებული თვალები ვიხილეთ. მან სათვალე მოიხსნა, მინები ხელსახოცით გაწმინდა და უსახელო კაპიტულაციის ნიშნად ხელსახოცი სიმწრით დააგდო მაგიდაზე.

— რაც გინდათ ის ჰქენით, — თქვა, — მე აღარ ვარსებობ.

შვიდი საათიდან თავის ოთახში ჩაიკეტა, მაგრამ შუაღამისას, როცა მისი აზრით, ღრმა ძილში უნდა ვყოფილიყავით, საწოლ ოთახში ნახევარი შოკოლადის ტორტი და ღვინის ბოთლი შეიტანა, რომელშიც ოთხი თითის დადებაზე დარჩენილიყო საწამლავი. მისი საცოდაობით დავიწვი.

— საწყალი სენიორა ფორბესი, — ვთქვი.

ჩემს ძმას განსხვავებული აზრი აღმოაჩნდა.

— საწყლები ჩვენ ვიქნებით, თუ ამაღამ არ მოკვდება, — თქვა.

გამთენიისას სენიორა ფორბესმა კარგა ხანს ილაპარაკა ხმამაღლა, გიჟური აღტყინებით წაიკითხა შილერი და ისე დაიკივლა, რომ მთელი სახლი შეძრა. შემდეგ რამდენჯერმე ღრმად ამოისუნთქა და ტალღებს მინდობილი გემივით სტვენა-სტვენით ჩაიძინა. ღამისთევით დაქანცულებს რომ გაგვეღვიძა, ფარდებს შორის შემოჭრილი მზის სხივები დავინახეთ, მაგრამ სახლი ტბაში ჩაძირულს ჰგავდა. მივხვდით, რომ ათ საათზე მეტი იყო, ჩვენ კი სენიორა ფორბესს არ გავუღვიძებივართ. არ გაგვიგია რვა საათზე უნიტაზის წყლის ჩხრიალი, არც ონკანის მოშვებისა და ფარდების გადაწევის ხმა, არც ფეხსაცმლის ნალების ბაკუნი და არც ჩვენი ოთახის კარზე მონების ზედამხედველის სამი მომაკვდინებელი დაკაკუნება. ჩემმა ძმამ კედელს ყური მიადო და სუნთქვა შეიკრა, რათა გვერდითა ოთახიდან სიცოცხლის დამადასტურებელი ჩქამი გაეგო და ცოტა ხანში თავისუფლად ამოისუნთქა.

— გათავდა! — თქვა, — ზღვის ხმაურის მეტი არაფერი ისმის.

თერთმეტი საათისთვის საუზმე გავიმზადეთ, თითოეულმა მარაგად ორ-ორი ჟანგბადის ბალონი ავიღეთ და სანამ კატების ამალით გარშემორტყმული ფულვია ფლამინეა სახლის დასალაგებლად მოვიდოდა, ზღვაზე ჩავედით. ორესტე ნავსადგომთან დაგვხვდა, სადაც ახალდაჭერილ, ექვსგირვანქიან დორადას შიგნავდა. ავუხსენით, რომ თერთმეტ საათამდე ვუცადეთ სენიორა ფორბესს და რომ არ გამოჩნდა, გადავწყვიტეთ მარტონი ჩავსულიყავით ზღვაზე, ამას გარდა, მოვუყევით, რომ წინა საღამოს სუფრასთან სენიორა ფორბესს ტირილი აუვარდა, რის გამოც, ეტყობა, ცუდად ეძინა და საწოლში დარჩენა გადაწყვიტა. ორესტეს, როგორც მოსალოდნელი იყო, დიდი ყურადღება არ მიუქცევია ჩვენი მონაყოლისათვის და საათზე მეტხანს დაგყავით ფსკერზე. შემდეგ დაგვარიგა, სასადილოდ ავსულიყავით და თავის ძრავიანი ნავით სასტუმროებისკენ გაეშურა ნადავლის გასაყიდად. მას ქვის კიბიდან ხელების ქნევით დავემშვიდობეთ, ვითომ ის იყო სახლში ასვლას ვაპირებდით, მაგრამ თვალს მიეფარა თუ არა, ზურგზე ჟანგბადის ბალონები მოვიგდეთ და უნებართვოდ გავაგრძელეთ ყვინთვა.

მოღრუბლული დღე იყო და ჰორიზონტზე დროდადრო ელვა კრთებოდა ხოლმე. პანტელარიას შუქურამდე წყლის ზედაპირზე ვიცურავეთ, შემდეგ მარჯვნივ ავიღეთ გეზი და ასიოდე მეტრში ჩავყვინთეთ, სადაც ზაფხულის დასაწყისში ომისდროინდელი ტორპედოები აღმოვაჩინეთ. სულ მალე ვიპოვეთ ექვსივე, მზისფრად შეღებილი, სერიის ხელუხლებელი ნომრებით ვულკანური წარმოშობის ფსკერზე რიგის მიხედვით ჩამწკრივებულნი. შემდეგ შუქურასთან დავბრუნდით და ჩაძირული ქალაქის ძებნას შევუდექით, რომელზეც ფულვია ფლამინეა გვიყვებოდა ხოლმე, მაგრამ ვერაფერი ვიპოვეთ. ორი საათის შემდეგ, როცა დავრწმუნდით, რომ აღმოსაჩენი აღარაფერი დაგვრჩა, უკანასკნელი ყლუპი ჟანგბადი შევისუნთქეთ და ზედაპირზე ამოვყვინთეთ. სანამ ჩვენ ზღვის სიღრმეში ვნებივრობდით, დედამიწაზე ჭექა-ქუხილს გადაევლო, ზღვა ღელავდა და სისხლისმსმელ ფრინველთა ჯგრო ველური ყიჟინით დატრიალებდა თავს პლაჟზე გამორიყულ თევზებს. ბინდდებოდა და ცხოვრება სასიამოვნო იყო სენიორა ფორბესისის გარეშე. ძლივძლივობით ავფორხდით ქვის კიბეებზე და მხოლოდ ჩვენს სახლთან შეკრებილი ხალხისა და ზედ კართან გაჩერებული პოლიციის ორი მანქანის დანახვაზე გავაცნობიერეთ, რა ჩავიდინეთ. ჩემი ძმა აკანკალდა და უკან დაბრუნება დააპირა.

— მე არ შემოვალ, — თქვა.

მაგრამ მე შთავაგონე, რომ მხოლოდ გვამის ნახვის შემდეგ მოგვესპობოდა ყოველგვარი ეჭვი.

— დამშვიდდი, — ვუთხარი, — ღრმად ისუნთქე და იფიქრე, რომ ჩვენ არაფერი ვიცით.

ჩვენთვის ყურადღება არავის მოუქცევია. საყვინთავი აღჭურვილობა შესასვლელში დავტოვეთ და შუშაბანდში შევედით, სადაც გასაშლელი საწოლის გვერდით, იატაკზე ორი კაცი იჯდა და ეწეოდა. მაშინღა შევამჩნიეთ უკანა შესასვლელთან გაჩერებული სასწრაფო დახმარების მანქანა და შეიარაღებული სამხედროები. მისაღებ ოთახში მეზობლის ქალები ისხდნენ კედელთან მიდგმულ სკამებზე და ლოცულობდნენ, მათი ქმრები ეზოში შეკრებილიყვნენ და სიკვდილის გარდა ყველაფერზე ლაპარაკობდნენ. მე ჩემი ძმის ხელი ჩავბღუჯე და სახლში შევედი უკანა შესასვლელიდან. ჩვენი საწოლი ოთახი ღია იყო და ისევე გამოიყურებოდა, როგორც დილით დავტოვეთ. სენიორა ფორბესის ოთახთან შეიარაღებული პოლიციელი იდგა, მაგრამ კარი ღია დაეტოვებინათ. ის იყო გულაკანკალებულებმა შევიხედეთ შიგნით, რომ სამზარეულოდან ქარივით გამოიჭრა ფულვია ფლამინეა, კარი მიაჯახუნა და შეშინებულმა დაიყვირა:

— q figlidli, არ შეხვიდეთ!

მაგრამ გვიანი იყო. დღემდე არ დაგვიწყებია იმ რამდენიმე წამში ნანახი სურათი. სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ორი კაცი საწოლიდან კედლამდე მანძილს სანტიმეტრით ზომავდა, მესამე კი შავნაჭერგადაფარებული აპარატით იღებდა სურათებს. სენიორა ფორბესი საწოლში არ იწვა, შუა ოთახში ეგდო შიშველი. მთელი იატაკი მისი გამხმარი სისხლით იყო შეღებილი და სხეული ჭრილობებით ჰქონდა დასახიჩრებული. 27 სასიკვდილო ჭრილობა ისე დაუნდობლად ჰქონდა მიყენებული, რომ ცხადი იყო, უიმედო სიყვარულის გამო დაღუპულიყო. სენიორა ფორბესს ისეთივე ვნებით, ხმისამოუღებლად და უცრემლოდ მიეღო ისინი, როგორც შილერს კითხულობდა თავისი მშვენიერი, ჯარისკაცული ხმით, დარწმუნებული, რომ ეს მისი ბედნიერი ზაფხულის ულმობელი საზღაური იყო.

ესპანურიდან თარგმნა
თეა გვასალიამ

ეროვნული ბიბლიოთეკა



მარტყოფი ბავშვთა სახლში, რომელიც თბილისის სიახლოვეს მდებარეობს, 7-დან 17 წლამდე ასაკის 76 მოზარდი ცხოვრობს, რომელთაგან ნაწილი ობლობამ მოიყვანა აქ, ნაწილი კი — გაუსაძლისმა სიდუხჭირემ.

ამ ქვეყნად ყველაზე მეტად დედა და სახლი ენატრებათ, ამიტომ გულისფანცქალითა და იმედით ეგებებიან ყოველ მომსვლელს, იქნებ ვინმეს გავახსენდი და მომაკითხაო.

აქ ერთმანეთის გატანის საოცარი უნარი აქვთ. არავის ჩაგრავენ, არავის ატკენენ გულს —იციან, სადარდებელ-სატკივარი უამისოდაც ბევრი აქვთ.



# მარტყოფის ბავშვთა სახლში

ბავშვთა სახლის ბინადართ სითბოსა და მზრუნველობას არ აკლებენ თავადაც მძიმე პირობებში მყოფი აღმზრდელ-პედაგოგები, მაგრამ პატარებს მაინც სულ სხვა სითბო ენატრებათ, ოცნებებში ფერად-ფერად სურათებს ხატავენ და ლამაზი სიზმრების იმედით იძინებენ.

ეს ოცნება ატანინებს კიდეც მათ ზამთრის გრძელ ღამეებსა და უშუქობით გამოწვეულ სევდას.





დავით იაკობაშვილის ფოტოები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# საქართველოში ახსოვთ შმერლინგები



რენე შმერლინგი



ოსკარ შმერლინგი

ამ ცოტა ხნის წინ შალვა ამირანაშვილის სახელობის ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში გაიხსნა მხატვარ ოსკარ შმერლინგის ნამუშევრების გამოფენა.

იმავე დღეებში საქართველოს მეცნიერებათა აკადემიაში ჩატარდა გიორგი ჩუბინაშვილის სახელობის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის სამეცნიერო სესია, მიძღვნილი მამა-შვილის - ოსკარ (1863-1938) და რენე (1901-1967) შმერლინგების ხსოვნისადმი. მათ, ტომით გერმანელებმა, თბილისში დაბადებულებმა და აღზრდილებმა, მნიშვნელოვანი კვალი გაავლეს - მამამ, მხატვარმა, მეცხრამეტე საუკუნის მიწურულსა და მეოცე საუკუნის დასაწყისი წლების თბილისის კულტურულ ცხოვრებაში, ქალიშვილმა კი ქართული ხელოვნების კვლევის საქმეში. რენე შმერლინგი თავის მასწავლებელთან, გიორგი ჩუბინაშვილთან და სხვა მოღვაწეებთან ერთად, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ერთ-ერთი დამაარსებელიც არის.

ამდენად, ეს გამოფენა, ასევე სამეცნიერო სესია, მიძღვნილი ამ ორი პიროვნებისადმი, კიდევ ერთი დასტურია იმისა, რომ ქართველებს მადლიერების გრძნობა და უნარიც გვაქვს იმისა, რომ ეს მადლიერება თაობიდან თაობას გადაეცეს. ცოტა ვინმეღაა დარჩენილი, ვინც იცნობდა ოსკარ შმერლინგს, უფრო მეტი იცნობდა, მეგობრობდა და ცოდნას ეზიარებოდა რენეს ხელმძღვანელობით, მაგრამ მათი მოღვაწეობის ფასი უთუოდ სცილდება პირად ურთიერთობათა ფარგლებს. ოსკარის ფერწერა, გრაფიკა, კარიკატურა, წიგნის ილუსტრაცია, რენეს სამეცნიერო ნაშრომები სამუდამოდ დარჩნენ ჩვენი ერის სულიერ საგანძურში.

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ იაკობ გოგებაშვილმა ოსკარ შმერლინგი მოიწვია მხატვრად „დედა-ენის" გასაფორმებლად. ეს იმას ნიშნავს, რომ მრავალი თაობა ქართველი ბავშვებისა წერა-კითხვას სწავლობდა ოსკარ შმერლინგის ნახატების დახმარებით. მან დაასურათა აგრეთვე ქართული ხალხური ზღაპრები. ხელოვნებათმცოდნენი გვამცნობენ, რომ ქართული ხალხური ზღაპრების ესოდენ პოპულარული პერსონაჟი — დევი პირველად ოსკარ შმერლინგმა გამოსახა და შემდეგ ასეთად დარჩა ეს პერსონაჟი ჩვენი წიგნის ილუსტრაციაში, საბავშვო წიგნის დამსურათებელნი ოსკარ შმერლინგისეულ დევს ხატავენ.

შმერლინგები თბილისელი გერმანელები იყვნენ. პირველად თბილისში ოსკარის მამა ჩამოვიდა. ოსკარი და რენე კი თბილისში დაიბადნენ, აქ იცხოვრეს და აქვე ჰპოვეს სამუდამო განსასვენებელი. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ის, რომ ორივენი — სულიერებით, განათლებით, გენეტიკურად ევროპელნი — ქართული საზოგადოების წევრები იყვნენ. ოსკარ შმერლინგის კარიკატურები არ ჩამოდიოდა ქართული იუმორისტული გაზეთებისა თუ ჟურნალების ფურცლებიდან.

რენეც, ოსკარის ქალიშვილიც, ალბათ მხატვარი იქნებოდა, რომ არა მისი შეხვედრა გიორგი ჩუბინაშვილთან თბილისის სამხატვრო აკადემიაში... რენე — სტუდენტი, ბატონი გიორგი — აკადემიის პირველი რექტორი, მისი პროფესორი. რენემ კვლევის დარგად ქართული ხელოვნების ისტორია აირჩია და მისი მრავალი წლის მოღვაწეობის შედეგად თითქმის არ დარჩა ქართული სახვითი ხელოვნებისა და არქიტექტურის დარგი, რომელშიც რენეს მნიშვნელოვანი ნაშრომები არ დაეტოვებინოს. იგი იყო შუა საუკუნეთა არქიტექტურის, აგრეთვე შუა საუკუნეთა არქიტექტურული დეკორის ბრწყინვალე სპეციალისტი. ფაქტიურად მან დაუდო საფუძველი ქართული ხელნაწერი წიგნის მორთულობის მთლიანობაში შესწავლას; იგი სწავლობდა არქიტექტურის მცირე ფორმებს — კანკელებს, სწავლობდა თანამედროვე მხატვართა შემოქმედებას.

მაგრამ რენეს მნიშვნელობა მხოლოდ მისი სამეცნიერო მოღვაწეობით არ შემოიფარგლება. იგი იყო უაღრესად არაორდინარული პიროვნება, დაჯილდოებული პედაგოგის, აღმზრდელის ნიჭით. ამიტომ იყო, რომ ქართველ ხელოვნებათმცოდნეთა თაობები აღიზარდნენ რენეს გვერდით და არა მარტო ქართველები და არა მარტო ხელოვნებათმცოდნეები.

იგი ზაფხულობით აწყობდა სამეცნიერო ექსპედიციებს, რომლებშიც ინსტიტუტის თანამშრომლების გარდა მონაწილეობის მიღება შეეძლო ყველას, ვინც კი რენეს კეთილგანწყობას დაიმსახურებდა. ეს ზოგჯერ ძალიან ადვილი იყო, ზოგჯერ — ძნელი, ზოგჯერ კი შეუძლებელი. ამ ექსპედიციებში მონაწილეობა უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებდა იმ წუთებთან ერთად, რასაც ჩვენ, ახალგაზრდები რენეს გვერდით გავლიოდით. ურთულესი, საკმაო მძიმე ხასიათის ადამიანი, ანდამატივით იზიდავდა ახალგაზრდებს.

ოსკარ შმერლინგის ნამუშევართა გამოფენის გახსნას ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში დაესწრო თბილისის საზოგადოების საუკეთესო ნაწილი. ისინი ინტერესით ათვალიერებდნენ ოსკარის ტილოებს, შმერლინგების საოჯახო ფოტოებს, ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის ისტორიის ამსახველ დოკუმენტებს, აკადემიკოს ვახტანგ ბერიძის კარიკატურებს...

გამოფენის გახსნას სხვებთან ერთად დაესწრნენ საქართველოში გერმანელთა სათვისტომოს წარმომადგენლები, გერმანიის საელჩოს და თბილისის გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლები.

გამოფენა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის (დირექტორი — ქალბატონი ილზე იოჰანა ჰაინლე) სულიერი და მატერიალური თანადგომით, ასევე ფირმა „მარტინ ბაუერის" (ბატონი დავით დუმბაძე) ხელშეწყობით გახდა შესაძლებელი.

რენე შმერლინგს მრავალ ქართველ მოღვაწესთან ჰქონდა მეგობრული ურთიერთობა, მაგრამ განსაკუთრებით გამოირჩევა მისი ურთიერთობა მასწავლებელთან — გიორგი ჩუბინაშვილთან და ასევე — სიმონ ჯანაშიას და მის მეუღლესთან. სიმონ ჯანაშიას თავდადების წყალობით მოხერხდა, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს რენე შმერლინგი არ გადაასახლეს საქართველოდან და საშუალება მიეცა დარჩენილიყო მისთვის სამშობლოდ ქცეულ ქვეყანაში და ეკეთებინა თავისი საყვარელი საქმე. მეტად საინტერესოდაა ასახული ეს ურთიერთობები რენე შმერლინგის წერილებში სიმონ ჯანაშიასა და მისი მეუღლისადმი, რომლებიც პირველად ამ სამეცნიერო სესიის კრებულში გამოაქვეყნა სიმონ ჯანაშიას ქალიშვილმა რუსუდან ჯანაშიამ.

ამაღლებული სულიერება, რაც ასე აკლია დღეს ჩვენს ქვეყანას, სუფევდა გამოფენასა და სესიაზე. თუმცა აუდიტორიის დიდ ნაწილს არც ოსკარი და არც რენე ნანახი არ ჰყავდა, მაგრამ მათი ერთგულება ქვეყნისადმი, (რომელიც ფაქტიურად მათ სამშობლოდ იქცა) და უანგარო მსახურება საქმისადმი, იქცა იმის საწინდრად, რომ შმერლინგები ახსოვთ დღეს და ემახსოვრებათ მანამ, სანამ ქართულ კულტურას, ქართულ მეცნიერებას ექნება ფასი.

**ლალი ანდრონიკაშვილი,**
ხელოვნებათმცოდნე
**ინგა ლორთქიფანიძე,**
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი



საქართველოს

# დედების სკოლა



## პამპერსი – მტერი თუ მოყვარე?

### ახლა ძნელი წარმოსადგენია, როგორ ზრდიდნენ ბავშვებს უპამპერსოდ

მას შემდეგ, რაც ხმარებაში შემოვიდა ქაღალდის ერთჯერადი შემწოვი საფენები, ახალგაზრდა დედებს საქმე საგრძნობლად გაუადვილდათ. მაგრამ მალე პრესაში გაჩნდა წერილები, რომლებიც მოუწოდებდნენ დედებს, თავი შეეკავებინათ მათი გამოყენებისგან.

რომელს დავუჯეროთ, ასეთ წერილებს თუ სარეკლამო რგოლებს, რომლებსაც ყოველდღიურად უჩვენებენ ტელევიზიით?

ჭეშმარიტება, როგორც ყოველთვის, სადღაც შუაში დევს.

ეს საფენები არა მარტო უადვილებენ დედებს ცხოვრებას, თავიდან აცილებენ ყოველდღიურ რეცხვას, არამედ საშუალებას იძლევიან არ გამოვკეტოთ ბავშვი ოთხ კედელში, განსაკუთრებით ზამთარში, როცა დედები იმის შიშით – ბავშვმა არ ჩაისველოს და არ გამიცივდესო, ამჯობინებს სულაც არ გაიყვანოს პატარა გარეთ. არადა, ბავშვისთვის ჰაერზე სეირნობა ყოვლად აუცილებელია.

აი, აქ პამპერსი შეუცვლელია. შეგიძლიათ ასეირნოთ რამდენ ხანსაც გსურთ, წაიყვანოთ სტუმრად. როცა პაწიას შარვალი მშრალი აქვს, ის მეტი ინტერესით ეცნობა სამყაროს, მშვიდადაა, თამაშის ხასიათზეა, არ ჭირვეულობს.

ამ შესაძლებლობაზე უარის თქმა ნამდვილად არ ღირს და აქ პამპერსი უდავოდ ჩვენი მეგობარია.

აი, კიდევ რამდენიმე რჩევა, რომლებსაც სპეციალისტები გვთავაზობენ:

*აირჩიეთ პამპერსი ბავშვის ასაკის და წონის მიხედვით.

*ნუ გააკეთებთ ეკონომიას ბავშვის ჯანმრთელობის ხარჯზე. აირჩიეთ ისეთი პამპერსი, რომელიც ჰაერს ატარებს.

*ნუ გააჩერებთ ბავშვს პამპერსში მთელ დღეს გაუხსნელად. სეირნობიდან მოყვანილს გამოუცვალეთ და ჩააცვით ჩვეულებრივი საცვალი.

*ნუ დაივიწყებთ, რომ საფენები სითბოს ინარჩუნებენ. ამიტომ ზედმეტად ნუ ჩაფუთნით პატარას. ორგანიზმის გადახურება საშიშია.

*ეცადეთ ხშირად უცვალოთ პამპერსი, რადგან სითხის შეწოვის უნარის მიუხედავად, ის უძირო მაინც არ არის. ხოლო თბილი და სველი „კომპრესი" ხელს უწყობს მავნე ფლორის წარმოშობა-გამრავლებას.

*თუ პატარა ქოთანზე დაჯდომას (გადაყენებას) ითხოვს, ნუ დაიზარებთ, თუნდაც სტუმრად იყოთ და პამპერსის მოხსნაც დაგჭირდეთ.

*თუ შინ რჩებით, არ არის აუცილებელი მთელი დღე პამპერსში გყავდეთ. ირბინოს ტიტლიკანამ. ეს ჰაერის აბაზანა მეტად მარგებელია და თანაც უფრო გაადვილდება მიაჩვიოთ ქოთანზე ჯდომას, ფისის მოთხოვნას.

*მალე ბავშვი მიეჩვევა ფისის მოთხოვნას (ლაპარაკია წამოზრდილ ბავშვზე).

### ფრთხილად, დედებო!

კიდევ რამდენიმე აუცილებელი რჩევა პამპერსის თაობაზე:

*თუ ბავშვს სიცხე აქვს, პამპერსის ჩაცმა არ შეიძლება, თორემ არავითარი სიცხის დამწევი საშუალება არ იმოქმედებს.

*თუ ბავშვს კუჭი აქვს აშლილი, ერთჯერადმა საფენებმა შეიძლება გამოიწვიოს კანის დამწვრობა. დროებით დაუბრუნდით მარილის საფენებს.

*თუ ბავშვს მიდრეკილება აქვს დიათეზის, დერმატიტის, ეგზემისაკენ, არ არის რეკომენდირებული ერთჯერადი საფენები.

*პამპერსის ძალზე ხანგრძლივი ხმარება არც ჯანმრთელი ბავშვისთვისაა სასურველი, რადგან ამან შაიძლება იმოქმედოს შარდსასქესო სისტემის ფუნქციონირებაზე.

### მაგრამ

თუ ბავშვს ენურეზი აქვს, ეს ერთჯერადი საფენები მისთვის პირდაპირ მისწრებაა. მას თავიდან ავაცილებთ თანატოლების დაცინვას, რაც საბოლოო ჯამში იწვევს სხვადასხვა კომპლექსს. ხოლო დედებს შეუძლიათ მშვიდად უმკურნალონ ბავშვებს ისე, რომ არ შელახონ მათი თავმოყვარეობა.

**ჟურნალი „მოი რებიონოკ", 2000 წ.**

იცით თუ არა რომ

## სოფი ლორენის საიდუმლო

მსოფლიოში ერთ-ერთი ულამაზესი ქალი გვიზიარებს თავის საიდუმლოებას, როგორ შეინარჩუნა ახალგაზრდობა:

— ყველას ჰგონია, რომ მე ბევრ დროს ვუთმობ ჩემს თავს. სულაც არა. მთავარია, მივაქციოთ ყურადღება კვებას — მხოლოდ მაშინ გვექნება კარგი სახის კანი. გადაჭარბებული დიეტა არ არის საჭირო. ნუ მიირთმევთ ცხიმიანს, უარი თქვით ნახშირწყლებზე, ალკოჰოლზე და თამბაქოზე. და, რა თქმა უნდა, დილაობით ივარჯიშეთ, მაგრამ ძალიან არ გადაიტვირთოთ.

სოფი დილის 5 საათზე დგება, იძინებს საღამოს 8 საათზე. მარჩელო მასტროიანი კიდეც ჩიოდა, რომ ლორენს ვერცერთ საღამოს წვეულებაზე ვერ შეიტყუებ — 8 საათზე ლოგინშია, და თანაც სასმელს არ ეკარება.

სოფი ბევრ დროს ხარჯავს კოსმეტიკაზე. თავს საბავშვო შამპუნით იბანს. თვითონ იღებავს თმას, იკეთებს მანიკურს, მაკიაჟს. ის არასდროს ყიდულობს ძვირადღირებულ კოსმეტიკურ საშუალებებს, რადგან არ სჯერა მათი სასწაულმოქმედების. მიაჩნია, რომ აუცილებელია ძილის წინ სახის კარგად გაწმენდა, A ვიტამინის წასმა თვალებთან, ყელზე, ხელებზე. საუკეთესო კრემად კი ვაზელინს თვლის.

სოფი შესანიშნავი კულინარია და საჭმელსაც თვითონ იმზადებს. გამოვიდა მისი კულინარული რეცეპტების წიგნი და მაშინვე გაიყიდა.



იგი სამოცდახუთი წლისაა, მაგრამ ძალიან ახალგაზრდულია. ამის საიდუმლო იმ დიდ სიყვარულშია, მას რომ ამოძრავებს.

უყვარს მზე, ბავშვები, ქმარი, მეგობრები, სიცოცხლე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## როცა პატარას ყური სტკივა

ვის არ გამოუცდია ეს საშინელი ტკივილი. ყოველ ადამიანს ერთხელ მაინც გადაუტანია ოტიტი, ანუ შუა ყურის ანთება.

ყველაზე ხშირად ყურს ბავშვები იტკიებენ. საკმარისია შეხვდეს სურდო, მეორე დღესვე ელოდეთ: „დედიკო, ყური!“

ეს ტკივილი იმდენად ძლიერია, შესაძლოა სტრესი გამოიწვიოს.

## საიდან ველოდოთ საფრთხეს

ყველაზე ხშირად ოტიტს იწვევს ინფექცია: სურდო, გრიპი.

საყმაწვილო დაავადებანი (წითელა, ხველა, ქუნთრუშა).

## როგორ შევატყოთ

თუ პატარას ყური ასტკივდა, უარს ამბობს საჭმელზე (ყლაპვა უჭირს).

აწეული აქვს ტემპერატურა; აღებინებს.

მოუსვენარი ხდება, წრიალებს (განსაკუთრებით კვების დროს).

ხელი მიაქვს ყურისაკენ.

თავს ხრის მტკივანი ყურის მხარეს, იმ ყურზე წვება.

თუ თითს დააჭერთ ყურზე, მაშინვე გასწევს თავს და ატირდება.

მაგრამ ეს სიმპტომები შეიძლება სხვა დაავადების დროსაც შენიშნოთ, ამიტომ ბავშვი უსათუოდ უნდა ნახოს სპეციალისტმა. რაც უფრო პატარაა ბავშვი, მით უფრო ხშირია მათში ყურის ორმხრივი ანთება. ყურის შედარებით პატარა ტკივილიც კი შესაძლოა სერიოზული გართულების მიზეზად იქცეს (სიყრუე, ქრონიკული ოტიტი).

## რატომ?

პაწია ისეთი საწოლში წევს, თიქოს დაცული უნდა იყოს ყურის გაცივებისაგან. მაგრამ პატარა გაცივების დროსაც, ცხვირიდან გამონადენი გროვდება ყურის არეში. ეს ხდება დაავადების მიზეზი. შეიძლება ჭამის შემდეგ ამონაღები სითხე ჩაუვიდეს ყურში.

7-8 თვის ასაკში ჩვილს თანდაყოლილი იმუნიტეტი უსუსტდება, საკუთარი კი ჯერ ვერ გამოუმუშავებია.

## კიდევ რა უნდა ვიცოდეთ

ბავშვები ცელქობენ, ფანტაზიორობენ. მაგალითად, პატარამ შეიძლება ყურში ფანქარი ან სხვა საგანი ჩაიჩხიროს და ყურის აპკი დაიზიანოს, რაც შუა ყურს იცავს.

უცხო სხეული (ღილი, ლობიო, ბურთულა) ყურში მოხვედრისას ასევე იწვევს ტკივილს.

ბანაობისას ყურში ჩასული წყალიც იწვევს ანთებას.

## როგორ დავეხმაროთ?

რამდენიმე წესია, რაც აუცილებლად უნდა იცოდნენ მშობლებმა, თუ ბავშვი ოტიტით გაუხდათ ავად.

თითო ბავშვს დღეში რამდენჯერმე უნდა გაუწმინდოთ ცხვირი. საწოლის თავი ცოტა ამაღლებული უნდა იყოს.

დღის მანძილზე ხშირად აიყვანეთ ხელში და ვერტიკალურ მდგომარეობაში ატარეთ.

ცოტა წამოზრდილ ბავშვს უნდა ჩააწვეთოთ ცხვირში ნაზივინი ან გალაზოლინი ან ნაფტიზინი, მაგრამ აქაც აუცილებელია სიფრთხილე და ცოდნა.

მარჯვენა მხარეს დაწოლილ პატარას წამალი უნდა ჩააწვეთოთ მარჯვენა ნესტოს გარეთა კიდისკენ. მარცხენაზე დაწოლილს – მარცხენა ნესტოში.

ასწავლეთ ცხვირის მოხოცვა ცალ-ცალკე ნესტოდან.

ყურში შეიძლება ჩაუდოთ ბორის სპირტში დასველებული ბამბა, ან ჩააწვეთოთ ოტინუმი.

თუ სიცხე და ტკივილი რამდენიმე დღეს გაგრძელდა, შესაძლოა ექიმმა გამოუწეროს ანტიბიოტიკი (ამოქსიცილინი).

## გამოცდილება გვიჩვენებს

ტკივილს აწყნარებს თბილი კომპრესი ყურის გარშემო.

კარგია ლურჯი ნათურით ყურის შეთბობა.

ზოგჯერ ტკივილს ამებს სტერილური მცენარეული ზეთის რამდენიმე წვეთი (თბილი).

## ფრთხილად იყავით!

– თუ ბავშვს ყურში უცხო სხეული მოხვდა, არ ეცადოთ ამოღებას. შეიძლება უფრო ღრმად ჩავიდეს. მიმართეთ სპეციალისტს.

– წამლის ჩაწვეთებამდე ექიმმა უნდა ნახოს, რადგან შესაძლოა ტკივილი გამოწვეული იყოს ყურის აპკის დაზიანებით. ამ დროს რაიმეს ჩაწვეთება კი მდგომარეობას ართულებს.

## წყალი სიცოცხლეა

• იცით თუ არა რომ •

არცისე დიდი ხნის წინ ორგანიზმისთვის სასარგებლოდ მინარევებისაგან გაწმენდილი წყალი ითვლებოდა. ბოლო ხანებში მეცნიერებმა მას „მკვდარი წყალი“ უწოდეს. ამჟამად დადგენილია, რომ წყალი სწორედ მინარევებით: მიკროელემენტებით, მარილებით და ბიოქიმიურად აქტიური ნივთიერებებით ფასობს.

დღეს ყველაზე პოპულარული წყაროს წყალია. ონკანის წყლისგან განსხვავებით, იგი მიწაში ბუნებრივი ფილტრით იწმინდება და არ საჭიროებს ხელოვნურ ქლორს. სუფთა ბუნებრივი წყალი სასარგებლოა როგორც დასალევად, ისე ალკოჰოლური სასმელების დასამზადებლად. ყველაზე საუკეთესო შოტლანდიური ვისკი ეკოლოგიურად სუფთა ძთის წყაროს წყლისგან ძზადდება.. სუფრის წყლად ის წყაროს წყალი ითვლება, რომლის ერთ ლიტრში მარილების შემცველობა ერთ გრამზე მეტი არაა.

დიეტოლოგები ზაფხულში იმ სამკურნალო წყლის მიღებას გვირჩევენ, რომლის ერთ ლიტრში მარილები ათ გრამამდეა, ასეთია ბორჯომი, ნარზანი, ესენტუკი 4 და სხვა. ისინი სიცხეში შესანიშნავად აღადგენენ დაკარგულ მარილებს, თუმცა გადაჭარბებული სმა სასურველი არაა.

თუ სამკურნალო წყალში მარილები ათ გრამზე მეტია, ექიმები დასალევ ნორმას რეცეპტით წერენ.

სპეციალისტების რეკომენდაციით, ადამიანმა დღეში ლიტრანახევარი წყალი მაინც უნდა ძიიღოს. გაძოკვლევებით დადასტურებულია, ამ ნორმის ორი პროცენტით შემცირებაც კი ადამიანს თავის დაღს ასვამს — დაბლდება ყურადღების კონცენტრაცია, ძლიერდება დაღლილობის შეგრძნება.

ცხოველმყოფელგავლენას ახდენს წყალი ფიზიკურ გარეგნობაზე. ჩვენი კანი ცხრა ლიტრამდე წყალს შეიცავს. ხშირ შემთხვევაში ტოპმოდელები და მსახიობები თან ატარებენ მინერალურ წყალს. როგორც სინდი კროუფორდი ამბობს, ეს ფორმაში ყოფნის ერთერთი იოლი საშუალებაა.

„სემ დნეი“

ეროვნული ბიბლიოთეკა





# გიორგი გელაშვილი

## ქალის ასაკი

უკვე ხნოვანებაში შესული მსახიობი ქალის სცენაზე კვლავ ბრწყინვალე თამაშით მოხიბლულმა მისმა თაყვანისმცემელმა ქალიშვილმა ერთხელ გაბედა და დიდი სიყვარულის ნიშნად მცირე ნობათი — სამად-სამი ხავერდოვანი მიხაკი აახლა სახლში სხვისი ხელით და თავისი ვინაობის მოუხსენებლად.

რამდენიმე თვის შემდეგ ქალიშვილს ბედნიერება მიეცა ყოფილიყო დიდებულ წვეულებაზე, რომლის უგვირგვინო დედოფალიც იყო მისი და ხალხის სათაყვანო ხნოვანი მსახიობი ქალი.

დედოფალდიდმა გული გაუშალა ყველას და ქალიშვილსაც და ქალიშვილის სიხარულს ზღვარი არ ჰქონდა, მრავალი სიტყვა-მარგალიტი დააფრქვია და იმ სამად-სამი მიხაკის საიდუმლოებაც გაუხსნა სახელოვან მანდილოსანს. დიდმა მსახიობმა კი მოულოდნელად მოიწყინა, თვალებში სევდა ჩაუდგა.

— ნეტავი არ გეთქვა, — თითქოს გულიც ამოაყოლა მან ოხვრას, — მერჩია, ისევ ვინმე ჭაბუკისგან ნაახლებად დარჩენილიყო ჩემს ფიქრში ის შენი მიხაკები...

თან გაიღიმა, მაგრამ ვაი ამ გაღიმებას!

ქალიშვილიც ხომ იყო და აღარც იყო.

## ყავლი

ზამთარი უსაშველოდ გაჭიანურდა, გაიწელა და გაზაფხულსაც უბოდიშოდ წაეტანა. უკვე ყვავილობაც დაიწყო, მაგრამ კიდევ ჩამოყრიდა ხოლმე სველ, მძიმე ფიფქებს, რომლებიც უმალ თოვლჭყაპად იქცეოდა და ყველას აღიზიანებდა. ხალხი ზოგი წუწუნებდა და მურმურობდა, ზოგი იღრინებოდა, ასე თუ გაგრძელდა, სანატრელი გაზაფხულის გემოს ვერ გავიგებთო, თვალსა და ხელს შუა შეუმჩნევლად გაგვიქრებაო.

უნდილი თოვლი კი, არც წყალი, არც ღვინო, მაინც არ ეშვებოდა ქალაქს, და ენძელებს; იებს, ყოჩივარდებს, ჩვეულებრივი სიხარული არ მოჰქონდათ.

უკანასკნელი თოვლი ჰგავს სუფრასთან ნადიმის დასასრულს გაჭირვეულებულ სტუმარს, რომელიც თავისთვის უკვე დაკარგულია, სხვას კი აუგემურებს. ასეთი თოვლიც მოსაბეზრებელია და სტუმარიც.

ასე გაიფიქრეს ერთი კარგი ოჯახიდან ღამე გამოსულმა სტუმრებმა. ისინი გულნაკლული იმიტომ იყვნენ, რომ ჯერ იყო და კეთილ მასპინძლებს მთელი წვეულება აუღორა ერთმა ზომაზე მეტად ნაყლაპმა და უხეიროდ ატროკებულმა სტუმარმა, შემდეგ კი, აგერ ქუჩაში გამოსვლისთანავე შეეფეთნენ საძაგლად უხამს უკანასკნელ თოვლს, რომელსაც თავისი ყველა ყავლი დიდიხანია გასული ჰქონდა.

## მალული ცრემლები

ერთთავად შუბლშეკრულ და ამიტომ თითქოსდა ცივ კაცს კინოში ჩვეულებრივი ცხოვრებისეული მხატვრული ფილმის ყურების დროს, როცა მის გვერდით ნაცნობი არავინ იჯდა, თვალებში ცრემლები მოსვლოდა.

ამბავმა მაინც გაჟონა ხალხში და მიაღწია დაწესებულებამდე, სადაც გულქვა კაცად მიჩნეულ პიროვნებას ერთ-ერთი დიდი თანამდებობა ეკავა. იგი, თავად მუყაითი, სხვების მიმართ კი მომთხოვნი და ცოტა არ იყოს, მკაცრი იყო, რისთვისაც თანამშრომლებს გულზე არ ეხატებოდათ. ასეთივე დარჩა ის კინოში გულაჩვილების შემდეგაც და ბაიბურშიც არ იყო, თუ ვინმემ იცოდა მისი ცრემლების ამბავი. ის საერთოდ მარტო დადიოდა კინოში, რადგან ასე ხშირად მოერეოდა ცრემლი და შიშობდა არავის ენახა მისი სისუსტე.

სამაგიეროდ უცებ საპირისპიროდ შეიცვალეს მის მიმართ დამოკიდებულება თანამშრომლებმა, რომლებმაც მისი ჩუმი ტირილის გაგების შემდეგ აქამდე ათვალწუნებულ ხელმძღვანელში ადამიანის ნამდვილი სათუთი სული იგრძნეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ევროპაში აღიარებული სკოლა საქართველოში... დაიწუნეს



უტა კალტშმიდი — მსოფლიო





უტა კალტშმიდი — მირიგება შეხვედრაზე



უტა კალტშმიდი — კაფე-ბარი



საბინე ბიოშე — საუბარი

საქართველო-გერმანიის საზოგადოება მიზნად ისახავს ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობების განვითარებას. ამ საზოგადოების ინიციატივით 1993 წლიდან გერმანიის სხვადასხვა ქალაქში ექვსჯერ მოეწყო ქართველი მხატვრების ნამუშევართა გამოფენა.

წლეულს საზოგადოების პრეზიდენტი ბატონი ზვიად კოჰზირიძე და გერმანელ მხატვართა ვორპსვედეს ჯგუფის ხელმძღვანელი ბატონი ლოთარ ბერნაკი შეთანხმდნენ, ორ წელიწადში ერთხელ გერმანელებს საქართველოში, ქართველ მხატვრებს კი გერმანიაში მოეწყოთ გამოფენა.

თბილისში, სურათების ეროვნულ გალერეაში გერმანელ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა მოეწყო, სადაც წარმოდგენილი იყო ქალაქ ვორპსვედეს მხატვართა სურათები.

ამჯერად თბილისის საგამოფენო დარბაზის სტუმრები იყვნენ: მხატვართა ჯგუფის ხელმძღვანელი, გალერისტი ლოთარ ბერნაკი და მხატვრები: საბინა ბიოშე, ფრიც ჰელვიგი, უვე ჰუსლერი და ოლივერ ცარბელი.

გერმანელებმა შემოგვთავაზეს რეალიზმისა და მოდერნიზმის შეხამება, რისი მეშვეობითაც სრულად წარმოაჩინეს თანამედროვე გერმანულ მხატვრობაში არსებული თითქმის ყველა მიმდინარეობა.

გამოფენის შესახებ ხელოვნების მოყვარულთა აზრი ორად გაიყო.

გამოფენის ინიციატორმა, საქართველო-გერმანიის საზოგადოების პრეზიდენტმა, ზვიად კოჰზირიძემ გერმანელი სტუმრების შემოქმედებას მაღალი შეფასება მისცა, თუმცა მისი ამაღლებული განწყობილება ყურადღებით გაიზიარეს ჩვეულებრივმა დამთვალიერებლებმა.

მაყურებელი ადვილად შეამჩნევდა ფერთა ჰარმონიას — ოქროსფერი, ნარინჯისფერი, ცისფერი და ლურჯი ფერები ზედმიწევნით გადმოსცემდა განწყობილებას. სურათების უმეტესობა აბსტრაქციულია და დამთვალიერებლისაგან სათქმელის გამოცნობას და გააზრებას მოითხოვდა. გაუგებარი ამ გამოფენაზე არაფერი ყოფილა, დასანანი ის არის, რომ ქართველი ხალხი გერმანული მაღალი კულტურისაგან გაცილებით მეტს მოელოდა.

ბერნაკის გალერეა კერძო გალერეებს შორის ერთ-ერთი უდიდესია გერმანიაში. მისი მფლობელი, ბატონი ბერნაკი, გახლდათ სტომატოლოგიური კერძო კლინიკის მფლობელი ბრემენში. მხედველობის გაუარესების გამო მან კლინიკა მეუღლესა და ვაჟს გადააბარა, თავად იყიდა სახლი ვორპსვედეში. შეიძინა გალერეა, შემოიკრიბა ათი მხატვარი და თავისი ცხოვრება ხელოვნებას დაუკავშირა. რამდენიმე შეკითხვით მივმართეთ მას:

*— იცნობთ თუ არა ქართველი მხატვრების შემოქმედებას?*

— რა თქმა უნდა. პირადად მე ძალიან მომწონს ფიროსმანის ნახატები, აგრეთვე — მამუკა მიქელაძის, რუსუდან ფეტვიაშვილის, ოთარ მეგრელიძის, ოთარ ჩაკვეტაძის ნამუშევრები.

*— ეს იყო გამოფენა-გაყიდვა. სურათები თუ გაიყიდა?*

— არ გაყიდულა.

*— გამოფენის შესახებ სხვადასხვა აზრი გამოითქვა. ჩვეულებრივ დამთვალიერებელს რაღაც მოეწონა ამ სურათებში, რაღაც — არა...*

— ჩამოვედი, რომ ქართველი ხალხისთვის უნდა შემეთავაზებინა თანამედროვე ვორპსვედური ხელოვნება. ამ მშვენიერ დარბაზში სურათები განსაკუთრებულ ღირებულებას იძენს. ვიმედოვნებ, რომ ქართველ საზოგადოებას მოეწონა წარმოდგენილი ნახატები.

*— თქვენ ჩამოხვედით ქვეყანაში, სადაც უამრავი უმუშევარი ნიჭიერი მხატვარი ქუჩაში დგას და ნახატებს ჰყიდის. ოცნებად აქვთ გადაქცეული გამოფენის მოწყობა, რამდენი ისე წავიდა ამ ქვეყნიდან, ამ სიხარულის განცდა არ ღირსებია. გრძნობთ თუ არა პასუხისმგებლობას, როდესაც ამ საზოგადოების წინაშე გამოგაქვთ თქვენი ხელოვნება?*

— ეს სატკივარი მხოლოდ ქართველ მხატვრებს არ აწუხებთ. ბევრი გერმანელი მხატვარიც ელოდება გამოფენის მოწყობას და მყიდველს. ბოლო სამი წლის განმავლობაში ვორპსვედეში ორჯერ მოეწყო ქართველ მხატვართა ნამუშევრების გამოფენა. ჩვენ დიდად ვაფასებთ კულტურათა ურთიერთგაცვლას. გამოფენის წყალობით თბილისში რამდენიმე ქართველი მხატვარი გავიცანი. განზრახული გვაქვს, 2001 წლისათვის ვორპსვედეში მოვაწყოთ ხუთი ქართველი მხატვრის ნამუშევრების გამოფენა.

ესაუბრა ნანა ჯაფარიძე



# სიტყვა იგივე მუსიკაა

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ სტუმარია საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, ქალბატონი ბება ივანიცკაია, რომელსაც დაბადებიდან 90 წელი შეუსრულდა. მან დიდი ამაგი დასდო ქართულ ხელოვნებას, ათეული წლების მანძილზე მეტყველებას და ვოკალს ასწავლიდა ჩვენს მსახიობებსა და მომღერლებს. ამ მშვენიერ ქალბატონთან საუბრისას გხიბლავთ არაჩვეულებრივი მოკრძალება, უღიდესი შინაგანი კულტურა და, რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, საოცრად ნათელი გონება.

მკითხველს ვთავაზობთ მასთან საუბარს, რომელშიც ბევრი საინტერესო მოგონებაა ხელოვნების გამოჩენილ მოღვაწეებზე:

-დავიბადე ბაქოში 1910 წლის 14 ოქტომბერს. მამაჩემი ნავთობის მეპატრონე იყო, დედა — ცნობილი მომღერალი. მღეროდა თბილისში, ოდესაში, იამინის საოპერო თეატრების სცენაზე. მენშევიკების შემოსვლის შემდეგ ბაქოდან თბილისში გადმოვედით საცხოვრებლად, ვსწავლობდი რუსულ სკოლაში, სადაც გვყავდა პედაგოგი მარია ალექსის ასული კასპერსკაია, რომელსაც ბესტუჟევის კურსები ჰქონდა დამთავრებული. ჩემი თანაკლასელები იყვნენ ვახტანგ ჭაბუკიანი, სერგო ქობულაძე, ელენე ჩიკვაიძე... მარია ალექსის ასულს უყვარდა სპექტაკლების გამართვა. ერთ-ერთ ასეთ საღამოზე მონაწილეობა მიიღო თოთხმეტი წლის ვახტანგ ჭაბუკიანმა, რომელიც მარია პერინის სტუდიაში სწავლობდა. ჭაბუკი „ცეცხლს“ ცეკვავდა. ბავშვობიდანვე ეტყობოდა არაჩვეულებრივი პლასტიკა. შემდეგ, როცა ცნობილი ბალერინი გახდა, ერთმანეთს შევხვდით. მას ვოკალში მეცადინეობა უნდოდა, დროც დავნიშნეთ, მაგრამ არ მოვიდა, ეწყინა, რომ მოულოდნელობის გამო მაშინვე არ დავთანხმდი მეცადინეობაზე. მაგრამ როცა ბალეტი „ოტელო“ ვნახე, ვიფიქრე, კიდევ კარგი, მომღერალი არ გახდა-მეთქი.

სერგო ქობულაძე დიდი ნიჭის მხატვარი იყო, ძალიან მეგობრული, იუმორის გრძნობით აღსავსე. მის მიერ შექმნილი „ვეფხისტყაოსნის“ ილუსტრაციები დაუვიწყარია ჩემთვის.

დიდი სიამოვნებით ვიგონებ კონსერვატორიის წლებს, სადაც ევგენი ნიკოლოზის ძე ვრონსკის კლასში ვსწავლობდი. იგი ცნობილი ბარიტონი იყო. ჩემი პედაგოგი გახლდათ აგრეთვე შესანიშნავი მუსიკისმცოდნე პაველ ხუჭუა. ჩემს კურსზე სწავლობდნენ ჰერტრუდა შმალცელი, დავით გამრეკელი — იშვიათი ხმის პატრონი. მესამე კურსიდან იგი მოსკოვში გადავიდა. ერთხელ ბიბლიოთეკაში ვიჯექი, შემოვიდა და ხუმრობით მითხრა: „შენგან ვოკალისტი არ გამოვა, ისე გატაცებით კითხულობ მარქსიზმის საფუძვლებს“. დავით გამრეკელი ვოკალისტთა საერთაშორისო კონკურსებზე ყოველთვის წარმატებით გამოდიოდა. ასეთი ხმა ასწლეულში ორ-სამ კაცს თუ დაყვება.

შემდეგ დავიწყე პედაგოგიური მოღვაწეობა სხვადასხვა დროს კინოსკოლაში, რომელიც კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“ არსებობდა, ვასწავლიდი ვოკალს და მეტყველებას. სკოლის დირექტორი გახლდათ ქალბატონი თლია ჩიმკაძე. აქ ძალიან თბილი და საქმიანი ატმოსფერო დამხვდა. დაუვიწყარია ჩემთვის ბატონი დოდო ალექსიძე, უსაზღვრო ფანტაზიის რეჟისორი. გამოცდის შემდეგ აღფრთოვანებული საუბრობდა ჩემს ჯგუფზე. ვასწავლიდი კინორეჟისორ ნანა მჭედლიძეს, თეატრალური ინსტიტუტის დოცენტს ნატო კანდელაკს და სხვებს. ვასწავლიდი ასევე საქართველოს ტელევიზიის და რადიოს დიქტორებს. ჩემი აღზრდილები არიან ჯულიეტა ვაშაყმაძე, თენგიზ ნათაძე, ნუგზარ ჯულელი. მარჯანიშვილის თეატრში მაშინ ვმუშაობდი, როცა სამხატვრო ხელმძღვანელი და დირექტორი დიდი ვერიკო იყო. აქ ჩამოყალიბდა ქართველ მსახიობთა ჯგუფი, რომელსაც მეტყველებაში ვამეცადინებდი. ამ ჯგუფში იყო ქ-ნი სოფიკო ჭიაურელი, რომელიც არცერთ მეცადინეობას არ აცდენდა და ყოველთვის ყურადღებით ეკიდებოდა, ითვისებდა იმას, რაც სწორი მეტყველებისათვის საჭირო იყო.

მედეა ჯაფარიძეს 1947 წელს შევხვდი. მაშინ „ქეთო და კოტეს“ იღებდნენ. ერთ მშვენიერ დღეს ჩვენთან, სახლში მობრძანდა ულამაზესი არსება, ვარდისფერი სამოსი ეცვა. დედამ რომ დაინახა, უთხრა, ჩემი ქალიშვილი აუცილებლად იმეცადინებს თქვენთან, როგორ შეიძლებოდა მისთვის უარი მეთქვა? ჩვენს შორის მეგობრობა ბოლომდე გაგრძელდა. მედეასთან ვიმუშავე „კეისარი და კლეოპატრაზე“. სამეტყველო ტექნიკიდან მოვხსენით ის ზედმეტი, რაც ხელს უშლიდა ხმის განვითარებას. არ შეიძლება არ მოვიგონო რეზო თაბუკაშვილი, ღვთისგან ბოძებული ნიჭი. ლაშა პირველად თორმეტი დღის ვნახე. ამ ლამაზი დედა-შვილის ხილვა დიდი სიამოვნება იყო.

ახლო ურთიერთობა მქონდა თამარ ციციშვილთან, ინტელექტუალურ მსახიობთან. ძალიან უხდებოდა და კარგად თამაშობდა თავადის ქალებს. მისი სიახლოვე განსაკუთრებით დედის გარდაცვალებისას ვიგრძენი, ძალიან მამხნევებდა სულით.

მახსოვს გიორგი შავგულიძე, მას კინოსტუდიაში შევხვდი. მედეას ვამეცადინებდი, როცა ოთახში შემოვიდა. მერე მედეასთან ერთად დაიწყო მეტყველებაში მეცადინეობა. მის გარეგნობაში იგრძნობოდა დახვეწილობა და პლასტიკურობა, რაღაც თანდაყოლილი არისტოკრატულობა.

შალვა დადიანი თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე იყო.

# გაუმარჯოს

უმუშევრობით, უფულობით, ქვეყნის არეულობით და უსიამოვნო ინფორმაციით გაჯერებულ ყოფაში ადამიანები ცდილობენ იპოვონ გამოსავალი, ცოტა ხნით მაინც გადაიყარონ დარდი. რამხელა ბედნიერებაა, მშველელი რომ გამოგიჩნდება, იმედს ჩაგისახავს, ცხოვრებას ცოტა ხნით მაინც გაგილამაზებს. ეს მისია აკისრია ქალბატონ ივეტა კუპრაძეს, ბორჯომის მკვიდრს, მუსიკალური სკოლის პედაგოგს, ქალთა ერთ-ერთი არასამთავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელს რაიონში.

გთავაზობთ ინტერვიუს ბორჯომის დემოგრაფიულ საზოგადოებასთან არსებულ დედათა კომიტეტის — თეთრი მანდილის თავმჯდომარესთან, ქალბატონ ივეტასთან:



**— გვაინტერესებს, რა მოვალეობა გაკისრიათ როგორც გენდერის პროგრამის ხელმძღვანელს?**

— გენდერის პროგრამა მთელ მსოფლიოში გაეროს ეგიდით მუშაობს. იგი ქალთა უფლებებს იცავს. რაიონში ამ უფლებების დაცვა ადგილებზე საქმის შესწავლით იწყება. მერე ვიწყებთ ზრუნვას ქალთა სოციალურ-ეკონომიკური პირობების გასაუმჯობესებლად, საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად.

**— ბორჯომელები გახასიათებენ როგორც საზოგადოებრივი საქმიანობით გამორჩეულ პიროვნებას. მოსწონთ თქვენს მიერ მოწყობილი საღამოები — მხნეობა რომ შემატეთ, იმედი რომ ჩაუსახეთ ადამიანებს. იქნებ მოგვიყვეთ ამ ღონისძიებების შესახებ?**

— სულ იმის ფიქრში ვარ, ბორჯომელებს ყოფა შევუმსუბუქო, თბილი სიტყვით, პატარა საჩუქრებით გავახარო. ამიტომაც ვიკრიბებით და ერთმანეთს გულს ვუხსნით.

ამას წინათ ის ხანდაზმულები შეიკრიბნენ, რომლებმაც მთელი ცხოვრება კეთილსინდისიერად ილვაწეს, ხალხის პატივისცემა დაიმსახურეს. საღამოზე ღრმად მოხუცებული ადამიანებიც მოვიდნენ. იმდენი თბილი სიტყვა ვუთხარით საჩუქრების გადაცემისას, რომ თავი სრულფასოვან ადამიანებად იგრძნეს, დარწმუნდნენ, დავიწყებულნი არ არიან. საღამოს რომანტიკულმა სახელწოდებამ „ვაჰ, დრონი, დრონი“ გაამართლა იმდღევანდელი შეხვედრა.

მაშინ იქ თეატრალური წრეები მოქმედებდა. ქართველ მსახიობებთან მეტყველებაში დავიწყე მუშაობა. ანაზღაურება ორი მანეთი დამინიშნეს, რაც ძალიან მცირე იყო და უარი ვთქვი. შალვა დადიანმა დამიძახა და მითხრა: სამ მანეთს დაგინიშნავ, ლამაზ ქალებთან არ გაჭირდები და საჩუქრად შოკოლადის ფილა მისასნიერა.

ალექსანდრე წუწუნავა ჩვენი ოჯახის ხშირი სტუმარი იყო, ფართო დიაპაზონის რეჟისორს, საოპერო რეჟისურაში ბადალი არ ჰყავდა.

1941 წლის ევაკუაციის დროს თბილისში ბევრი შესანიშნავი ხელოვანი ჩამოვიდა. ვის არ შეხვდებოდით რუსთაველის გამზირზე: ცნობილ მწერლებს, მხატვრებს, მსახიობებს. ჩემთვის დაუვიწყარია ვასილ კაჩალოვის გამოსვლები.

ახლოს ვიყავი ელენე ახვლედიანთან, მის სახლში ეწყობოდა მუსიკალური საღამოები. აქ ნახავდით სვიატოსლავ რიხტერს, ნინო დორლიაკს...

მინდა მოვიგონო თენგიზ აბულაძე. მეზობელი იყო. ხშირად ვსაუბრობდით ხელოვნებაზე, კულტურაზე. მისი ფილმები ჩემთვის დაუვიწყარია. ხშირად მიფიქრია რატომ ამთავრებენ ასე უბრალოდ ცხოვრებას ისეთი დიდი ხელოვანნი, როგორიც გახლდათ მაგალითად ვახტანგ ჭაბუკიანი. მას სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი შეეძლო ბევრი გაეკეთებინა, ასეთი შესაძლებლობის გამოუყენებლობა ხომ დანაშაული ქვეყნის წინაშე.

ძალიან დიდი გულისტკივილით ვიგონებ ცნობილი პიანისტის — ნეიჰაუზის მოწაფეს ქსენია ჯიქიას. მუსიკაში არ არსებობდა საკითხი, მას რომ თავისი ჩამოყალიბებული აზრი არ გამოეთქვა. შეუძლებელი შეძლო — ჩამოაყალიბა მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის მე-3 სამუსიკო სასწავლებელი, სადაც დიდი ხნის მანძილზე ვასწავლიდი. ჩვენს გვერდით მოღვაწეობდნენ ცნობილი პედაგოგები: ჰერტრუდა მშალცელი, ლეილა გოცირიძე, თინა სადარაძე, რომელთანაც დღესაც მაქვს ურთიერთობა.

ჩემი მოწაფე იყო მომღერალი თამარ გვერდწითელი. მაშინ იგი 20 წლისა იყო. მაღალი ნოტები უჭირდა, მაგრამ ბევრი მუშაობით საუკეთესო შედეგს მივაღწიეთ. ძალიან ნიჭიერი და მონდომებული, ყველაფერს სწრაფად ითვისებდა.

ავთო მახარაძე ნიჭიერი, განათლებული, მრავალმხრივი მსახიობია. ძალზე საინტერესო სახე შექმნა ფილმში „მონანიება". ისიც ჩემი მოწაფე იყო.

ამჟამად ვწერ მოგონებას ვანო სარაჯიშვილზე. ერთ-ერთი სპექტაკლის დროს ზედმეტი ემოციისაგან ხმა დაკარგა და... მაგრამ მასზე საუბარს არ გავაგრძელებ, რადგან მალე პრესაში დაიბეჭდება ჩემი მოგონება ვანოზე.

მე მუშაობის საკუთარი სისტემა მაქვს, სიტყვა იგივე მუსიკაა. მსახიობმა უნდა შეიგრძნოს სიტყვის მუსიკალურობა. ამას კი დიდი მუშაობა სჭირდება.

მომავალ თაობას ვუსურვებ ახალგაზრდული ენერგიის სწორად გამოყენებას და მაღალ პროფესიონალიზმს.

**დავით სოლომონიშვილი**

*თეატრმცოდნე*

# იმედს!

რა თქმა უნდა, მამათა საქმიანობას დღეს შვილები აგრძელებენ, მშობლები მიდიან, ახალგაზრდები მოდიან. მათთან შეხვედრაზე ზოგი ბორჯომის საპატიო მოქალაქე გახდა, ზოგსაც სამახსოვრო ჯილდო გადაეცა.

მალე ოჯახურ დინასტიებს მოვიწვევთ, მინდა დავუფასოთ ღვაწლი, გავამხნევოთ იმედდაკარგული ადამიანები.

**— თქვენ თავად, როცა უიმედოდ ხართ, რა გამხნევებთ?**

— მუსიკა.

**— ყველაზე მეტად რისი გეშინიათ?**

— შინაამლილობის.

**— ადამიანში რას აფასებთ?**

— პატიოსნებას და ერთგულებას.

**— რომელია ღირსშესანიშნავი დღე თქვენს ცხოვრებაში?**

— ქორწინება და ბავშვების დაბადება.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— მხოლოდ და მხოლოდ საქართველოში. სხვაგან ცხოვრებას ვერ ვიგებ. მირჩევნია ჩემი ქვეყნის ჭირი გავიზიარო, სხვაგან დალხინებით ყოფნას.

**ნათია შურავსკაია**

# დაიჯესტი

## პრინცესას საიდუმლო

უელსის პრინცესა დიანა ყველას აოცებდა სახის ფერითა და კანის სინორჩით. მან თურმე კოსმეტიკური საიდუმლოება იცოდა, რომელიც წლეულს ლონდონის სილამაზის სალონების ნამდვილ სენსაციად იქცა.

დიანას ძალიან უყვარდა შავი ხიზილალა. გარდა იმისა, რომ ხშირად მიირთმევდა, სახეზე სქელ ფენად იდებდა.

როგორც კოსმეტოლოგებმა გაარკვიეს, შავ ხიზილალას კანის გაახალგაზრდავების არაჩვეულებრივი უნარი ჰქონია, რადგანაც ის შეიცავს დიდი რაოდენობით პროთეინს, ვიტამინებსა და მინერალებს, რომელთა ერთობლიობა მკვეთრად ააქტიურებს კანის ზედა შრეებში სპეციალური ფერმენტის — კოლაგენის გამომუშავებას.

შავი ხიზილალას ნიღბების არაჩვეულებრივი უნარი გაახალგაზრდავებისა იმასთანაც არის დაკავშირებული, რომ მისი მარცვლების უჯრედოვანი აგებულება ადამიანის კანის უჯრედებისას იმეორებს.

ჯერჯერობით ლონდონის სალონებში ხიზილალას ნიღბებს აკეთებენ, კოსმეტიკურ ლაბორატორიებში კი მუშავდება ხიზილალას შემცველი კრემების ტექნოლოგია. როგორც ექსპერტები ფიქრობენ, შავ ხიზილალაზე დამზადებული კოსმეტიკა უკვე მომავალ წელს ყველაზე პოპულარული იქნება სახის კანისათვის.

## კიბოს პროფილაქტიკა

ბოსტონის უნივერსიტეტის მეცნიერებმა კიბოს პროფილაქტიკის დასადგენად ჩაატარეს ხილისა და ბოსტნეულის რეიტინგი.

პირველ ადგილზე გავიდა შავი ქლიავი, მეორეზე — შავი ყურძენი, მესამეზე — ქიშმიში. შემდეგი ადგილები — შავი მოცხარი, მარწყვი, საერთოდ ყოველნაირი ქლიავი, ფორთოხალი, მოცვი, ალუბალი.

ბოსტნეულთა შორის ლიდერობს კომბოსტო, ჭარხალი, წითელი წიწაკა, ხახვი და სიმინდი.

## ტონუსის ამწევი „წამალი"

დასუსტებული და მოდუნებული ორგანიზმისათვის შესანიშნავი მკვებავი მასა:

200 გრამი ქიშმიში, 200 გრამი ჭერმის ჩირი, 200 გრამი ლეღვის ჩირი, 200 გრამი ქლიავის ჩირი. ყველაფერი კარგად დააქუცმაცეთ ხელით, დააყარეთ 1 ჭიქა წვრილად დაჭრილი ნიგოზი. შემდეგ ეს კომპონენტები ერთმანეთში კარგად აურიეთ, ჩადეთ კილოგრამიან ქილაში და მაცივარში შეინახეთ.

მიღების წესი: დიდებისთვის დღეში ერთი სუფრის კოვზი, ბავშვებისათვის ერთი ჩაის კოვზი. ამ წამალს მიაყოლეთ მაწონი.

მეორე ვარიანტი:

200 გრამი ნუში ჩანაყით. დააყარეთ წვრილად დაჭრილი 200 გრამი ქიშმიში, 200 გრამი დახეხილი სტაფილო. ეს ნარევი ჩადეთ კილოგრამიან ქილაში და მაცივარში შეინახეთ. ყოველდღე მიიღეთ დიდებმა ერთი სუფრის კოვზი, ბავშვებმა ერთი ჩაის კოვზი უზმოზე. ეს ნარევი წმენდს თირკმლებს, საშარდე გზებს და კვებავს ორგანიზმს.

## სტრესის საწინააღმდეგოდ

ცნობილია, რომ ნიგოზი და თხილი შეიცავს ნიკოტინის მჟავას, რომელსაც ალერგიის საწინააღმდეგო და დამაწყნარებელი ეფექტი აქვს. იგი აწყნარებს კანს და ხელს უშლის მავნე წარმონაქმნების წარმოშობას. ნიკოტინის მჟავას შეიცავს აგრეთვე კარტოფილი, ჭვავის პური და ფრინველის ხორცი. იმისათვის, რომ სტრესისგან თავი დაიზღვიოთ, საკმარისია ყოველდღე მიიღოთ 100 გრამი ნიგოზი ან თხილი.

## მწვანე ვაშლი

ამერიკელმა მეცნიერებმა დამტკიცეს, რომ მწვანე ვაშლი თავის ტკივილს უსწრაფესად ხსნის. ავადმყოფთა ჯგუფის გამოკვლევებმა ცხადყო, რომ შაკიკის მძიმე შეტევის დროსაც კი მწვანე ვაშლი „წამალია".

## ნევროზის კოქტეილი

ერთი კვერცხის გული აურიეთ ერთ ჩაის კოვზ შაქარში, კარგად გათქვიფეთ და დაასხით ერთი ჩაის ჭიქა რძე. დალიეთ ნელნელა, თითქოს ყლუპებს გემოს უსინჯავდეთ. შეიძლება ეს „წამალი" დღეში ორჯერ მიიღოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გარგარის კვერები

**10 ცალზე მასალად საჭიროა:**

**ცომისთვის:** 1/4 ლიტრი თბილი რძე, 30 გრამი საფუარი, 1 სუფრის კოვზი თაფლი, 125 გრამი ხაჭო, 400 გრამი ფქვილი, 100 გრამი კარაქი ან მარგარინი.

**გულისთვის:** 1,5 კილოგრამი გარგარი, 150 გრამი არაჟანი, 1/2 ჩაის კოვზი დარიჩინი, 50 გრამი შაქრის ფხვნილი.

ცომის მოსამზადებლად რძე თაფლში არეულ საფუარს დაასხით, დაამატეთ ხაჭო, 2 სუფრის კოვზი ფქვილი და დადგით 15 წუთით ასაფუებლად. საცხობ ყალიბს მოუსვით ცხიმი და მოაყარეთ ფქვილი.

საფუვრიან მასას დაუმატეთ დარჩენილი ფქვილი, მწიკვი მარილი, კარაქი ან მარგარინი და მოზილეთ ცომი. დააფარეთ სუფთა ტილო და დადგით 15 წუთით ამოსასვლელად.

გარგარი გარეცხეთ, შუა-შუა გაჭერით, კურკა გამოაცალეთ. ცომი კიდევ ერთხელ კარგად ჩაზილეთ და 10 ტოლ ნაწილად დაყავით. თითოეული ფქვილმოყრილ ფიცარზე 15 სმ დიამეტრის კვერებად გააბრტყელეთ და ყალიბზე ერთმანეთის მოშორებით დააწყვეთ.

ღუმელი $200^0$-მდე გაახურეთ, კვერებს არაჟანი მოუსვით, მოაწყვეთ გარგარი კურკაგამოცლილი მხრით ზევით, ზემოდან შაქრის ფხვნილში არეული დარიჩინი მოაყარეთ და 20-25 წუთით ცხელ ღუმელში შედგით.

## ხაჭოს ნამცხვარი მაყვლით

**16 ნაჭერზე მასალად საჭიროა:**

4 კვერცხი, 125 გრამი შაქრის ფხვნილი, 1 ლიმონი, 500 გრამი ხაჭო, 75 გრამი სახამებელი, დაახლოებით 400 გრამი მაყვალი, 1 ჩაის კოვზი შაქრის ,,პუდრა".

ღუმელი $180^0$-მდე გაახურეთ, მრგვალ ყალიბს მოუსვით ცხიმი და მოაყარეთ ფქვილი. კვერცხის გული და ცილა გამოაცალკევეთ. გული 75 გრამ შაქრის ფხვნილთან გათეთრებამდე თქვიფეთ. ლიმონს ჩამოახეხეთ ცედრა და წვენი გამოწურეთ. ხაჭოს ცედრა შეურიეთ, დაუმატეთ 3 სუფრის კოვზი ლიმონის წვენი და შაქრიანი კვერცხის გული.

ცილა ქაფივით ათქვიფეთ, თანდათან დაუმატეთ დარჩენილი შაქრის ფხვნილი და მზადყოფნამდე თქვიფეთ (სანამ ღრუბელივით არ იქცევა). ცილა და სახამებელი ფრთხილად შეურიეთ ხაჭოიან მასას.

მაყვალი გადაარჩიეთ, ხაჭოიანი ცომის ნახევარი ფორმაში მოათავსეთ, 300 გრამი მაყვალი ზემოდან თანაბრად მოაწყვეთ, მორჩენილი ცომი დაასხით და მოასწორეთ. ნამცხვარი 75 წუთით შედგით ღუმელში. ცხობის დაწყებიდან 40 წუთის შემდეგ ნამცხვარს ალუმინის ფოლგა დააფარეთ.

მზა ნამცხვარი გააცივეთ, ფორმიდან ამოიღეთ, მორჩენილი მაყვალი ზემოდან მოაწყვეთ და შაქრის ,,პუდრა" მოაყარეთ.

## კენკრის ღვეზელი არაჟანით

**16 ნაჭერზე მასალად საჭიროა:**

150 გრამი კარაქი ან მარგარინი, 175 გრამი შაქრის ფხვნილი, 3 კვერცხი, 225 გრამი ფქვილი, 1 ჩაის კოვზი სოდა, 2 სუფრის კოვზი რძე, 750 გრამი სხვადასხვა კენკრა (მაყვალი, მოცხარი, ჟოლო), 300 გრამი არაჟანი, 3 კვერცხის გული, დანის წვერით დარიჩინი, 1 სუფრის კოვზი შაქრის ,,პუდრა".

ღუმელი $200^0$-მდე გაახურეთ, შერბილებული კარაქი ან მარგარინი 150 გრამ შაქართან ერთად კარგად ათქვიფეთ და სათითაოდ დაუმატეთ კვერცხები ისე, რომ თქვეფა არ შეწყვიტოთ.

ფქვილი და სოდა ერთმანეთს შეურიეთ, დაუმატეთ რძე და ყველაფერი კვერცხიან-კარაქიან მასაში აურიეთ, ვიდრე ცომი არ მოიზილება. მიღებული მასა ცხიმწასმულ და ფქვილმოყრილ ფურცელზე გადაიტანეთ და ზედაპირი მოუსწორეთ. ბისკვიტი ცხელ ღუმელში 10-12 წუთში ცხვება.

კენკრა გადაარჩიეთ და გარეცხეთ. არაჟანი კვერცხის გულს, დარიჩინს და მორჩენილ შაქარს შეურიეთ და კარგად ათქვიფეთ.

გამომცხვარი ბისკვიტი ღუმელიდან გამოიღეთ, ზემოდან კენკრა მოაწყვეთ, თანაბრად მოასხით არაჟნიან-კვერცხიანი მასა და ხელახლა შედგით ცხელ ღუმელში 15 წუთით.

მზა ნამცხვარი შეაგრილეთ და შაქრის ,,პუდრა" მოაყარეთ.

## ვაშლები პერანგში

**4 ცალზე საჭიროა:**

**ცომისთვის:** 300 გრამი ფქვილი, 150 გრამი კარაქი ან მარგარინი, მწიკვი მარილი, 2 სუფრის კოვზი შაქრის ფხვნილი, 2 კვერცხის გული.

**გულისთვის:** 4 ცალი მოტკბო-მომჟავო ვაშლი, 100 გრამი შაქრის ფხვნილი, ცხიმი ყალიბზე მოსასმელად, შაქრის ,,პუდრა".

ცომის მოსამზადებლად ფართო ჯამში მოათავსეთ ფქვილი, პატარა ნაჭრებად დაჭრილი კარაქი ან მარგარინი, მარილი და შაქარი. დაუმატეთ კვერცხის გული, 4 სუფრის კოვზი წყალი და მოზილეთ ცომი. შედგით მაცივარში ერთი საათით. ვაშლები გარეცხეთ, კარგად გაამშრალეთ, გამოაცალეთ თესლი და გათალეთ. ღუმელი $200^0$-მდე გაახურეთ. ცხიმი ფქვილმოყრილ ფიცარზე 5 მმ-ის სისქეზე გააბრტყელეთ და 4 კვადრატად დაჭყავით.

ვაშლებს გული შაქრის ფხვნილით ამოუვსეთ, ცომის ნაჭრებზე დააწყვეთ და გვერდები ზემოთ აუპრიხეთ (თავი არ მოუკრათ). გადაიტანეთ საცხობ ფურცელზე. ცხვება 45 წთ-ში, თუ შეამჩნევთ, რომ ვაშლებს თავი ეწვება, ალუმინის ფოლგა გადააფარეთ.

ვაშლები საწრეტზე შეაგრილეთ და მაგიდაზე მიტანის წინ შაქრის ,,პუდრა" მოაყარეთ.

### მე-9-10 ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები:

თარაზულად: 7. რეგალია. 8. კომედია. 9. ტირანი. 11. სტიქია. 12. აპრიორი. 15. ალთაი. 17. ვერდი. 19. ანანიაშვილი. 21. მალტა. 23. ისარი. 25. დივიზია. 27. საჟენი. 28. ქორალი. 29. მექსიკა. 30. შილინგი.

შვეულად: 1. სერიალი. 2. ბაკარა. 3. ლიბია. 4. ტორსი. 5. მერიმე.. 6. სიმინდი. 10. დისტანცია. 13. პარნასი. 14. რეგვენი. 16. იონჯა. 17. ვალსი. 19. პანაცეა. 20. პროლოგი. 22. ტრეისი. 24. სერბია. 25. დისკი. 26. აქცია.

ჟურნალის შეძენა შეგიძლიათ რედაქციაში - მ.კოსტავას ქ. №14, V სართული



რედაქციის მისამართი 380096, ქ. თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.

რედაქტორის ტელეფონი: 99-98-71

მასალები გადაეცა ასაწყობად 10.12.2000 წ. ჟურნალი ხელმოწერილია დასაბეჭდად 10.01.2001 წ. ქაღალდის ზომა 60X90 1/8, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 8. ტირაჟი 800



დარეჯან ჭილაშვილი — დაიბადა 1947 წლის 17 სექტემბერს თბილისში. დაამთავრა თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია დეკორატიულ-გამოყენებითი ფაკულტეტი (მინა — კერამიკა).

აკადემიის დამთავრების შემდეგ 1972 წლიდან მონაწილეობს რესპუბლიკურ, საკავშირო გამოფენებში. 1986 წლიდან მხატვართა კავშირის წევრია.

ძირითადი ნამუშევრები: „ნატურმორტი მთვარის შუქზე“, „დედა“, „ბავშვობის მოგონება“, „დედაშვილობა“, „გელათის ფრესკები“, „ლილეო“, „ფიროსმანის ბოთლები“, „შემოდგომა“.



დეკორატიული ჩაიდანი ბურთით (მინა)

გამოფენები: პერსონალური — მხატვრის სახლი (თბილისი, 1986);

მხატვრული მინის საკავშირო სიმპოზიუმი — (ლვოვი, 1988);

საქართველოს კულტურის დღეები — (მოსკოვი, 1990);

სამყარო მხატვრის თვალით — მხატვრული მინა 30 წელი (1997);

საშობაო გამოფენა — (თანამედროვე გალერეა 1998);

გამოყენებითი-დეკორატიული გამოფენა — (ქარვასლა, 1999);

მიღებული აქვს მონაწილეობა გამოფენებში: ამერიკა, პოლონეთი, ისრაელი, უკრაინა.

ნამუშევარს — „ფიროსმანის ბოთლები“ მიენიჭა წლის საუკეთესო ნამუშევრის ჯილდო.

მისი ნამუშევრები ინახება კერძო კოლექციებსა და გალერეის ფონდებში.

გთავაზობთ დარეჯან ჭილაშვილის ნამუშევართა რეპროდუქციებს.



საყვავილე ქოთნები (დეკორატიული თეფშები)



კაქტუსის ყვავილები



„ნატურმორტი მთვარის შუქზე“

ჰდ 61/2

ეროვნული ბიბლიოთეკა



დეკორატიული დოქები



დეკორატიული ნაკეთობა

# დარეჯან ქილაშვილის

## ნამუშევრები

მასალა იხ. გარეკანის III გვერდზე



„ფიროსმანის ბოთლები"



დეკორატიული ბოთლები

ფასი 1 ლარი